

# ახადგაზრდა ადვოკატები

ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა

**KNOW JUSTICE  
KNOW PEACE**



2020 წელი საზოგადოებისთვის

არის სამართლიანობა, არის მშვიდობა!

# „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2020 წლის საქმიანობის ანგარიში



ახალგაზრდა ადვოკატები  
YOUNG BARRISTERS

## გუნდი

**არჩილ კაიკაციშვილი** - ხელმძღვანელი  
**მარიამ ასანიშვილი** - სადამფუძნებლო საბჭოს წევრი  
**ანა ფუტკარაძე** - იურისტი სამართალწარმოების საკითხებში  
**ნიკა მენოგინიშვილი** - იურისტი/საერთ. ურთიერთობის მენეჯერი  
**თამარ ციხიშვილი** - იურისტი/ანალიტიკოსი  
**ბარდია ჯაჯანიძე** - იურისტი  
**მარიამ სიზანიშვილი** - ფინანსური მენეჯერი  
**ანა კიკნაძე** - მრჩეველთა საბჭო  
**ბექა ჯავახიშვილი** - მრჩეველთა საბჭო  
**ია გობნაძე** - მრჩეველთა საბჭო

საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №171  
ორგანიზაციის ტელეფონი: (995 32) 290 78 77, 599 29 12 02

Pryoungbarristers@yahoo.com; Pryoungbarristers@gmail.com  
www.barristers.ge





**გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2020**

## „ახალგაზრდა ადვოკატები“ – მადლობა ჩვენს გმირ ექიმებს გადარჩენილი ბევრი სიცოცხლისთვის!

ძვირფასო მეგობრებო,

2020 წელი სრულდება და მასთან ერთად, ჩვენი ცხოვრების ყველაზე რთული წელიწადი. მსოფლიო პანდემიის შედეგებმა, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც, არაერთი ადამიანი ფიზიკური გადარჩენის წინაშე დააყენა. პანდემიამ აჩვენა ადამიანის სახე, გამოსცადა ემპათია, შექმნა ურთიერთობებისა და დამოკიდებულებების ახლებური მოდელი. ჩვენს ირგვლივ დატრიალებულმა მოვლენებმა, ერთნაირად წარმოაჩინა ყველას პასუხისმგებლობა და როლი: ხელისუფლება, რომელიც მართავს, საზოგადოება, რომელიც განსაზღვრავს, ეკლესია, რომელსაც ჩვენი სულიერების სიმძიმე აწევს, მოქალაქე, რომლის ქცევის კოდექსმა მეტწილად განსაზღვრა ჩემი, შენი, სხვისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, წარმატების და წარუმატებლობის, გადარჩენისა თუ განვითარების გზა.

ჩვენ ვართ სოლიდარული საზოგადოება, მაგრამ ჩვენ არ ვართ სათანადო პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოება, რომელსაც შეუძლია სწორი განსჯა და შეფასება გააჩნდეს არამხოლოდ პანდემიის პროცესში ჩვენი ექიმების, ჩვენი ჯარისკაცების, ჩვენი პოლიციელების თუ ჩვენი პარტნიორების მიმართ. ჩვენს ყოველდღიურობაში მძვინვარებს კატეგორიული აზროვნება. ყოველდღიური ეთერებიდან განდევნილია ანალიტიკური აზრი. ყველგან დაპირისპირებაა - ყველა სფეროში. ადამიანების დიდი ნაწილი სამართლიანობის განცდის გარეშე ცხოვრობს. მშვიდობა და განვითარება პრობლემა აღმოჩნდა არამხოლოდ დღეს, არამედ ჩვენი ცხოვრების მრავალი წლის განმავლობაში. მიზეზების ჩამოთვლა შორს წავიყვანს. სარბიელზე, ნაცვლად განსწავლული, თანამედროვე აზროვნებისა და ეროვნული ღირებულებების დამცველი თაობისა, უცვლელი ქიმერები დგანან, არადა, სარბიელზე ახალი დროა.

ჩვენ შრომა და ჩვენი ემოცია ახლაც და ხვალაც, მთლიანად ადამიანების ბედს და მათ უფლებას ეხება. ჩვენ ყველაზე კარგად ვხედავთ, სად არის გამოწვევა და სად არის დახმარება საჭირო, როგორ გამოვასწოროთ სისტემური ჩავარდნები და როგორ მოვახდინოთ აღდგენილი უფლებების ინსტიტუციონალიზაცია. ჩვენ ვხედავთ, ჩვენ ვშრომობთ, ჩვენ საუბრობთ, მაგრამ ნაკლებად გვისმენენ ან საერთოდ არ გვისმენენ. დროა, აღდგეს დიალოგი, თანამშრომლობა, დისკუსია. დასრულდეს სამოქალაქო ორგანიზაციების პრივატიზება, თავად ამ სფეროში - იდეების კრიზისი. დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს, სამართლებრივ სახელმწიფოს და კანონის უზენაესობას სჭირდება გაბედული, პატიოსანი, მოუსყიდავი, პრინციპების მქონე ადამიანების ერთობა. ვფიქრობ, ჩვენ შედეგებით უნდა ვიმსჯელოთ.

მძიმე, ძალიან მძიმე იყო 2020 წელი საქართველოსთვის. ტრაგედიებით და შფოთვით სავსე. ღმერთთან, სამშობლოსთან, ადამიანებთან სიახლოვე გვჭირდება. მადლობა ჩვენს გმირ ექიმებს გადარჩენილი ბევრი სიცოცხლისთვის! მადლობა მათ გამძლეობისთვის!

სიკეთე, სიმშვიდე და წარმატება გქონოდეთ 2021 წელს!

*არჩილ კაიკაციშვილი,*

*ორგანიზაციის ხელმძღვანელი  
 20 დეკემბერი, 2020*



# „ახალგაზრდა ადვოკატები“ -

ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც ახალი კორონავირუსის გავრცელებისა და დაწესებული შეზღუდვების გამო, 2020 წლის 12 მარტს საჯაროდ განაცხადა, რომ გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე, დაემორჩილა ყველა რეგულაციას და 2020 წლის მანძილზე, ნაწილობრივ დისტანციური საქმიანობით, მოიგო არაერთი მნიშვნელოვანი საქმე;

ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც 2020 წლის 14 მარტს საჯაროდ განაცხადა, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელებისა და დაწესებული შეზღუდვების გამო, დაიცავდა ყველა დასაქმებულს, რომელსაც აიძულებდნენ გამოცხადებულიყო სამსახურში ან დაირღვეოდა მათი შრომის უფლება. ორგანიზაციამ ამ კუთხით, წლის მანძილზე, არაერთი იურიდიული კონსულტაცია აწარმოა და საერთო სასამართლოებში გასაჩივრებულთა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში მიღებული გადაწყვეტილებები;

ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც 2020 წლის განმავლობაში, სხვადასხვა სამართლებრივი შეფასება და რეკომენდაცია გამოაქვეყნა ახალი კორონავირუსის გავრცელებისა და დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე, შეაფასა მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების იურიდიული მნიშვნელობა, მიზანშეწონილობა და მართლზომიერება;

ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც არ შეუჩერებია სასამართლო წარმომადგენლობა, კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვით, უარი არ უთქვამს სასამართლოს შემოთავაზებაზე პროცესები ჩატარებულიყო და მასში მონაწილეობა შემდგარიყო დისტანციური სამართალწარმოების გზით;

ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც ახალი კორონავირუსის გავრცელებისა და დაწესებული შეზღუდვების გამო, ყველა კლიენტს უშუალოდ დაუკავშირდა და მადლობა გადაუხადა მოთმინებისთვის და ნდობისთვის, შემდგომში, ყველა ზომა მიიღო სასამართლოებში და-



*ორგანიზაციის წევრები, რომლებიც სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნების წინ სამახსოვრო ფოტოს იღებენ. სახე ზეა „კოვიდური შემოდგომა“.*



# წელი ერთად და დისტანციურად

ნიშნული და გადადებული სხდომების განახლებისთვის, ადამიანებს განუმარტა შექმნილი ვითარების სირთულე:

ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც ყველა კლიენტს და პარტნიორს მისცა შესაძლებლობა იურიდიული მომსახურების ფარგლებში არსებული ხელშეკრულებები შეცვლილიყო, მოხდა თანხის გადახდის ვალდებულებების გადავადება და განაწილება:

ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც აქტიურად ისარგებლა საჯარო უწყებების მხრიდან შემოთავაზებული კორესპონდენციის მიღების ელექტრონული ბრუნვით, უარი არ უთქვამს საფოსტო გზავნილების დამისამართების შეცვლასა და წერილების მიღებაზე. ორგანიზაცია განსაკუთრებული მადლობელია შპს „საქართველოს ფოსტის“ მომსახურებით, რომელმაც „დარჩი, სახლში!“ მოქმედების პერიოდში, უწყვეტად უზრუნველყო ორგანიზაციის სასამართლოსთან კონტაქტი, ყველა მხარესთან შეუფერხებელი კომუნიკაცია:

ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც აქტიურად უპასუხა მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს სატელეფონო, ონლაინ და სოციალური ქსელის ოფიციალური გვერდის მეშვეობით დასმულ იურიდიულ საკითხებზე, მათ შორის უცხოეთში მყოფ ჩვენს თანამემამულეებს, გასცა შესაბამისი რჩევები და რეკომენდაციები, აწარმოა მათი საქმეები საერთო სასამართლოებსა თუ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის დროს:

ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც პანდემიის პერიოდში აქტიურად გააგრძელა ახალ სარჩელებსა და განცხადებებზე მუშაობა, საქმისწარმოების პროცესში, არ შეუჩერებია კონტაქტი აღმასრულებელ საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან,

ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის ერთადერთი შემოსავალია იურიდიული მომსახურებით მიღებული სახსრები, არ გაუთავისუფლებია არც ერთი თანამშრომელი, იზრუნა მათ შრომით-სამართლებრივ უფლებებსა და უსაფრთხოებაზე, განახლებული ძალებით აპირებს 2021 წლის საქმიანობას.



*2020 წლის სექტემბრის ბოლოს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ოფისის მისამართი შეიცვალეს. 5-წლიანი სამუშაო გარემო ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩაზე დასრულდა. 2015 წელს, სულ სხვა ადამიანებმა დაამაგრეს აბრა. ესაა თაობათა ცვლა უცვლელი ღირებულებებით.*





## მთელი წელი საზოგადოებისთვის

**იანვარი, 2020** – ორგანიზაციამ გააკეთა ოფიციალური განცხადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხრიდან შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმების გადაწყვეტილებას გამოეხმაურა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება მეტ საჯაროობას, დასაბუთებას და გამჭვირვალობას მოითხოვდა, რათა გამორიცხულიყო მიკერძოებისა და შერჩევითი დამოკიდებულების ნიშნები. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2019 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით განაცხადეს, რომ ადგილი აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ უკანონო გადაწყვეტილებების მიღებას, მათი საგანმანათლებლო და კომერციული ინტერესების დაზიანებას, წაგებული დავების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიყენებულ ზიანს, რაც მენეჯმენტის პოლიტიკის კრიზისზე მეტყველებდა. ორგანიზაციის მიერ შესწავლილი მასალის თანახმად, 2017 წელს აკრედიტაცია მიენიჭა 75 საგანმანათლებლო პროგრამას. 2018 წლის 01 იანვრიდან 01 მარტამდე 173 საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია, ხოლო 47 საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. ამასთან, 2017 წელს მონიტორინგის გზით, 1 საგანმანათლებლო პროგრამას გაუუქმდა აკრედიტაცია. ამასთან, 2017 წელს არცერთ დაწესებულებას არ მინიჭებია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, ხოლო ავტორიზაცია გაუუქმდა 1 დაწესებულებას. 2018 წელს ავტორიზაცია მიენიჭა 24 დაწესებულებას და ავტორიზაცია გაუუქმდა 6 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. 2019 წელს ავტორიზაცია მიენიჭა 2 დაწესებულებას და 1 დაწესებულებას გაუუქმდა ავტორიზაცია. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საერთო სასამართლოებში არსებობდა დავები, სადაც ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებების მოქმედება შეჩერდა. მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები, ავტორიზაციის გაუქმების გამო, სწავლას სხვადასხვა ავტორიზებულ უმაღლეს

სასწავლებლებში გააგრძელებდნენ.

**თებერვალი, 2020** – ორგანიზაცია ბავშვთა სიღარიბის თემაზე საზოგადოებაში მიმდინარე დისკუსიას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ბავშვთა სიღარიბეზე, ციფრებით მანიპულირება, ვერც პრობლემას აგვარებდა და ვერც ბავშვებს შველიდა. ორგანიზაციის შესწავლით, ხშირ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა საზოგადოებისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის არ ხდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნების იმ ხარისხში განხილვა, რომელიც მეტყველებდა განსხვავებულ სინამდვილესა და დინამიკაზე. ცალკეული პოლიტიკოსების მიერ საერთაშორისო კვლევების მიმართ გავრცელებული ინფორმაცია ობიექტურად არ ასახავდა დასახელებულ ანგარიშებში რეალურ მდგომარეობებს. საზოგადოება უნდა ფლობდეს ინფორმაციას, თუ რა მეთოდოლოგიას ეფუძნებოდა ბავშვთა სიღარიბის შეფასება ეროვნულ დონეზე. ასევე, თუ რა საერთო ტენდენციები და დასკვნები არსებობს საქართველოსთან მიმართებით. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ შეისწავლა გლობალური შიმშილის ინდექსის მონაცემი საქართველოსთან მიმართებით, რომლის თანახმადაც, 2019 წლის მონაცემით, საქართველო იკავებდა 39-ე ადგილს 117 მონაწილე სახელმწიფოდან. საქართველო, ამ თვალსაზრისით და დასახელებულ კომპონენტებში გამოიყურება 9.2 ქულით და ხვდებოდა შიმშილის დაბალი კატეგორიის მაჩვენებელში.

ორგანიზაცია შეისწავლა და გამოაქვეყნა თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროთა სოციალური დაცვის საკითხები, სტატუსის მაძიებელთა წინაშე არსებული პრობლემები, თავშესაფრითა და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესი, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური შესაძლებლობის პირობებში, გამოკვეთილია ა. სტატუსის მაძიებელთა განცხადებებზე დროში გახანგრძლივებული პასუხის, ბ. პროცესის ეფექტიანი მართვისა და გ. სათანადო კრიტერიუმების განსაზღვრის პრობლემები და აღნიშნა, რომ პრობლემები მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ გა-





## მთელი წელი საზოგადოებისთვის

დაჭრას. შესწავლილი მასალის თანახმად, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, უსახლკარო სტატუსი 1649 პირს მიენიჭა. ორგანიზაციამ შეისწავლა „დანგრეულ სახლების მაცხოვრებელთა პროგრამის ფარგლებში“ 2020 წლის მდგომარეობით, დედაქალაქის 10 გამგეობის მიმართ გამოყოფილი სახსრებიც. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ უსახლკარობის აღმოფხვრის სტრატეგიის დაგეგმვისას, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს „უსახლკარობის“ ცნებაც, რათა სწორედ ცნების მკაფიოობას დაეფუძნოს, თუ რა ტიპის საჭიროებებით უნდა აღიჭურვონ საცხოვრისის არ მქონე პირები.

**მარტი, 2020** – ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება, რომელიც შეეხებოდა საქართველოში მობილური ოპერატორების მხრიდან სატარიფო პოლიტიკის მოსალოდნელ ცვლილებას და აღნიშნა, რომ კომპანია „მაგთიკომის“ გადაწყვეტილება, 2020 წლის 6 აპრილიდან შეცვალოს სატარიფო გეგმა, „მარტივი 25“-ის ნაცვლად, საზოგადოებას შესთავაზოს „მარტივი 30“, წარმოადგენს მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობების ცალსახა დარღვევას. ორგანიზაციამ განაცხადა, რომ დაინყებდა სტრატეგიულ სამართალწარმოებას, თუ ცვლილებები განხორციელდებოდა. კომპანია „მაგთიკომმა“, ისე, რომ არავითარი საჯარო და კერძო განმარტება არ გაკეთებულა, არ დასახელებულა კონკრეტული მიზეზები, მიიღო გადაწყვეტილება შეცვალოს სატარიფო გეგმა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც სახეზე არ არის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება, რომელმაც ლეგიტიმაცია უნდა მისცეს დასახელებული მობილური ოპერატორის გადაწყვეტილების მართლზომიერებასა და საჭიროებას, კომპანიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მომხმარებელთა მიმართ – არაკეთილსინდისიერია. ორგანიზაციამ საკითხზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთან მოახდინა წერილობითი კომუნიკაცია. საქართველოში მობილური ოპერატორების მხრიდან სატარიფო პოლიტიკის მოსალოდნელ ცვლილებასთან დაკავშირებით მონიტორინგის პროცესში მივიღეთ ინფორმაცია, რომ კომპანია „მაგთიკომის“ სურვილი, ცალმხრივად შეეცვალა სატარიფო

გეგმა, არ შედგა. სატარიფო გეგმის შენარჩუნების საკითხს გადაწყვეტდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის კვლევა. საკითხი მომხმარებელთა უფლებების სასარგებლოდ გადაწყდა და კომპანიამ ვერ შეძლო სანინაალმდეგო ცვლილების განხორციელება.

ორგანიზაციამ მსოფლიო პანდემიის – ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო დაწესებული შეზღუდვებისა და აკრძალვების გათვალისწინებით, მარტის თვიდან, მთლიანად შეცვალა საქმიანობის ფორმები და პროფესიული ჩართულობის თემატიკა. შესაბამისად, ორგანიზაცია ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა, რომელმაც რამდენიმე განცხადება გააკეთა პანდემიის პირობებში აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე. კერძოდ, ორგანიზაცია ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც საჯარო განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ დაიცავდა ყველა დასაქმებულს, რომელსაც აიძულებდნენ სამსახურში გამოცხადებას და თვითზოლაციის წესების დარღვევას. შემდგომ, განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ რეგიონებში მოხალისეობრივი ჯგუფების შექმნას საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების წინაპირობებთან კავშირი არ გააჩნდა. ამ საკითხზე განმარტა კანონის მოთხოვნების მნიშვნელობა. გამოაქვეყნა ვრცელი სამართლებრივი ანალიზი და შეაფასა საკითხი, იყო თუ არა საქართველოში ფორს-მაჟორი. ამასთან, ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება და მიმართა მთავრობას, რათა გაკეთებულიყო სათანადო განმარტებები და გაცემულიყო რეკომენდაციები სამშენებლო ბიზნესში არსებული ვითარების შესაბამისად.

**აპრილი, 2020** – ორგანიზაციის განცხადებების შინაარსი მთლიანად დაეთმო მსოფლიო პანდემიის – ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო საქართველოში შემოღებული საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვებისა და აკრძალვების პროცესში აქტუალური საკითხების შეფასებას. ორგანიზაციამ განმარტებები გააკეთა იმ მოქალაქეების მიმართ, რომლებიც საგანგებო მდგომარეობის პირობების დარღვევის შედეგად, ადმინისტრაციული წესით დაჯარიმდნენ და მიენოდათ ინფორმაცია, რომ





## მთელი წელი საზოგადოებისთვის

დაჯარიმებულები ჯარიმის გასაჩივრებას საგანგებო მდგომარეობის გაუქმებიდან 10 დღის ვადაში შეძლებდნენ. ორგანიზაციამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საგანგებო მდგომარეობის წესების დარღვევას ახდენდნენ არასრულწლოვანები. შესაბამისად, საკითხის სამართლებრივი მხარის შეფასების დროს, ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ თუ საგანგებო მდგომარეობის წესებს 16 წლამდე პირები დაარღვევდნენ, პასუხისმგებლობა მათ მშობლებს და კანონიერ წარმომადგენლებს დაეკისრებოდათ. ამასთან, ორგანიზაცია გამოეხმაურა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის პროცესთან მიმართებით საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების საზოგადოებრივ შეფასებებს, ხშირ შემთხვევაში, საკითხზე მცდარი ინფორმაციის გავრცელებას, შეინაწვლა მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარე და განაცხადა, რომ იუსტიციის მინისტრის ახალი ბრძანებით ე.წ. გამოსახლებების პროცესი არ ყოფილა განახლებული და მიაწვდა მოქალაქეებს ინფორმაცია, რომ შეჩერებული იქნა მოძრავი ნივთების დაყადაღების პროცესიც.

ორგანიზაციამ ცალკე ყურადღება დაუთმო სასამართლოების მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებით ორდერების გაუქმების საკითხს და აღნიშნა, რომ ეს შემთხვევაში, უფრო მეტად დაუცველს ხდიდა მსხვერპლს. ორგანიზაციის განმარტებით, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პირობებში, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე 930 შემთხვევითი ორდერის გამოცემა კიდევ ერთხელ მიუთითებდა პრობლემის სიმწვავეზე, დანაშაულის თავიდან არიდების პროცესში სახელმწიფოს პასუხისმგებლობასა და ქმედუნარიანობაზე, თითოეული შემთხვევის მიმართ, პოლიციის ეფექტიან რეაგირებაზე, თუმცა არ არსებობდა ზუსტი საჯარო სტატისტიკა, რამდენი შემთხვევითი ორდერი გაასაჩივრეს მხარეებმა, რა გადაწყვეტილება მიიღეს პირველი ინსტანციის სასამართლოებმა, რამდენად მართლზომიერად იქნა მიჩნეული გასაჩივრებულ საქმეებზე შემთხვევითი ორდერის გამოცემა და რამდენ შემთხვევაში მოახდინა სასამართლოებმა ორდერის გაუქმების გადაწყვეტილება. ორგანიზაცი-

ის განცხადებით, ოჯახში ძალადობა კვლავ რჩებოდა დიდ პრობლემად.

ორგანიზაციამ ცალკე განცხადება გაავრცელა და გამოეხმაურა ინფექციის გავრცელების მომენტისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხს, რადგანაც სეზონური პირველი ადმინისტრაციული ორგანო აღმოჩნდა, სადაც Covid 19-ით თანამშრომლების ჯგუფურად დაინფიცირების ფაქტი მოხდა, არათანმიმდევრული და შეუსაბამო რეაგირების პირობებში და კლასტერის გავრცელება მოხდა თბილისის, რუსთავისა და ლენტეხის მიმართულებით. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ეს ფაქტი, შესაძლოა, მასშტაბური სამსახურებრივი დაუდევრობის შედეგიც აღმოჩნდეს, რაზეც პასუხისმგებლობა სეზონის საქმიანობაზე პასუხისმგებელ უმაღლესი თანამდებობის პირებს, მათ შორის სეზონის პრეზიდენტს უნდა დაკისრებოდა.

ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ საჭირო იყო სახელმწიფოს ძალისხმევა, უნივერსიტეტების პასუხისმგებლობა, რათა პანდემიის პირობებში შეჩერებულიყო სტატუსშეჩერებული სტუდენტების სწრაფი ზრდა. ორგანიზაციამ განმარტა, რომ დაწესებულებები, არსებული ვითარების ფარგლებში, რომელთა წინაშეც საზოგადოების ნაწილი ფინანსურ ვალდებულებაში იმყოფება, მოქალაქეებს საშუალებათა პირობებს, გადავადების შესაძლებლობასა თუ გადახდის მოქნილ გრაფიკს სთავაზობენ, თუმცა, უმაღლესი სასწავლებლების შემთხვევაში, სწავლების საფასურის კვლავ დადგენილი, სტანდარტული წესით ხდება გადახდა და არ ხორციელდებოდა რეაგირება საგანგებო მდგომარეობის შედეგად შექმნილი გამოწვევების შესაბამისად.

**მაისი, 2020** – ორგანიზაციამ გაავრცელა გამოხმაურებები მსოფლიო პანდემიის – ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო საქართველოში შემოღებული საგანგებო მდგომარეობით დაწესებული შეზღუდვებისა და აკრძალვების პროცესში აქტუალური საკითხების შეფასებაზე. ორგანიზაციამ რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესს საბ-





## მთელი წელი საზოგადოებისთვის

ჭოს და გამოსახლების დავებზე, ზეპირი მოსმენის გარეშე სასამართლოში დანიშნული სხდომების შეჩერება მოთხოვა.

ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება და Covid 19-ის გამო, საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებების მხრიდან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ, საკრედიტო ვალდებულებებზე დაწესებული სამთვლიანი საშეღავათო პერიოდის შედეგების პროაქტიულად გამოქვეყნება მოითხოვა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, საჭირო იყო საზოგადოებისთვის და თემით დაინტერესებული სპეციალისტებისთვის ხელმისაწვდომი გახდარიყო ინფორმაცია, თუ რამდენმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა მიიღო გადაწყვეტილება ესარგებლა საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან შეთავაზებული წინადადებით და რა პროცენტულ მაჩვენებელს შეადგენდა სტატისტიკა თითოეული ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებებისთვის.

ორგანიზაცია გაეცნო საკანონმდებლო წინადადების პროექტს და კანონპროექტის განმარტებით ბარათს, რომლის მიხედვითაც ზუსტდებოდა „იზოლაციისა“ და „საკარანტინო ღონისძიებების“ შინაარსობრივი და სამართლებრივი მხარე. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ კანონპროექტი, რომლის მიზანს პანდემიის პროცესში სახელმწიფოს მოვალეობების ეფექტიანი შესრულება წარმოადგენდა, არ ეწინააღმდეგებოდა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის პრინციპებს და დროებითი შეზღუდვების ხელოვნურად წარმოქმნას ან მმართველის ბოროტად გამოყენებას, თავად კანონი გამორიცხავდა. ამასთან, ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ პარლამენტს დაჩქარებული წესით არ უნდა მიეღო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ინიცირებული ინიციატივა, რომლის თანახმადაც, სასამართლო სხდომები შესაძლებელია გამართულიყო დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით და ამ წესით სხდომის გამარ-

თვის შემთხვევაში, მასში მონაწილე არცერთ პირს არ ჰქონდა უფლება, უარი განეცხადებინა დისტანციურად სხდომის ჩატარებაზე, მასზე უშუალო დასწრების სურვილის მოტივით.

ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით განხორციელებულმა ღონისძიებებმა, მთლიანად შეცვალა არა მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ, დამატებით, დღის წესრიგში დააყენა ფორს-მაჟორული გარემოებების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრის აუცილებლობა, რაც პირდაპირ იქნა დაკავშირებული შრომით-სამართლებრივ და სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრის საკითხთან. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ფორს-მაჟორის საკანონმდებლო მოწესრიგებაზე დამატებითი მსჯელობები უნდა დაწყებულიყო. ამასთან, პანდემიის პირობებში არანაკლებ აქტუალური გახდა „თვითდასაქმებულთა“ თემაც. როგორც აღმოჩნდა, „თვითდასაქმებულის“ ისეთი ლეგალური დეფინიცია, რომლითაც საქართველოს მთვარობა, სოციალური დახმარების განხორციელების პროცესში იხელმძღვანელებდა, ჩვენს კანონმდებლობაში არ არსებობს, შესაბამისად სახელმწიფოს მოუწია განესაზღვრა დროებითი კრიტერიუმები, რომლითაც მოახდენდა მსგავსი პირების იდენტიფიცირებას. ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იქნებოდა პრაქტიკის განზოგადება და საკანონმდებლო დამაგრების უზრუნველყოფა.

ორგანიზაციის კიდევ ერთი განცხადება შეეხებოდა შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში გათავისუფლების საკითხებს. ორგანიზაციამ გამოაქვეყნა სამართლებრივი შეფასება და აღნიშნა, რომ დასაქმებულებს, რომლებიც არაანაზღაურებად შევებულებაში გაუშვეს, დავები „დროებითი შრომისუუნარობის“ საფუძვლებით უნდა წარემართათ.

ორგანიზაციამ გააკეთა ორი განცხადებაც, რომელიც აქტუალურ საზოგადოებრივ მოვლენებს შეეხებოდა. კერძოდ, ორგანიზაციამ მოითხოვა სსიპ ხელნაწერ-





## მთელი წელი საზოგადოებისთვის

თა ეროვნული ცენტრის დირექტორის ზაზა აბაშიძის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის დასმა და საქმიანობის შესწავლა. ორგანიზაციამ განმარტა, რომ შესასწავლია, თუ რა აკავშირებდა ზაზა აბაშიძეს გორჩაკოვის ფონდთან, რომელიც რუსული „რბილი ძალის“ ინსტრუმენტს წარმოადგენდა საქართველოსთვის და რა აკავშირებდა ამ ფონდს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტთან, საიდანაც ზაზა აბაშიძეს, 2018 წელს, არასასურველი მეცნიერ-თანამშრომლები აკადემიური თანამდებობის მიღმა ჰყავდა დატოვა.

ორგანიზაცია გამოეხმაურა საზოგადოებაში მიმდინარე დისკუსიას, რომელიც უკრაინის პრეზიდენტის მიერ გამოცემულ ბრძანებას მოჰყვა. როგორც ცნობილია, ამ ბრძანებით, საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში რეფორმების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა. საკითხის სამართლებრივი შეფასების მიხედვით, ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საქართველოს, მიხეილ სააკაშვილი, შესაძლოა Persona Non Grata-ად გამოეცხადებინა, რასაც მისი მოსალოდნელი დიპლომატიური იმუნიტეტი იძლეოდა.

**ივნისი, 2020** – ორგანიზაცია გამოეხმაურა ბავშვთა უფლებათა კოდექსის ამოქმედების თარიღის (ნაცვლად 2020 წლის 1 ივნისისა, 1 სექტემბრიდან) განსაზღვრის საკითხს და საზოგადოებას სრული სამართლებრივი ანალიზი შესთავაზა ახალი კოდექსის რეგულაციებზე. ორგანიზაციის დასკვნაში აღნიშნულია, რომ კანონი ბავშვის უფლებების მხარეს დგას და ბავშვთა უფლებათა კოდექსის მიღება, ერთ-ერთი წინგადადგმული და ინსტიტუციური მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ.

ორგანიზაციამ საზოგადოებისთვის ცნობილი გახადა „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰააგის კონვენციის ფარგლებში, საქართველოს სასამართლოში არამართლზომიერად გადაადგილებული და დაკავებული ჩეხეთის მოქალაქე არასრულწლოვანის კვიპროსში დაბ-

რუნების საქმე. აღსანიშნავია, რომ საქმეზე ორგანიზაციამ არაერთი განცხადება მოამზადა და აქტიურობა განახორციელა, მათ შორის მიაღწია შედეგს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, არასრულწლოვანის დედას ბავშვის საქართველოდან გაყვანა (გადაადგილება) აუკრძალა. ორგანიზაციამ ამხილა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის, მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული ცენტრის უფროსი სოციალური მუშაკის/უფროსის მოვალეობის შემსრულებელის სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში უხეში გადაცდომის ფაქტები, კანონის დარღვევა. სწორედ დასახელებული დავის ფარგლებში, ბავშვის უგულვებელყოფის საფუძვლებით, ორგანიზაციამ ქართულ სასამართლოში მოიგო პირველი საქმე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული 2020 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა ევროკავშირისა და ჩეხეთის მოქალაქის სარჩელი ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის IV განყოფილების მიმართ, გაუქმდა ბავშვის ინტერესების უგულვებელყოფის საფუძვლით მართლწესრიგის ოფიცრის მხრიდან მიღებული 2020 წლის 1 ივნისის ორდერი, დაუსაბუთებლად და უკანონოდ იქნა მიჩნეული ორდერის გამოცემის საფუძველი – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული ცენტრის 2020 წლის 30 მაისის დასკვნა და დადგინდა, რომ ბავშვის კანონიერ წარმომადგენელს – მამას სახელმწიფო უწყებებმა ერთობლივი ოპერაციის შედეგად, 30 დღით, დაუსაბუთებლად შეუზღუდეს შვილთან ურთიერთობა. ორგანიზაციამ დასახელებული საქმის ფარგლებში, 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის აგვისტოს თვის მდგომარეობით, ფართომასშტაბიანი სამოქალაქო და სამართლებრივი ადვოკატირება განახორციელა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა უზრუნველყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმისწარმოების ეტაპზე.

ორგანიზაციამ მიმართა საქართველოს პარლამენტს და აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის კოდექსში და-





## მთელი წელი საზოგადოებისთვის

გეგმილი ცვლილებების პროცესში, კანონში მკაფიოდ უნდა აღნიშნულიყო სტაჟირების შრომის სტაჟში ჩათვლის საკითხი და დასაქმებულები, რომლებიც შრომით-სამართლებრივ ურთიერთობას განახორციელებდნენ სტაჟირების ფარგლებში, უნდა ჰქონოდათ მეტი დაცვის გარანტია.

**ივლისი, 2020** – ორგანიზაციამ საზოგადოებას ახალი კვლევის შედეგები წარუდგინა, რომელიც შეეხება კომპანია „ლიდერფუდის“ მოქმედი და ყოფილი მესაკუთრეების ერთმანეთთან დაკავშირებულ სასამართლო დავას. საქმეზე საჯარო ინტერესი ემსახურებოდა მრავალ მილიონიან დავაზე სასამართლოების მიერ მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. სასამართლო დადანაშაულებულ იქნა სავარუდო კორუფცია-სა და გავლენის ჯგუფების კონტროლთან. შესაბამისად, ორგანიზაციამ ყურადღება დაუთმო ბიზნეს დავის ირგვლივ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების შესწავლის ინტერესს და აღნიშნა, რომ სასამართლოს მხრიდან ბიზნეს-დავების განხილვა ნდობის მაღალ ხარისხს უნდა ეფუძნებოდეს. ორგანიზაციამ, ამ მიზნით, საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობა პროცესის მონაწილე მხარეებს სთხოვა. პროცესის მონაწილე მხარეებმა სრულად მიანოდეს ორგანიზაციას საქმის მასალები, რაც იქნა შესწავლილი და მომზადდა სამართლებრივი დასკვნა.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნა შესწავლის შედეგები, რომელიც შეეხებოდა საქართველოში განქორწინებულთა სტატისტიკას. შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, განქორწინების მაჩვენებელმა რეკორდულ ზღვარს მიაღწია და ბოლო 10 წლის განმავლობაში, 11, 205 შეადგინა, თუმცა აღნიშნული მონაცემიც სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაცია არ არის და შეეხება მხოლოდ რეგისტრირებულ შემთხვევებს. არსებობს უამრავი მაგალითი, როდესაც მეუღლეები ფაქტობრივ თანაცხოვრებაში აღარ იმყოფებიან, თუმცა განქორწინების დარეგისტრირება არ მოუხდენიათ. შესწავლილი მასალის თანახმად, მათ შორის სასამართლოდან მიღებული მონაცემების საფუძველზე, 2019 წლის მონაცემით, საქართველოში 11, 205 პირი განქორწინდა. 3,918 გან-

ქორწინება მომხდარია ქ. თბილისშია. განქორწინების მაჩვენებელი საქართველოს რეგიონების მიხედვით, ასე გამოიყურება: აჭარა – 309, გურია – 86, იმერეთი – 580, კახეთი – 300, მცხეთა-მთიანეთი – 109, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 18, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 324, სამცხე-ჯავახეთი – 110, ქვემო ქართლი – 394 და შიდა ქართლი – 254. განქორწინებული 11,205 პრიდან 10,039 პირი იმყოფებოდა ქორწინებაში პირველა, ხოლო 972 – განქორწინდა მეორედ ქორწინების პირობებში. სტატისტიკით, მითითებული არ არის 194 პირის შესახებ ინფორმაცია, მათი ქორწინების ხანგრძლივობის შესახებ. განქორწინებულთა მეტი რაოდენობის ასაკი მერყეობს 30-35 წლის ფარგლებში.

ორგანიზაცია საჯაროდ გამოეხმაურა პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს“ ლიდერ მამუკა ხაზარაძის სატელევიზიო ინტერვიუს, სადაც მან მცდარი ინფორმაცია მიანოდა საზოგადოებას ბიზნეს-პარტნიორ რამაზ ახვლედიანის მიმართ წართმეული ლისის ტბის გარშემო არსებული მიწის ნაკვეთის 63,5 ჰა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების საქმეზე. ამასთან, ორგანიზაციის დახმარებით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან შედგა ღია პრესკონფერენცია, სადაც მედიამ გააშუქა ჩეხი ბიზნესმენის საქმე და პრეზიდენტს ეთხოვა უცხო ქვეყნის მოქალაქის ინტერესების დაცვაში დახმარება.

**აგვისტო, 2020** – ორგანიზაცია გამოეხმაურა და შეაფასა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაპერიოდი, ანალიზის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ პოლიტიკური პარტიები საკმარისად ვერ უზრუნველყოფდნენ მოქალაქეთა ინფორმირებულობას. შეფასების თანახმად, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის, ცალკეული პოლიტიკური პარტიები ნაკლები აქტიურობითა და მოსახლეობისთვის საჯარო ინფორმაციის მიწოდებით გამოირჩეოდნენ, არ არსებობდა საარჩევნო პროგრამებზე ორიენტირებული შეჯიბრი, გარემო იყო პოლარიზებული და ძირითადი აქცენტი არა მომავლის ხედვებზე, არა-





## მთელი წელი საზოგადოებისთვის

მედ ნარსულში დაშვებულ შეცდომებსა და ურთიერთბრალდებებზე კეთდებოდა. ორგანიზაციის აზრით, არჩევნების მიმართ საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული მოლოდინებისა და მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა თავად პოლიტიკური გაერთიანების სათანადო პასუხისმგებლობა, რათა ყოფილიყვნენ საკმარისად ჩართულნი. საარჩევნო კულტურის ნაკლებობის პირობებში, ორგანიზაცია აღნიშნავდა, რომ მნიშვნელოვანია გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას მოქალაქეთა ინფორმირებას, საარჩევნო კამპანიის, პოლიტიკურ გაერთიანებათა წინასაარჩევნო პროგრამის საჯაროობის, ხელმისაწვდომობას და ა.შ. კუთხით. აგრეთვე, პოზიტიური სიახლე იქნება, თუ საარჩევნო კოდექსი პირდაპირ დაავალდებულებს პარტიებს, უზრუნველყონ ამ ყველაფრის საჯაროობა, რაც მათ ამომრჩეველთა მიმართ მეტ პასუხისმგებლობასა და კეთილსინდისიერებას უზრუნველყოფდა.

ორგანიზაციამ საჯარო განცხადება გააკეთა და გამოეხმაურა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებრივი ადვოკატების, სამსახურის ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის შეფასების ახალ სისტემას. ორგანიზაციის განცხადებით, 2020 წლის 4 ივლისის იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები. არსებით მნიშვნელობას იძენდა დოკუმენტში წარმოდგენილი „სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული იურიდიული კონსულტაცია და იურიდიული დახმარების ხარისხის სტანდარტი“, „სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები“, „სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი“, „იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული მომსახურების ხარისხის

შეფასების უფლებამოსილება და პროცედურა“. ორგანიზაცია საკითხის ყოველმხრივი შესწავლის შედეგად აღნიშნავდა, რომ დებულებებში არსებული კონკრეტული ჩანაწერები და რეგულაციები წარმოადგენდა შემზღვეველ ჩარევას ადვოკატის, როგორც თავისუფალი პროფესიის მქონე პირის საქმიანობაში, სათანადოდ არ იცავდა ადვოკატის დამოუკიდებლობას და შეუვალობას, არ ქმნიდა საკმარის საფუძვლებს საზოგადოებრივი ადვოკატის საქმიანობა შეფასებულყო თანაბარი და სამართლიანი მიდგომებით, შეფასების დროს, არ ხდებოდა საზოგადოებრივი ადვოკატის დღევანდელი დატვირთულობის და საქმეთა ნაკადის მართვის გათვალისწინება, საფრთხის წინაშე დგებოდა კლიენტთან ურთიერთობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, ჩნდებოდა პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების საფუძვლები. სახელმწიფოს ჩარევა საზოგადოებრივი ადვოკატის საქმიანობაში არ ქმნიდა ასეთი ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს იმ ამოცანების გადაჭრის უზრუნველსაყოფად, რასაც მომსახურების ხარისხის ამაღლების კეთილშობილური მიზანი და ამ კუთხით საზოგადოებრივი ადვოკატის ინსტიტუტის გაძლიერება ერქვა. შესაბამისად, ორგანიზაციამ 22 საზოგადოებრივი ადვოკატის სახელით, არსებული ცვლილებები სასამართლო წესით გაასაჩივრა. სამართალწარმოება გრძელდება.

**საქტაქპარი, 2020** – ორგანიზაცია გამოეხმაურა სამენარმეო სამართალში დაგეგმილ ცვლილებებს და აღნიშნა, რომ ეს ცვლილებები ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების შესრულების გამოხატულებას წარმოადგენდა. ორგანიზაციის აზრით, საქართველო ევროკავშირთან ასოცირებული ხელშეკრულების ვალდებულებების ფარგლებში, წარმატებით აგრძელებდა საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაციის პროცესს და აღნიშნულის კიდევ ერთ მკაფიო გამოხატულებას სამენარმეო სამართალში მოსალოდნელი ცვლილებები, კერძოდ, „მენარმეთა შესახებ“ ახალი კოდექსის პროექტის შექმნა წარმოადგენდა. კანონპროექტი მთელი რიგი პროგრესული სიახლეებით გამოირჩევა, რაც იმთავითვე ხელს უწყობს თანამედროვე სამენარმეო საზოგადოებისა და კორპორაციული





## მთელი წელი საზოგადოებისთვის

სისტემის მართვას.

ორგანიზაცია გამოაქვეყნა შესწავლის შედეგები, რომელიც შეეხება კერძო სექტორში არასრულწლოვანთა დასაქმების საკითხს და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივი გარემოს შეფასებას. აღმოჩნდა, რომ ქართული კომპანიები არ საუბრობენ, ჰყავთ თუ არა დასაქმებული არასრულწლოვნები, რამდენი მათგანია 16 წლამდე ან/და 14 წლამდე, რამდენია დასაქმებული რიცხოვნება, რამდენ მათგანთან არის დადებული წერილობითი ან/და ზეპირი შრომის ხელშეკრულება. ორგანიზაციამ საკითხი ბავშვის უფლებების კოდექსის მოთხოვნებთან მიმართებით განიხილა, რადროსაც, სახელმწიფო 2020 წლის 1 სექტემბრიდან ვალდებულია, შექმნას შრომის ინსპექტირების უფლებამოსილების მქონე უწყება, რომელსაც შეუძლია მიმართოს ბავშვმა მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, რაც პრობლემის მონესრიგების ინსტიტუციურ გადაწყვეტას წარმოადგენს.

შესწავლის ფარგლებში, გამოიკითხა ის ცნობილი ქართული კომპანიები, რომლებიც საქმიანობენ კვებით პროდუქტების, სარესტორნო, ნავთობისა და ფარმაცეის სფეროში. ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენდა, მონიტორინგში მონაწილე კომპანიები უნდა ყოფილიყვნენ საზოგადოებისთვის სანდო და ცნობილი, მონაწილე კომპანიები არ უნდა შეადგენდნენ სამომხმარებლო ერთ სფეროს და კომპანიებს უნდა ჰქონოდათ მსხვილი გადაამხდელის სტატუსი. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, ორგანიზაციამ ოფიციალური წერილობით მონიტორინგის ფარგლებში მიმართა, სულ – 20 კომპანიას, რომელთაგან 5 მონიტორინგის პროცესში მიიღო მონაწილეობა, 8 კომპანიასთან შედგა კომუნიკაცია, მაგრამ შესწავლის პროცესში მონაწილეობა არ მიიღო, ხოლო 5 კომპანიასთან კომუნიკაცია არ შედგა, მაგრამ მათ შესწავლის შესახებ ეცნობათ.


**ოქტომბერი, 2020** – ორგანიზაციამ საკითხზე: „პოლიტიკოსების და პოლიტიკური პარტიების ნდობის რეიტინგი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ“, თბილისში ჩატარებული სოცილოგიური გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. რესპოდენტებმა პასუხი გას-

ცეს შემდეგ შეკითხვებს: „ხვალ, რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას?“, „რომელი პოლიტიკური პარტია იმსახურებს თქვენს მხარდაჭერას?“, „დაასახელეთ პოლიტიკოსი, რომლის საქმიანობაც მოგწონთ?“, „როგორ შეაფასებდით ხელისუფლების ბოლო 4 წლის საქმიანობას?“ და „როგორ შეაფასებდით ოპოზიციური პარტიების საქმიანობას?“. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, სულ 478 მოქალაქე გამოიკითხა. ანტიპარტიული განწყობების მიუხედავად, თბილისში „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“, „ევროპული საქართველოსა“ და გიორგი ვაშაძის „სტრატეგია – აღმაშენებლის“ ლიდერობა გამოიკვეთა. ორგანიზაციამ შედეგები საზოგადოებას ოფიციალურად გააცნო.

ამასთან, ორგანიზაციამ გამოაქვეყნა შესწავლის შედეგები, რომელიც შეეხებოდა მეცხრე მონვევის პარლამენტის წევრთა იმ უფლების გამოყენების საკითხით დაინტერესებას, რომლებმაც მსჯავრდებულებთან სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლით ისარგებლეს. ორგანიზაციამ შეისწავლა მასალები, თუ რამდენჯერ იქნა გაცემული საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება 2020-2016 წლებში, პატიმრ(ებ)ის მონახულების ნებართვაზე, რომელმაც დეპუტატებმა გამოიყენეს ეს უფლება და ვინ იყვნენ მსჯავრდებულები, რომელთა მონახულებაც მათი პირობებისა და მონიტორინგის მიზნით, პარლამენტის წევრებმა გადაწყვიტეს.

ორგანიზაცია საჯარო განცხადებით გამოეხმაურა საქართველოს პროკურატურის უმოქმედობას ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის ლისის ტბის ნართმევის საქმეზე და აღნიშნა, რომ პროკურატურა ისევ მამუკა ხაზარაძის გავლენების ტყვეობაში იმყოფებოდა, მას არ შესწევდა ძალა, რამაზ ახვლედიანი დაზარალებულად ეცნო. „ჩვენი სამართლებრივი ბრძოლა ლისის ტბის ნართმევის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიმართულებით, სამართლიანია, პროკურატურა ვალდებულია გამოიძიოს კრიმინალი და ქონების ნართმევის საქმე, არ შეიძლება მამუკა ხაზარაძის ინტერესები კანონის უზენაესობას ეწირებოდეს“. აღნიშნულის შესახებ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა და ქონე-





## მთელი წელი საზოგადოებისთვის

ბაჩამორთმეულმა რამაზ ახვლედიანმა განაცხადეს, რომლებმაც საქართველოს გენერალურ პროკურორს წერილობით კიდევ ერთხელ მიმართეს და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვეს.

ორგანიზაცია გამოეხმაურა პანდემიის პირობებში, სახელმწიფოს მიერ კერძო ბალების გაჩერების შედეგად შექმნილ სირთულეებს და აღნიშნა, რომ მთავრობას კერძო ბალების ერთჯერადი დახმარების მატერიალური პროგრამა უნდა შეექმნა, რათა ბალები არ აღმოჩენილიყო დახურვის წინაშე, სკოლამდელი აღზრდის უფლება კი – ხელმოუწვდომელი, რაც გამოიწვევდა სამუშაო ადგილების შემცირებას. ორგანიზაციის შეფასებით, კერძო ბალების წინაშე მდგარი პრობლემების დროული გადაჭრისა და სახელმწიფოს მხრიდან სათანადო მხარდაჭერის არარსებობის პირობებში, შესაძლებელია, საქართველოში, სკოლამდელი აღზრდის ხელმისაწვდომობა გაძვირებულიყო, ვინაიდან კერძო ბალების დაფინანსების ერთადერთი წყარო ისევ მათი აღსაზრდელია, ამდენად, ბავშვების სრულფასოვანი განვითარების, ეკონომიკის ამუშავების, კვალიფიციური ადამიანური რესურსის დაკარგვისა და მშობლებისთვის დამატებითი პრობლემის თავიდან ასარიდებლად, საჭირო იყო პრობლემის სიღრმისეული და მრავალმხრივი გამოკვლევა.

**ნოემბერი, 2020** – ორგანიზაცია 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს აფასებს და აღნიშნავს, რომ მრავალპარტიული პარლამენტი ქვეყნის წარმატებაა, რომელიც სრულად ასახავს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს და საშუალებას იძლევა აქტუალურ საკითხებზე ნაყოფიერი საპარლამენტო საქმიანობა წარიმართოს. საქართველოს მოქალაქეებმა, პოლარიზებული და ეპიდემიისგან გამონვეული რთული წინასაარჩევნო გარემოს მიუხედავად, თავისუფლად შეძლეს საკუთარი ნების დაფიქსირება და დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობის მიღება. მიუხედავად პროცედურული და ტექნიკური ხასიათის დარღვევებისა, რაზეც რეაგირება უნდა მოხდეს, შეუძლებელია გაზიარებული იქნეს არჩევნების შედეგების სიყალბესთან დაკავშირებით მოსაზრება, ვინაიდან ასეთი ბრალდების არც ერთი სერიოზული და დადასტურებული ფაქტი საზოგადოებისთვის წარმოდგენილი არ ყოფილა. ორგანიზაციის აზრით, ყველა პოლიტიკურმა პარტიამ პატივი უნდა სცეს ამომრჩევლის ნებას და პოლიტიკურმა დებატებმა პარლამენტში გადაინაცვლოს. ამასთან, სხვადასხვა საარჩევნო ოლქში მაჟორიტარ კანდიდატებს შორის მოსალოდნელი არჩევნების მეორე ტური, მნიშვნელოვანია მაღალი ორგანიზებულობით ჩატარებულიყო. ორგანიზაცია გაემიჯნა ნებისმიერი სახის ძალადობას ან ძალადობრივ მონოძებას, რომელიც არ ექცეოდა პოლიტიკური დებატების ფარგლებში და მიზნად ისახავდა საზოგადოებაში მტრული განწყობების ჩამოყალიბებას, პოლარიზაციის გაზრდას და დაუმსახურებელი ძალაუფლების მიღებას. ორგანიზაციის აზრით, პოლიტიკურმა პარტიებმა, ერთის მხრივ სწორად უნდა შეაფასონ არჩევნებში მიღებული შედეგების გამომწვევი მიზეზები, ანტიპარტიული განწყობების საფუძვლები და გააგრძელონ საზოგადოებასთან თანამშრომლობა. პარლამენტის ტრიბუნა და საკანონმდებლო საქმიანობის ხარისხი მრავალპარტიულ სისტემაში ქმნის კონკურენციას და ხელს შეუწყობს საპარლამენტო კონტროლის მექანიზმის ეფექტიანად გამოყენებას.

ორგანიზაცია STOPCOV ფონდში ორი მდიდარი მარეგულირებელი კომისიის მონაწილეობისა და შესაბამისად, სოციალური პასუხისმგებლობის საკითხით დაინტერესდა და ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ჩართულობა შეისწავლა. აღმოჩნდა, რომ კომუნიკაციების კომისიისგან განსხვავებით, სემეკ-ს STOPCOV ფონდთან მიმართებით, არავითარი სოციალური პასუხისმგებლობა და მონაწილეობა არ განუხორციელებია, რაც საჯარო უწყების მენეჯმენტის საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების მხოლოდ ფორმალურ საფუძვლებზე მეტყველებს. როგორც ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, ასევე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურების მაჩვენებლებით, საქართველოში ყველაზე





## მთელი წელი საზოგადოებისთვის

მდიდარი ორი საჯარო ორგანოა. მართალია, მათი ყოველწლიური შემოსავლები, რომლებსაც კომისიები სფეროში მოღვაწე რეგულირების საფასურის გადამხდელი სუბიექტებისაგან იღებენ, ყოველწლიურად მზარდია, კომისიის თავმჯდომარეების ყოველწლიური ხელფასი 16-20 ათასი ლარის ფარგლებში გაიცემა, ამავე თანხის ფარგლებში გაიცემა ხელფასი კომისიის წევრების მიმართაც, თუმცა მასშტაბური საზოგადოებრივი პრობლემის წინაშე დასახელებული საჯარო უწყებები ნაკლები პასუხისმგებლობით ან ერთჯერადი ვალდებულების შესრულებით გამოირჩევიან.

ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ საპენსიო კრედიტის გაცემასა და საპროცენტო განაკვეთის გონივრულობის საკითხის გადაჭრაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვას არ გამოირიცხავს. შესწავლის შედეგებმა აჩვენა, რომ პენსიონერი უფლებამოსილია, 57 თვის ვადით ისარგებლოს საპენსიო კრედიტით, რომლის მაქსიმალური ოდენობა არ აღემატება ყოველწლიური სარგოს ცხრამეც ოდენობას. ამავდროულად, დაწესებულია შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი და ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 30,69%-ს, რაც, არაგონივრულია. ორგანიზაციის აზრით, გონივრული იქნება, თუ საფინანსო ინსტიტუტი გაიზიარებს ფიზიკურ პირთათვის სესხისთვის გათვალისწინებულ გონივრულ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც დადგენილია ეროვნული ბანკის მიერ. დაუშვებელია, პენსიონერს დაევალოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტის გადახდა და მნიშვნელოვანია საპროცენტო განაკვეთის რეგულირებასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომის არსებობა და გულისხმიერი, კეთილსინდისიერი პირობების დადგენა პენსიონერთა მიმართ. ორგანიზაცია არ გამოირიცხავს ამ საკითხზე ფართო დისკუსიის წარმოებას და საკითხის დასმას სამართლებრივი საშუალებებით, მათ შორის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის გზით.

**დეკემბერი, 2020** – ორგანიზაციამ გამოაქვეყნა შესწავლის შედეგები, რომელიც სტუდენტური სტატუსის შეჩერების მაჩვენებელს შეეხება და საქართველოს მთავრობას მოუწოდა, ქმედითი და აქტიური ღონისძიებები განახორციელებს სწავლის საფასურის დავალიანების მქონე ახალგაზრდების დასახმარებლად, განათლების ხელმისაწვდომობისთვის, ვინაიდან მდგომარეობა არასახარბიელო და წლების მანძილზე მოუგვარებელ პრობლემად რჩებოდა. ორგანიზაციამ შეისწავლა 2018-2019 და 2019-2020 სასწავლო წლის სტატისტიკური მონაცემი, რომელიც შეეხებოდა სტუდენტის სტატუსის შეჩერების, აღდგენის და გამომწვევი მიზეზების კვლევას. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო 28 დაწესებულების მონაცემზე დაყრდნობით, დგინდება, რომ 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში, სტუდენტის სტატუსი შეიჩერა 35,030 პირმა, 2019-2020 სასწავლო წლის მონაკვეთში კი – 32,559. მთლიანობაში, სტატუსი შეიჩერა 68,589 სტუდენტმა. ამასთან, 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში, სტუდენტის სტატუსი აღიდგინა 20,053 პირმა, ხოლო 2019-2020 სასწავლო წლის მონაკვეთში 18,435 სტუდენტმა. მთლიანობაში, სტატუსი აღიდგინა 38,488 სტუდენტმა. წარმოდგენილი მონაცემის ანალიზი ცხადყოფს, რომ 2020 წლის ბოლოს, საქართველოში 30,101 სტუდენტი კვლავ სტატუსშეჩერებულია.

ორგანიზაციამ გამოაქვეყნა სამართლებრივი შეფასება, რომელიც თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებისა და ქალაქის სხვადასხვა ფუნქციურ ზონებად დაყოფის შედეგად, კონკრეტულ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეზღუდვის საკითხს შეეხება. საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ მინათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული შეზღუდვები, რეალურად, არ მოხსნილა და მესაკუთრეები კვლავ იგივე პრობლემის წინაშე დარჩნენ – დღემდე არ ხდება მათი საკუთრების უფლებით სარგებლობა და თავისუფალი გამოყენება. საკითხზე მუშაობა გრძელდება.





ტრამპმა შეცვალა მსოფლიო, თუმცა ამერიკული არჩევანი „დემოკრატები“ და ბაიდენი გახდა. ამერიკის 2020 წლის არჩევნები ახალ რეალობას სთავაზობს მსოფლიოს



რომის პაპი მესას ცარიელ მოედანზე ატარებს



აია სოფიას ტაძარი მეჩეთად გადაკეთდა



კავკასიაში ყარაბაღის ომი დასრულდა. სომხეთის დამარცხებული ლიდერი ფაშინიანი.



სამ თვეზე მეტი და უწყვეტი დემონსტრაცია ბელარუსიაში. ხალხი პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს.





იტალია პანდემიის დროს, რომელიც ერთ-ერთი პირველი ქვეყანა გახდა და იზენია ადამიანური დანაკლისი და პანდემიის სისასტიკე.



ადამიანები, რომლებმაც COVID-19-ის პირველი წარმატებული ვაქცინა შექმნეს — თურქული წარმოშობის ცოლ-ქმარი ოზლამ ტურეჯი და უგურ საჰინა



90 წლის მარგარეტ კინანი ჩრდილოეთ ირლანდიიდან მსოფლიოში პირველი ადამიანი გახდა, რომელსაც Pfizer / BioNTech-ის ვაქცინა გაუკეთეს



კობი ბრაიანტი ქალიშვილთან ერთად. წლის ტრაგედია



მარადონა, როგორც ყველა თაობის ფეხბურთელი და ფეხბურთის ჯადოქარი. წლის დანაკლისი



**„ახალგაზრდა ადვოკატები“ –  
2020 წელს ბავშვთა უფლებათა დამცველი  
წარმატებული ორგანიზაცია**







## რეალობა და გამოწვევები ბავშვთა უფლებების სფეროში

### ბავშვთა სიღარიბეზე, ციფრებით მანიპულირება, ვერც პრობლემას აგვარებს და ვერც ბავშვებს შველის

ორგანიზაცია საზოგადოებაში მიმდინარე დისკუსიას გამოეხმაურა, რომელიც ბავშვთა სიღარიბის თემაზე გამოთქმულ შეხედულებებს შეეხებოდა და აღნიშნა, რომ ციფრებით მანიპულირება, ვერც პრობლემას აგვარებს და ვერც ბავშვებს შველის. ხშირ შემთხვევაში, ადგილი აქვს საზოგადოებისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის არ ხდება საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნების იმ ხარისხში განხილვა, რომელიც მეტყველებს განსხვავებულ სინამდვილეზე და დინამიკაზე. შესაბამისად, ორგანიზაციამ საზოგადოებას საკითხზე შესწავლის ტენდენციები გააცნო.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ აზრით, საჭიროა სახელმწიფოს თანამიმდევრული სოციალური პოლიტიკა და პროგრამები, რომელიც შესაძლებლობას გააჩენს ბავშვთა სიღარიბის პრობლემა და არსებული ვითარება შეიცვალოს. ამასთან, ცალკეული პოლიტიკოსების მიერ საერთაშორისო კვლევების მიმართ გავრცელებული ინფორმაცია ობიექტურად არ ასახავს დასახელებულ ანგარიშებში რეალურ მდგომარეობებს. მნიშვნელოვანია, საზოგადოება ფლობდეს ინფორმაციას, თუ რა მეთოდოლოგიას ეფუძნება ბავშვთა სიღარიბის შეფასება ეროვნულ დონეზე. ასევე, საერთო ტენდენციები, თუ დასკვნები არსებობს საქართველოსთან მიმართებით ტენდენციების სახით.

საზოგადოებას მიენოდა ინფორმაცია, რომ საქართველოში 77,000 ბავშვი შიმშილობს, საიდანაც 300 ყოველწლიურად იღუპება. განმარტებას მოითხოვს, თუ რა მდგომარეობა იგულისხმება „შიმშილის“ ქვეშ და აქვს თუ არა ადგილი საქართველოში 77,000 ბავშვის შიმშილს. უწინარეს ყოვლისა, აღნიშნულის დასადაგენად სახელმძღვანელო მონაცემს წარმოადგენს სსიპ სოციალურ მომსახურების სააგენტოს ოფიციალური სტატისტიკა. სააგენტოს 2019 წლის მონაცემების მი-

ხედვით, საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობაა: 0-6 წლამდე პირები – 46 300 და 6-18 წლამდე პირები – 103 913. მთლიანობაში – 150,213 არასრულწლოვანი, სააგენტოს 2017 წლის მონაცემების მიხედვით, საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობა კი შეადგენდა: 149,857 არასრულწლოვანი. კერძოდ, 0-6 წლამდე პირები – 47 314 და 6-18 წლამდე პირები – 102 543.

ორგანიზაციამ შეისწავლა გლობალური შიმშილის ინდექსის მონაცემი საქართველოსთან მიმართებით, რომლის თანახმადაც, **2019 წლის მონაცემით, საქართველო იკავებს 39-ე ადგილს 117 მონაწილე სახელმწიფოდან. უპირველეს ყოვლისა, ყოველი სახელმწიფოსთვის განსასაზღვრი ღირებულება ეფუძნება ოთხ ფაქტორს:** კვების ნაკლებობა; მოსახლეობა, რომელიც არასაკმარისად იკვებება, ბავშვის შიმშილის დონე: 5 წლამდე მოშიმშილე ბავშვები, ბავშვის ზრდის შეჩერება: ზრდა შეჩერებული 5 წლამდე ბავშვები და ბავშვის სიკვდილიანობა: 5 წლამდე სიკვდილიანობა.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ აღნიშნულ თემებს შედეგობრივ დონეზე ენიჭებათ თანაბარი ძალა (თანაბარი ქულის მინიჭების კუთხით). ოთხივე კომპონენტს ენიჭებათ სტანდარტული ქულები. შედეგად, სამივე ელემენტის დაჯამების შედეგად დგება გლობალური შიმშილის ინდექსის ქულა, სადაც 0 არის საუკეთესო (შიმშილის გარეშე) და 100 – ყველაზე ცუდი. **საქართველო, ამ თვალსაზრისით და დასახელებულ კომპონენტებში, შემდეგი მონაცემით გამოიყურება და 9.2 ქულით, საქართველო ხვდება შიმშილის დაბალი კატეგორიის მაჩვენებელში:** 2019 წელს (2014-2018 წლის) მონაცემით საქართველოს ჰქონდა 9.2 ქულა, 2010 წელს (2008-2012 წლის) მონაცემით საქართველოს ჰქონდა 8.4 ქულა, 2005 წელს (2003-2007 წლის) მონაცემით საქართველოს ჰქონდა 10.4 ქულა, 2000 წელს (1998-2002 წლის) მონაცემით საქართველოს ჰქონდა 14.5 ქულა.





**კანონი ბავშვის უფლებების მხარეს დგას**

ბავშვთა უფლებათა კოდექსის მიღება, ერთ-ერთი წინგადადგმული და ინსტიტუციური მოვლენაა, რომელიც 2020 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. კანონმდებელი ბოლო პერიოდში განსაკუთრებულად ამახვილებს ყურადღებას არასრულწლოვანთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საკითხზე. აღნიშნული ეხება, როგორც საპროცესო, აგრეთვე მატერიალურ კანონმდებლობას. საკანონმდებლო ნოვაციის მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვანის წარმომადგენლის უფლებამოსილების გარკვეულწილად შეზღუდვა, მკაცრად რეგლამენტირება და მისი უფლებამოსილების პირადი ინტერესებისთვის გამოყენების მაქსიმალურად შეზღუდვა.

სასამართლო პრაქტიკამ და ფაქტობრივმა რეალობამ განსაკუთრებულად ცხადყო ის, რომ არასრულწლოვანის წარმომადგენელი ყოველთვის შესაძლებელია არ მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, რათა დაიცვას წარმოდგენილი პირის ინტერესები. შედეგად კი არასრულწლოვანს ადგება მნიშვნელოვანი ზიანი. ამდენად, საკანონმდებლო სიახლეები გამოირჩევა კომპლექსური მიდომით, რაც დადებითად შესაფასებელია. აღნიშნულის მიზანია, რომ არსებული პრობლემა და საფრთხე აღმოიფხვრას არა ერთი რომელიმე აქტის დონეზე, არამედ სისტემურად. ყოველივე ეს კი გამოიხატა შემდეგი ცვლილებების სახით:

თუ მანამდე უძრავი ნივთის გასხვისებას ახდენდა არასრულწლოვანის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, ბავშვის ინტერესების შესაბამისად, მიმდინარე ცვლილებებით უკვე ჩამოყალიბდა ნორმის ახალი რედაქცია და არასრულწლოვანის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა, დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე. რაც შეეხება მოძრავი ნივთების განკარგვის საკითხს, ამ ნივთების ფარგლები კანონმდებელმა დეტალურად, კონკრეტულად განსაზღვრა და დაადგინა, რომ 1000 ლარზე მე-

ტი ღირებულების მოძრავი ნივთის მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობით. გარდა ამისა, არასრულწლოვანის სასარგებლოდ განიმარტა ხანდაზმულობის ვადის საკითხი ზიანის ანაზღაურებისას. კერძოდ, თუ მოთხოვნას წარმოადგენს არასრულწლოვანის მიმართ ძალადობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ხანდაზმულობის ვადა ჩერდება მანამ, სანამ არასრულწლოვანი მიმართავს სასამართლოს ან მიაღწევს სრულწლოვან ასაკს. აღნიშნული ცვლილების მიზანი პირდაპირ მიემართება იმ ნეგატიურ ფაქტორებს, რომელიც არასრულწლოვანის შესაძლოა მიემართებოდეს გარშემომყოფებისგან, მათ შორის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისაგან და გამოვლენილდეს ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური, ოჯახური ან ძალადობის სხვა ნებისმიერი ფორმით.

არასრულწლოვანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს პრივილეგიურულ მდგომარეობას ანიჭებს ადმინისტრაციული კანონმდებლობაც. კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვისას დაწესებულებამ ბავშვთან დაკავშირებული განცხადებისა და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვას პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს. სამართლებრივი დახმარების განევისას ადმინისტრაციულმა ორგანომ ბავშვს ინდივიდუალური ნიშნების გათვალისწინებით, მისთვის გასაგები ფორმით უნდა მიანოდოს საჭირო ინფორმაცია და, ამავდროულად, არასრულწლოვანს უნდა ჰქოდეს საკუთარი მოსაზრების გამოხატვისა და დაფიქსირების შესაძლებლობა. ის ფაქტი, რომ იგი არასრულწლოვანია, არ ართმევს მას ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობის შესაძლებლობას. უფლების დაცვის შემთხვევაში კი, თუ ადმინისტრაციული წარმოება ეხება ბავშვის უფლებებს, მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი უნდა იყოს სათანადო სპეციალიზაციის სუბიექტი. რომლის მონაწილეობაც, გონივრული და რელევანტური იქნება ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით პროცესში მონაწილეობისას.



# საქმე ჰააგის კონვენციის ფარგლებში და ქართული სასამართლო

ორგანიზაციამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეტაპზე, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განახორციელა „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰააგის კონვენციის ფარგლებში წარმოებულ დეაზე, სადაც საქმე ეხებოდა ევროკავშირისა და ჩეხეთის რესპუბლიკის მოქალაქე არასრულწლოვანი კვიპროსის რესპუბლიკაში, ერთ-ერთი მშობლის მხრიდან დაბრუნების მოთხოვნას. ვინაიდან ჰააგის კონვენციის ფარგლებში მსგავსი კატეგორიის საქმეების განხილვა ქართულ სასამართლოში სიმრავლით არ გამოირჩევა, ორგანიზაციის სამართლის ჯგუფმა შეისწავლა ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის ევროსამართლოს ერთი საქმე საქართველოს წინააღმდეგ. ვინაიდან ორგანიზაციის წარმომადგენლები საქმეზე ბავშვის კვიპროსის რესპუბლიკაში დაბრუნების სასარგებლოდ იქნა გადაწყვეტილი თბილისის საქალაქო სასამართლოში, ორგანიზაციის გუნდმა დეტალურად შეისწავლა საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი ვარაუდები, სამართალწარმოების პირველ ეტაპზე შესაძლო პროცესული ხარვეზები და მთელი 8 თვის განმავლობაში, განახორციელა ფართომასშტაბიანი ადვოკატურა მთავარი მიზნის მისაღწევად – ბავშვი დარჩენილიყო საქართველოში. ამ პროცესული ძალისხმევების ფარგლებში, თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმეს ახალი მტკიცებულების სახით დაურთო 27 ახალი დოკუმენტი, მასალები, რომელიც არ იქნა წარდგენილი ან მოძიებული პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, დედას აუკრძალა ბავშვის საქართველოდან გაყვანა (გადაადგილება), მოხდა იმ დარღვევებისა და კანონშეუსაბამო მოქმედებების გამოაშკარავება და მათზე მისიერი რეაგირება, რომელიც საქმის ფარგლებში თვალსაჩინო გახდა სხვადასხვა დაკავშირებული პირების ქმედებებში, მათ შორის სოციალური მომსახურების სააგენტოს პასუხისმგებელი პირების გადაწყვეტილებებში.

საქმის მასალებით ცნობილია, რომ 6 წლის არასრულწლოვანი მამა ევროკავშირისა და ჩეხეთის მოქალაქეა, დედა – რუსეთის ფედერაციის მოქალაქე. ოჯახი ჯერ ცხოვრობდა ჩეხეთის რესპუბლიკაში, შემდეგ კვიპროსის რესპუბლიკაში, თუმცა 2017 წლიდან ოჯახმა გადაწყვიტა საცხოვრებლად აერჩიათ საქართველო. 2018 წლიდან, არასრულწლოვანი, მამა და ბებია საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. თბილისში, დედა კი ცხოვრებას აგრძელებდა კვიპროსში. არასრულწლოვანის არაფორმალური აღზრდისა და დედის ნარკოტიკზე დამოკიდებულების გამო, მამა საქართველოში გადაწყვიტა განქორწინების დავის წარმოება, რამაც მეუღლის შეურიგებელი პოზიცია გამოიწვია. განქორწინების პროცედურები საქართველოში დაიწყო 2019 წლის ივნისში, 2019 წლის აგვისტოში კი კვიპროსში მყოფმა ქალბატონმა მიმართა ამავე ქვეყნის ოსტიციისა და საჯარო წესრიგის სამინისტროს და განაცხადა, რომ შვილის ადგილსამყოფელს ვერ პოულობდა და მამას თანხმობის გარეშე ჰყავდა გადაადგილებული. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მამა, შვილი და ბავშვის ბებია საქართველოში დაბრუნდნენ 2018 წლის 4 დეკემბერს. მეუღლებს შორის სოციალური ქსელის მიმონერებით მტკიცდება შვილის ადგილმდებარეობის შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდების ფაქტებიც. შესაბამისად, საქმის მასალების ერთობლიობა ცხადყოფდა, რომ 2019 წლის აგვისტოს თვეში ბავშვის გაუჩინარებაზე განაცხადება უსაფუძვლო და მეუღლის მიმართ სამართლებრივი პრობლემების შექმნის მიზანს ემსახურებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ბავშვის ჩვეული საცხოვრებელი ადგილი კვიპროსის რესპუბლიკაა, მაგრამ სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დარღვევით. მოუსმინა, მაგრამ არ გათვალისწინა საცხოვრებელი ადგილის შესახებ ბავშვის პოზიცია, საქართველოს საცხოვრებლად არჩევის დასაბუთება, ადამტანა და გარემო. გადაწყვეტილება დაეფუძნა დედის წარდგენილ ორ მტკიცებულებას – კვიპროსში საცხოვრებელი ადგილისა და დასაქმების შესახებ ცნობებს, მაგრამ საქმის სააპელაციო ეტაპზე განხილვის დროს ცნობილი გახდა, რომ დოკუმენტები ყალბია – სასტუმრო დასაქმების კონტრაქტის არსებობას უარყოფს და ოფიციალური წესით არ იძენება ქუჩა და შენობა, რომელიც დედას საცხოვრებელ მისამართად ქირის ხელშეკრულებაში ჰქონდა მითითებული. ორივე დოკუმენტი სასამართლოსთვის ჩვენმა გუნდმა მოიპოვა.

არასრულწლოვანის მამის ოჯახი უარს აცხადებს არასრულწლოვანის კვიპროსში ნებაყოფლობით დაბრუნებაზე და მათ აქვს ყველა ვარგისი მტკიცებულება დაამტკიცოს, რომ არასრულწლოვანი არამართლზომიერად არ იმყოფება საქართველოში და არც უკანონოდ დაკავებულ პირს წარმოადგენს. სამწუხაროდ, არასრულწლოვანი დედის მიმართ, ქართულმა პოლიციამ 3-ჯერ მიიღო შემაკავებელი ორდერის გამოყენების გადაწყვეტილება. ორ შემთხვევაში – მეუღლესთან კონფლიქტის გამო, ერთ შემთხვევაში კი ბავშვთან ფსიქოლოგიური ძალადობის საფუძველზე, ხოლო მას შემდეგ, რაც მამის ოჯახი 2018 წლის დეკემბრიდან საქართველოში საცხოვრებლად კვიპროსიდან გადმოვიდა, შეწყდა დედის მატერიალური უზრუნველყოფა, ქალბატონმა სარჩელი წარადგინა შვილის გაუჩინარების საფუძველებით და სამართლებრივი მეთოდებით დაიწყო საქართველოში მყოფი მეუღლის ოჯახის შევიწროება.

2020 წლის 31 ივლისის განჩინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რასაც ორგანიზაციამ ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება უწოდა. სასამართლოს განმარტებით, ბავშვი საქართველოში არ არის ადაპტირებული, საქართველოში გადაადგილებულია არამართლზომიერად და მშობლებს შორის არ არის გადაწყვეტილი ბავშვის საცხოვრებელი ადგილი, თუმცა მტკიცებულებები, რომელზედაც დაფუძნდა მსჯელობა, საკამათოა. სააპელაციო სასამართლომ ბავშვთან გასახურების მეტი დრო ქართულ ენაზე აწარმოა. ბავშვი, ბოლო 1 წლის განმავლობაში, იმდენად ინტეგრირებული გახდა გარემოსთან, რომ შეეძლო ქართული ენის შესწავლა, რაც გაზიარებული არ ჰქონია. სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა მტკიცებულებები, რა დროსაც, ბავშვის საქართველოში შემოსვლის პერიოდში, მშობლებს შორის არსებობდა კონტაქტი არასრულწლოვანის გადაადგილების შესახებ. შესაბამისად, არ მოხდარა არამართლზომიერად გადაადგილების გამომრიცხავი სხვა მტკიცებულებების გაზიარება. რაც შეეხება ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის საკითხს, აღნიშნული არ წარმოადგენდა სასამართლოს კვლევის საგანს, რითაც „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰააგის კონვენციის არასწორ განმარტებასთან გვაქვს დაშვება.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციმ აღნიშნა პრესისთვის განაცხადა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, ჰგავს პასუხისმგებლობის აღებაზე შეგნებულ უარს და პრობლემის საქართველოს უზენაეს სასამართლოსკენ დამისამართებას. საქმეს ამჟამად სწორედ საკასაციო სასამართლო განიხილავს. გადაწყვეტილება ორიენტირებული უნდა ყოფილიყო ბავშვის ქვშმარტი ინტერესებზე და არა – მშობლების სურვილებზე, სასამართლოს სწორად უნდა განესაზღვრა არასრულწლოვანის ეს ინტერესები, რაც კრიტიკას ვერ უძლებს. იმ პირობებში, როდესაც ბავშვის არც ერთი მშობელი აღარ ცხოვრობს კვიპროსის რესპუბლიკაში, სასამართლომ დედისგან მიიღო ინფორმაცია, რომ დასაქმებული არ არის კვიპროსში, არც საცხოვრებელი არის უზრუნველყოფილი, ბავშვი 2018 წლიდან ცხოვრობს და ვითარდება საქართველოში, ჰყავს ქართველი მეგობრები, დადის ბაღში, მამა მუდმივად ცხოვრობს და საქმიანობს საქართველოში ოჯახთან ერთად. საქმეში არსებობს მშობლებს შორის 2015 წლის 17 დეკემბრის შეთანხმება, რომელიც ადგენს შვილის მიმართ მამის ექსკლუზიურ მზრუნველობას და ბავშვი დაბადებიდან ცხოვრობს მამის ოჯახთან ერთად, სასამართლოს უნდა ეფიქრა ახალ ვარაუდებზე და მიეღო ბავშვის საქართველოში დარჩენის გადაწყვეტილება, რადგანაც საქართველო, ყველა წინაპირობით, უკვე ითვლება ბავშვის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილად. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არც ერთ შემთხვევაში, არ ეხება ბავშვის უფლებების დაცვას. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებიდან „ბავშვი“ დაცვის ღირსი ინტერესის გარეშე დატოვა, შეგნებულად უარი თქვა „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰააგის კონვენციის სწორ განმარტებასა და დისკრციული უფლებამოსილების გამოყენებაზე, რა შემთხვევაშიც, არ არსებობდა არავითარი ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამდგომელი, არასრულწლოვანი კვიპროსის რესპუბლიკაში დაბრუნების გადაწყვეტილება გაზიარებულიყო.



## ორგანიზაცია უცხო ქვეყნის მოქალაქის დაცვას პრეზიდენტს სთხოვს



„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ორგანიზება გაუკეთა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან ევროკავშირისა და ჩეხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, საქართველოში მყოფი ჩეხი ბიზნესმენის საჯარო განცხადების მომზადებას და მედიასთან შეხვედრას, რომელმაც პრეზიდენტს სახელმწიფო უწყებების ძალმომრეობისგან საკუთარი ოჯახის დაცვა სთხოვა. ბატონი ანტონი პრეზიდენტისადმი მიმართვაში ამბობდა, რომ ქალიშვილთან და დედასთან ერთად, 2016 წელს ჩამოვიდა საქართველოში, რომელიც თავისი რწმენით არის საუკეთესო ადგილი ბიზნესის დაწყებისთვის, განვითარებისთვის, ახალი შესაძლებლობებისა და საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. გაეცნო ქვეყანას და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ოჯახი საცხოვრებლად კვიპროსის რესპუბლიკიდან საქართველოში გადმოსულიყო. 2017 წლის ბოლოს, სამუდამოდ გადმოვიდა საქართველოში, მიიღო ყველა ნებართვა ქვეყანაში ლეგალურად ცხოვრებისთვის და თავისი ბიზნეს-საქმიანობა გააგრძელა საქართველოში, რადგანაც გარემო, სადაც უწევდა საქმიანი ურთიერთობები, მენტალობა, კულტურული გამოცდილება და ქვეყნის სამართლებრივი სისტემა, სრულად მისაღები და დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა შემდგომი საქმიანობისა და გადაწყვეტილებისთვის.

„ჩეხეთის რესპუბლიკა მხარს უჭერს საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობასა და ევროკავშირში მის ინტეგრაციას და პირადად მეც ამ პროცესის დიდი მხარდამჭერი ვარ“ – ამბობდა ბატონი ანტონი, თუმცა საკითხები, რომელიც ოჯახის წინაშე დადგა, ჩვენმა ორგანიზაციამ მთელი სიმწვავეით წარმოაჩინა ქართული სოციალური სამსახურისა და საგამოძიებო ორგანოების წინაშე, მათზე სამართალწარმოება მიმდინარეობს და ორგანიზაციამ საჭიროდ მიიჩნია უცხო ქვეყნის მოქალაქის წინაშე მდგარი უფლების დარღვევის შემთხვევებზე საქართველოს პრეზიდენტისთვისაც ცნობილი გამხდარიყო.

საზოგადოებამ 2 ივნისს მიიღო ინფორმაცია ორი სახელმწიფო დანესებულების – სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მეოთხე განყოფილების ერთობლივი ოპერაციის შესახებ, რამაც გამოიწვია ბავშვის ერთი კანონიერი მშობლიდან მეორე კანონურ მშობელზე, ბავშვის ნების საწინააღმდეგოდ, გადაცემა და წართმევა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა „ახალგაზრდა ადვოკატების“ სამართლებრივი დასაბუთება, რომელიც შეეხებოდა დედის მხრიდან საქართველოდან შვილის, როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური გზით გატაცების ობიექტურ საფრთხეს და მეუღლის მიმართ შურისძიების მოტივებს.



შესაბამისად, დედას აუკრძალა შვილის საქართველო-დან გაყვანა და გადაადგილება.

გამოძიების საგანს წარმოადგენს 2019 წლის 25 აგვისტოს, მარტვილის მუნიციპალიტეტიდან ბატონი ანტონის შვილთან ერთად არამართლზომიერად, მათი ნების საწინააღმდეგოდ გადაადგილება, რაც, საბოლოო ჯამში, დასრულდა მათი ბათუმის პოლიციის მეშვეობით განყოფილებაში მიყვანით. საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი შემადგენელი, ტოვებს საფუძვლიან ვარაუდს, რომ ადგილი ჰქონდა თავისუფლების უკანონოდ ხელყოფას, გამოძიებამ უნდა დაადგინოს, რა მიზნით, ქვენაგრძობით და მოტივაციით, ვინ იყვნენ გადაადგილებაში ჩართული პირები და რა განვითარება ჰქონდა მარტვილიდან ბათუმამდე ევროკავშირის მოქალაქეების გადაადგილებას ისე, რომ მათთვის სრულიად უცნობი და გაუგებარი აღმოჩნდა გადაადგილების მიზნები და გარემოებები. ვითარებას ამძიმებს ის გარემოება, რომ ამ პროცესის მონაწილე გახლდათ არასრულწლოვანი და მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ აღმოჩნდა მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობა.

რაც შეეხება ქართულ სასამართლოში, ჰააგის კონვენციის ფარგლებში, ბავშვის საქართველოში მართლზომიერად ყოფნის შემონების საქმეს, სამწუხაროდ, სოციალური სამსახური დოკუმენტებისა და გარემოებების გაყალბების გზას დაადგა. ორგანიზაცია 2020 წლის ივლისში, არასრულწლოვანის საქმეზე, წინასწარი შეცნობით, დასკვნების სავარაუდო გაყალბების ფაქტებზე, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული ცენტრის უფროსი სოციალური მუშაკის/უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სასამართლო წარმომადგენლობისა და აღსრულების სამმართველოს უფროსისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ცენტრის ფსიქოლოგის მხრიდან საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, სავარაუდო მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის მოთხოვნით, საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიმართა. ექსპერტის მიერ ადმინისტრაციული წარმოების დროს, სოციალური სამსახურისთვის წარდგენილია სავარაუდოდ ყალბი დასკვნა, რომელიც არსებითად ლახავს ბატონი ანტონის, როგორც მოქალაქის, ბავშვის კანონიერი წარმომადგენლისა და თავად არასრულწლოვანის ინტერესებს, მოითხოვს გადაუდებელ შემონებებს და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას.

„თუ ასე გაგრძელდა, მე იძულებული ვარ დავტოვო საქართველო, დავბრუნდე მშობლიურ ჩეხეთის რესპუბლიკაში, დავეხურო ჩემი ოფისი, უარი ვუთხრა ქართველ დასაქმებულებს და ბიზნესი ისევ გადავიტანო სხვა ქვეყანაში. პრეზიდენტი არის საქართველოს კონსტიტუციის დაცვის გარანტი, საქართველოს მოქალაქეების, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების საქართველოში უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტი“ – ამბობდა ბატონი ანტონი.







## ბავშვის ინტერესების უგულვებელყოფა – პირველი საქმე, რომელიც სასამართლომ განიხილა

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების უგულვებელყოფა განმარტებულია, როგორც მშობლის (მშობლების), სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია და შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე. მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომლის კანონიერი ინტერესები უგულვებელყოფილია და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა, ხოლო კანონის განმარტებით, „მოძალადე“ ოჯახის წევრი, რომელიც არღვევს ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ჩართულობით და წარმომადგენლობით, ქართულმა სასამართლომ პირველად განიხილა ბავშვის ინტერესების უგულვებელყოფის საქმე და ამჟამად კანონიერ ძალაშია შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 29 ივნისის დასახელებული საქმის გადაწყვეტილება. სასამართლომ საქმის ობიექტური და ყოველმხრივი კვლევის შედეგად დაადგინდა, რომ ა. შემაკავებელი ორდერი გამოცემული იქნა არასრულ-

წლოვანის ინტერესების უგულვებელყოფის ფაქტის სადავობის პირობებში და არ არსებობდა არც ერთი უტყუარი მტკიცებულება, რომელიც დაამტკიცებდა რომ მამა ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდა შვილზე დედასთან ურთიერთობის სურვილის აკრძალვაზე.

ბ. შემაკავებელი ორდერი გამოცემული იქნა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული ცენტრის 2020 წლის 30 მაისის დასკვნის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს არა დასკვნას, არამედ ინფორმაციული ხასიათის წერილს და წერილში მოყვანილი გარემოებები თავად სადავოდა გამხდარი და შეფასებული წერილის ავტორი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ,

გ. შემაკავებელი ორდერი გამოცემულია ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული ცენტრის 2020 წლის 30 მაისის დასკვნის საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ ეყრდნობა მამის მიმართ შეფარდებულ ადმინისტრაციულ ოქმებს (გაფრთხილება, დაჯარიმება), თუმცა წინამდებარე აქტების კანონიერება გასაჩივრებულია სასამართლო წესით და წინამდებარე დავის ფარგლებში, არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ცალსახად დაადგინდა გამოცემული აქტების კანონიერებას და ამ თვალსაზრისით, მამის მხრიდან სასამართლოს დედის შვილთან ურთიერთობის დროებითი განკარგულების შეუსრულებლობას და

დ. შემაკავებელი ორდერი ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის განყოფილების მართლწესრიგის ოფიცრის მხრიდან გამოცემული იქნა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული ცენტრის 2020 წლის 30 მაისის დასკვნაში აღნიშნული გარემოებების შემომწმების გარეშე, შემაკავებელი ორდერის გამოცემისთვის დამტკიცებული შეკითხვების ფორმალური გაგებით, ბავშვის ინტერესების უგულვებელყოფის, როგორც არსებითი დარღვევის უტყუარი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების არარსებობის პირობებში.





## ქართულ კომპანიებს არ სურთ უპასუხონ, ჰყავთ თუ არა დასაქმებული არასრულწლოვანები

ორგანიზაციამ კერძო სექტორში არასრულწლოვანთა დასაქმების საკითხის და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი გარემოს შეფასებაზე, შესწავლის შედეგები გამოაქვეყნა და აღნიშნა, რომ ქართული კომპანიები არ საუბრობენ. ჰყავთ თუ არა დასაქმებული არასრულწლოვანები, რამდენი მათგანია 16 წლამდე ან/და 14 წლამდე, რამდენია დასაქმებულთა რიცხოვნება, რამდენ მათგანთანაა დადებული წერილობითი ან/და ზეპირი შრომის ხელშეკრულება. ორგანიზაცია საკითხს ბავშვის უფლებების კოდექსის მოთხოვნებთან მიმართებით განიხილავს, რა დროსაც, სახელმწიფო 2020 წლის 1 სექტემბრიდან ვალდებულია, შექმნას შრომის ინსპექტირების უფლებამოსილების მქონე უწყება, რომელსაც შეუძლია მიმართოს ბავშვმა მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, რაც პრობლემის მონესრიგების ინსტიტუციურ გადაწყვეტას წარმოადგენს.

შესწავლის ფარგლებში, გამოიკითხა ის ცნობილი ქართული კომპანიები, რომლებიც საქმიანობენ კვებით პროდუქტების, სარესტორნო, ნავთობისა და ფარმაციის სფეროში. ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენდა, მონიტორინგში მონაწილე კომპანიები უნდა ყოფილიყვნენ საზოგადოებისთვის სანდო და ცნობილი, მონაწილე კომპანიები არ უნდა შეადგენდნენ სამომხმარებლო ერთ სფეროს და კომპანიებს უნდა ჰქონოდათ მსხვილი გადამხდელის სტატუსი. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, ორგანიზაციამ ოფიციალური წერილით მონიტორინგის ფარგლებში მიმართა შემდეგ ცნობილ კომპანიებს: „გალფი“, „ვისოლი“, „სოკარი“, „ლუკოილი“, „შარბათი“, „ფუნიკულიორი“, „თავადური“, „ჭაშნაგირი“, „ქართული სახლი“, „რუმსი“, „ქორთიარდ თბილისი“, „რედისონი“, „ბრიტანული სახლი“, „ნიკორა“, „გუდვილი“, „სპარი“, „კარფური“, „სმარტი“, „ფუდმარტი“ და „ორი ნაბიჯი“. სულ – 20 კომპანიას, რომელთაგან 5 მონიტორინგის პროცესში მიიღო მონაწილეობა, 8 კომპანიასთან შედგა კომუნიკაცია, მაგრამ შესწავლის პროცესში მონაწილეობა არ მიიღო, ხოლო 5 კომპანიასთან კომუნიკაცია არ შედგა, მაგრამ მათ შესწავლის შესახებ ეცნობათ.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ინტერესს წარმოადგენდა შემდეგი სახის ინფორმაციის მიღება, ვინაიდან არსებული პრაქტიკით, ყველაზე მეტად, არასრულწლოვანები, სწორედ

დასახელებულ სამომხმარებლო სფეროშია დასაქმებული, მათთან არ არსებობს კანონით გათვალისწინებული შრომითი კონტრაქტები და მონესრიგებული არ არის სამართლებრივი მხარე, რომელის დაცვასაც კანონი ადგენს.

- ინფორმაცია, 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით, არის თუ არა დასაქმებული კომპანიაში არასრულწლოვანები, რამდენი მათგანია 16 წლამდე ან/და 14 წლამდე, რამდენია დასაქმებულთა რიცხოვნება, რამდენ მათგანთანაა დადებული წერილობითი ან/და ზეპირი შრომის ხელშეკრულება;
- ინფორმაცია, 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო თუ არა დასაქმებული კომპანიაში არასრულწლოვანები, რამდენი მათგანი გახლდათ 16 წლამდე ან/და 14 წლამდე, რამდენი იყო დასაქმებულთა რიცხოვნება, რამდენ მათგანთანაა იყო დადებული წერილობითი ან/და ზეპირი შრომის ხელშეკრულება;
- დასაქმებულ არასრულწლოვანების სამსახურეობრივი პოზიცია;
- დასაქმებული არასრულწლოვანების დასაქმების გრაფიკი და დროის ხანგრძლივობა;
- კანონით დადგენილი რა შეღავათებით სარგებლობს კომპანიაში დასაქმებული არასრულწლოვანები;
- რამდენს შეადგენს დასაქმებული არასრულწლოვანების ხელზე ასაღები შრომითი ანაზღაურება;
- არასრულწლოვანთან დადებული ერთი შრომითი ხელშეკრულება, დასაქმებულის იდენტიფიცირების გარეშე. კომპანიებმა, რომლებმაც შესწავლის ფარგლებში ორგანიზაციასთან ითანამშრომლა, მიუთითეს, რომ მათი საქმიანობის მანძილზე, არასრულწლოვანი პირები დასაქმებულები არ ყოლიათ. ცალსახად, მათ შესწავლის ფარგლებში, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა და საკითხის მიმართ სერიოზული დამოკიდებულება გამოავლინეს, მაგრამ არასრულწლოვანთა უფლებების მიმართ ყველა იმ კომპანიის ვალდებულება, რომელიც რაიმე ფორმით, ლეგალურად იყენებს ბავშვთა შრომას, 2020 წლის 1 სექტემბრის შემდეგ გამჭვირვალობას, სავალდებულოობასა და სპეციალური მოთხოვნების დაცვას ეფუძნება, რასაც ყველას ძალაში შესული ახალი კანონი ავალდებულებს.



კონსერვატორიის დიდი  
საკონსერტო დარბაზი  
CONSERVATOIRE GRAND HALL

28 დეკემბერი  
DECEMBER 2019

20:00

Photo by Gela Megreidze



კომპოზიტორი/პიანისტი

ცოცნა ჯედგინიძე

Composer/pianist

TSOTNE ZEDGINIDZE

ხელმძღვანელი - პროფესორი ნინო მამრადზე

Mentor NINO MAMRADZE



ახალგაზრდა ადვოკატები



ფორტა  
@რუსთაველი  
საბჭოთა სასაზღვრო





# ცოტნე – ბავშვი ჯადოსნური ხელებით

„ახალგაზრდა ადვოკატებს“ და მის გუნდს პატივი აქვს უზრუნველყოს ცოტნე ზედგინიძის, როგორც მას დამსახურებულად უწოდებენ – თანამედროვე მოცარტის, ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო და ნიჭიერი კომპოზიტორის დაცული დღევანდელი და მომავალი სამართლებრივი გარემო. ჩვენთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა ცოტნეს უფლებები დავინახოთ ახალი ბავშვის უფლებათა კოდექსის შესაძლებლობებით და მასთან ერთად, ყველა ბავშვს ვუთხრათ, რომ ჩვენ

ვართ მათი ინტერესების დამცველი გუნდი. ჩვენ, ცოტნესთან ერთად, ჩვენს მშობლებს, ჩვენს დებს და ძმებს, ჩვენს ნათესავებს, ჩვენს მეგობრებს, ჩვენს მასწავლებლებს, ჩვენს ამღზრდელებს, ჩვენს საზოგადოებას და განურჩევლად ყველა ადამიანს ვეუბნებით – ბავშვი თანასწორია, მას აქვს ნარეული ღირებულებები და ყველა გადანყვეტილებაში, რომელიც ბავშვებს უკავშირდება, მათი საუკეთესო ინტერესები არის უპირატესი.

- ბავშვის ღირსება ხელშეუვალია;
- დაუშვებელია ბავშვის წამება, მისდამი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა;
- ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადანყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს;
- ბავშვს აქვს სიცოცხლისა და პიროვნული განვითარების უფლება;
- ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადანყვეტისას, რომელიც მის რომელიმე უფლებას ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე, და გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად;
- ბავშვს უფლება აქვს, ცხოვრობდეს უვნებელ გარემოში, სადაც მისი ჰარმონიული განვითარებისა და კეთილდღეობისთვის ყველა პირობაა შექმნილი;
- ბავშვს უფლება აქვს, საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს, ისარგებლოს მართლმსაჯულების სისტემით;
- ბავშვს აქვს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება;
- ბავშვს აქვს ინტელექტუალური შემოქმედების უფლება;
- ბავშვს უფლება აქვს, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში, სადაც შექმნილია პირობები მისი ჰარმონიული აღზრდისა და განვითარებისთვის და კეთილდღეობისთვის.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ცოტნეს და მასთან ერთად, ყველა ბავშვს უსურვებს ბედნიერ, მშვიდობიან, წარმატებულ და ჰარმონიულ გარემოში ცხოვრებას, განვითარებას და ახალ შესაძლებლობებს.







## ინიციატივა მთავრობას – „თვითდასაქმებულის“ სტატუსი კანონით დაცული უნდა გახდეს

ორგანიზაციამ საქართველოს მთავრობას ინიციატივით მიმართა და „თვითდასაქმებულის“ სტატუსის იურიდიულად განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე მოითხოვა. პანდემიის პირობებში არანაკლებ აქტუალური გახდა „თვითდასაქმებულთა“ თემაც. როგორც აღმოჩნდა, „თვითდასაქმებულის“ ისეთი ლეგალური დეფინიცია, რომლითაც საქართველოს მთავრობა, სოციალური დახმარების განხორციელების პროცესში იხელმძღვანელებდა, ჩვენს კანონმდებლობაში არ არსებობს, შესაბამისად სახელმწიფოს უნევს განსაზღვროს დროებითი კრიტერიუმები, რომლითაც მოახდენს მსგავსი პირების იდენტიფიცირებას. შესაბამისად, იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც საქართველოს COVID 19-თან ბრძოლისა და სპეციალური ღონისძიებების მიღების თვალსაზრისით დაუგროვდა, მნიშვნელოვანია პრაქტიკის განზოგადება და მომავალ სამართლებრივ ურთიერთობებში ასახვა, საკანონმდებლო დამაგრება და ამ მიმართულებით უცხოური გამოცდილების გაზიარება.

ორგანიზაცია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ „დასაქმების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „საკუთარ საწარმოში ან საკუთარ მეურნეობაში მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით მომუშავე პირი ითვლება თვითდასაქმებულად“. კანონის აღნიშნული დანაწესი საკმაოდ ბუნდოვანი და ერთი შეხედვით, გამოუსადეგარია ისეთი პირების იდენტიფიცირების პროცესში, ვინც სახელმწიფო დახმარების მიზნობრივ ჯგუფში შედის. საკანონმდებლო მონესრიგების პარალელურად, ეკონომიკის სამინისტროს უხდება მიზნობრივი სოციალური დასაქმების ინსტრუქციის სახით გამოაქვეყნოს ის სავალდებულო კრიტერიუმები, რომელთა არსებობის დადასტურების შემთხვევაში, პირი ითვლება „თვითდასაქმებულად“. უნდა აღინიშნოს, რომ ინსტრუქციით გათვალისწინებული კრიტერიუმები „თვითდასაქმებულ“ პირთა საკმაოდ ფართო სემანტიკს ეხება, რაც უპოზიტიურად

უნდა შეფასდეს, თუმცა იგი არ არის სრულყოფილი, რადგან ურთულეს და თითქმის შეუძლებელ პროცესს წარმოადგენს აბსოლუტურად ყველა თვითდასაქმებულისთვის დამახასიათებელი კონკრეტული კრიტერიუმების დადგენა.

მთავრობის ინსტრუქციის თანახმად, „თვითდასაქმებულად ითვლება ყველა ის ფიზიკური პირი, რომელიც ეწეოდა რაიმე ტიპის ეკონომიკურ საქმიანობას და იღებდა შემოსავალს, გარდა დაქირავებით დასაქმებულისა“. თვითდასაქმებული პირები იყოფიან 2 კატეგორიად: ფიზიკური პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან შემოსავლების სამსახურში და ფიზიკური პირები, რომლებიც ეწეოდნენ ეკონომიკურ საქმიანობას ან/და ჰქონდათ შემოსავალი, თუმცა არ არიან რეგისტრირებული შემოსავლების სამსახურში.

პანდემიამ გვაჩვენა, რომ საკითხი საჭიროებს უფრო ზუსტ და კონკრეტულ მონესრიგებას. ინსტრუქცია, არ წარმოადგენს საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტს. იგი მხოლოდ დროებითი მექანიზმია ყოველგვარი სავალდებულო და შემდგომში გამოყენების ვარგისიანობის გარეშე, თუმცა ის შეიძლება მივიჩნიოთ საკითხის უკეთ მონესრიგების მცდელობად. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ საჭიროა ისეთი მრავალფეროვანი რეგულაციის შექმნა, რომელიც დეტალურად და ყოვლისმომცველად ჩამოაყალიბებს იმ სტანდარტებს, რომელიც მორგებული იქნება ქვეყანაში არსებულ პირობებზე და შექმნის ერთიან სახელმძღვანელო პრინციპს სხვა მსგავსი ფორს-მაჟორული მდგომარეობების არსებობისას.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საკითხზე მსჯელობის დროს შეისწავლეს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის გამოცდილება, თუ როგორია საკანონმდებლო მონესრიგებისა და შრომის ბაზარზე თვითდასაქმებულთა წილობრივი მაჩვენებელი. ორგანიზაცია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საკითხზე შემდგომი მსჯელობისა და მხარდაჭერის მიმართულებით.





## დროა, ვიფიქროთ ფორს-მაჟორის საკანონმდებლო მონესრიგებაზე და კანონმდებლებთან საკითხის დასმაზე

საქართველოში ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით განხორციელებულმა ღონისძიებებმა, მთლიანად შეცვალა არა მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ, დამატებით, დღის წესრიგში დააყენა ფორს-მაჟორული გარემოებების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრის აუცილებლობა, რაც პირდაპირ დაკავშირებული შრომით-სამართლებრივ და სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრის საკითხთან. შესაბამისად, ჩვენ ვეთანხმებით, რომ დროა, ვიფიქროთ ფორს-მაჟორის საკანონმდებლო მონესრიგებაზე და შესაძლებლობების ტრანსფორმირებაზე.

ორგანიზაციამ აღნიშნულზე სპეციალური განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ფორს-მაჟორი, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, პროფესიულ წრეებსა და კანონმდებლებს შორის განხილვის საგნად უნდა იქცეს. COVID 19-ის შედეგებიდან გამომდინარე ურთიერთობებმა აჩვენა, რომ საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში ფორს-მაჟორის ტერმინის ლეგალური დეფინიციის არარსებობა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და ცნების განსაზღვრა, ფაქტობრივად, მხარეთა ნების ავტონომიაზეა მიმდობილი. ფორს-მაჟორის ცნების ლეგალური დეფინიციის საჭიროება პასუხობს თანამედროვე სამართლებრივი პრობლემატიკის გამოწვევებს და ორიენტირებული იქნება წინასწარ განუსაზღვრელი შედეგების თავიდან აცილებაზე.


მხარეები, რომლებიც პანდემიის პირობებიდან გამომდინარე შეცვლილი გარემოებების გამო სადავო საკითხებზე სასამართლოს მიმართავენ და ვალდებულების შეუსრულებლობის ცალკეული შემთხვევები დასაბუთებული იქნება დაუძლეველი ძალის არსებობით, უნდა გაითვალისწინონ, რომ სარჩელის წარდგენამდე, საჭიროა შეცვლილი გარემოებების გამო, ვალდებულების გადავადებას ან პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაზე მხარეთა შორის არსებობდეს წერილობითი მიმონერა და შესრულების შეუძლებლობა ექვეოდეს საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების ფარგლებში. შესაბამისად, დასაბუთება უნდა გამომდინარეობდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის ნორმატიული შინაარსიდან, რომლის თანახმადაც, **თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების მისადაგება შეცვლილი გარემოებების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილი იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებების დადებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.** საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ფორს-მაჟორი და და-

უძლეველი ძალა იდენტურ ცნებებადაა გაგებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ ფორს-მაჟორის, როგორც დაუძლეველი ძალის არსებობის შემთხვევაში, შეუძლებელი ვალდებულების ჯეროვნად შესრულება, ფორს-მაჟორული სიტუაცია წარმოიქმნება მხარეებისგან დამოუკიდებლად და წარმოადგენს ისეთ ობიექტურ გარემოებას, როდესაც გამოირიცხება მოვალის ბრალი. დაუძლეველი ძალის შეფასებისას მნიშვნელოვანია, თუ რამდენად იყო დაუძლეველი ძალის მიზეზების თავიდან აცილება შესაძლებელი კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში. როგორც ცნობილია, ქვეყანაში ფორს-მაჟორული მდგომარეობის დამონშებას საქართველოს საგაჭრო-სამრეწველო პალატა ახორციელებს და მთლიანად დამოკიდებულია მტკიცების ტვირთსა და კონკრეტულ მდგომარეობის შინაარსზე.

პანდემიის შედეგად, ფორს-მაჟორის ლეგალური დეფინიციის შემოტანის შემთხვევებს ადგილი აქვს ცალკეულ კანონქვემდებარე აქტებში, მათ შორის ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში მხარეთა სამართლებრივი ურთიერთობის მონესრიგების დროს. კერძოდ, ცვლილება შევიდა „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის №12 დადგენილებაში, „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებაში და განისაზღვრა, რომ ამ წესების მიზნებისთვის, ფორს-მაჟორის წარმოადგენს ისეთი დაუძლეველი ძალა, როგორცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, ემიდემია, სახელმწიფო გადატრიალება, საგანგებო მდგომარეობა და სხვა, რომლებიც არ არის დამოკიდებული სანარმოზე და არ ექვემდებარება მის კონტროლს, გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი, შეუძლებელი იქნებოდა მისი თავიდან აცილება და რომელთა გამოც სანარმო ვერ ასრულებს წესებით გათვალისწინებულ პირობებს. ფორს-მაჟორი უნდა დადასტურდეს კომპეტენტური ორგანო მიერ, მათ შორის, გამოცხადებული უნდა იყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. შესაბამისად, განხორციელებულმა ცვლილებებმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმ სამართლებრივ პრობლემატიკას, რაც ფორს-მაჟორის ცნების არარსებობას უკავშირდება კერძო სამართალში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მზადყოფნას გამოთქვამს, საკითხზე შემდგომი დისკუსიისა და პროფესიულ წრესთან ერთად აქტიური კონსულტაციებისთვის, ვინაიდან მოხდეს არსებული გამოცდილებისა და შედეგების შემდგომი საკანონმდებლო დამაგრება.





## შესწავლა, თუ როგორ მოქმედებს სემეკ-ი და კომუნიკაციების კომისია პანდემიის დროს

ორგანიზაცია STOPCOV ფონდში ორი მდიდარი მარეგულირებელი კომისიის მონაწილეობისა და შესაბამისად, სოციალური პასუხისმგებლობის საკითხით დაინტერესდა და ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ჩართულობა შეისწავლა. აღმოჩნდა, რომ კომუნიკაციების კომისიისგან განსხვავებით, სემეკ-ს STOPCOV ფონდთან მიმართებით, არავითარი სოციალური პასუხისმგებლობა და მონაწილეობა არ განუხორციელებია, რაც საჯარო უწყების მენეჯმენტის საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების მხოლოდ ფორმალურ საფუძველზე მეტყველებს.


როგორც ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, ასევე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურების მაჩვენებლებით, საქართველოში ყველაზე მდიდარი ორი საჯარო ორგანოა. მართალია, მათი ყოველწლიური შემოსავლები, რომლებსაც კომისიები სფეროში მოღვაწე რეგულირების საფასურის გადახდელი სუბიექტებისაგან იღებენ, ყოველწლიურად მზარდია, კომისიის თავმჯდომარეების ყოველთვიური ხელფასი 16-20 ათასი ლარის ფარგლებში გაიციმა, ამავე თანხის ფარგლებში გაიციმა ხელფასი კომისიის წევრების მიმართაც, თუმცა მასშტაბური საზოგადოებრივი პრობლემის წინაშე დასახელებული საჯარო უწყებები ნაკლები პასუხისმგებლობით ან ერთჯერადი ვალდებულების შესრულებით გამოირჩევიან. COVID19-თან ბრძოლის ფარგლებში, როგორც ცნობილია, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა გამოთქვა სახელმწიფოსთან თანამშრომლობისა და ფინანსური რესურსის გამოყოფის თაობაზე. ამ ინიციატივის განხორციელების მიზნით, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატში შეიქმნა შესაბამისი პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც დაარსდა STOPCOV ფონდი, სადაც, როგორც ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ასევე, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენელს შეეძლო ვირუსთან ბრძოლაში საკუთარი წვლილის შეტანა.

ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენდა ინფორმაციის მიღება ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიიდან და კომუნიკაციების ეროვნული კომისიიდან. კერძოდ, მოხდა თუ არა დასახელებული უწყებების, როგორც ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან, ასევე კომისიის წევრების მიერ ფონდისთვის ფინანსური რესურსის გამოყოფა. აღმოჩნდა, რომ საქართვე-

ლოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, თანხის გადარიცხვა ფონდში არ განუხორციელებია. მიღებული წერილით განმარტებულია, რომ დაუშვებელია, ეროვნულმა მარეგულირებელმა კომისიამ გაიღოს ისეთი ხარჯები, რომელიც არ შეესაბამება მისთვის კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს. კომისიის ბიუჯეტი, რომელიც დადგენილი წესით ივსება რეგულირების საფასურით, ემსახურება მხოლოდ მარეგულირებელი საჯარო ფუნქციების განხორციელებას და დაუშვებელია კომისიის საბიუჯეტო თანხების სხვა მიზნით გამოყენება. რაც შეეხება კომისიის წევრების მიერ კომისიისგან დამოუკიდებლად ამ ფონდში თანხის გადარიცხვას, საჯარო უწყებამ ინფორმაცია დახურა. კომისიამ საზოგადოების წინაშე თავი ვალდებულად არ ჩათვალა მეტი გამჭვირვალობა ეჩვენებია. კომისიამ განმარტა, რომ საკითხი წარმოადგენს პერსონალურ ინფორმაციას და კონფიდენციალურია, რაც არ პასუხობს საჯარო ინტერესებს და არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე, კომისია ანგარიშვალდებულებას არ ავლენს.

რაც შეეხება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, უწყება განმარტავს, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავებლად 2020 წლის ხარჯები შეამცირა და ფონდში 500,000.00 (ხუთასი ათასი) ლარი გადარიცხა. ასევე, კომისიის თავმჯდომარე კახა ბექაურმა ფონდში გადარიცხა ერთი თვის ხელფასი – 12,168.00 ლარი. კომისიის წევრებმა: ელისო ასანიძემ და მერაბ ქათამაძემ გადარიცხეს, ასევე ერთი თვის ხელფასი – 12,147.00 ლარი. რაც შეეხება კომისიის კიდევ ერთ წევრს ვახტანგ აბაშიძეს, ხელფასიდან გადარიცხულია 5,996.00 ლარი (თანხა განსხვავებულია, ვინაიდან დასახელებული წევრი 2020 წლის 16 აპრილიდან 21 მაისამდე არ წარმოადგენდა კომისიის წევრს წევრობის ვადის გასვლის გამო). აღსანიშნავია, რომ STOPCOV ფონდში პირადი შენატანი ცალკე განახორციელა კომისიის თავმჯდომარემ. კომისიამ ორგანიზაციას დამატებით აცნობა, რომ კახა ბექაურმა გადარიცხა 20,000.00 ლარი. ორგანიზაცია მიესალმება კომისიის თავმჯდომარისა და წევრების სოციალურ პასუხისმგებლობას და სემეკ-ისაგან განსხვავებით, ლიაობას. ამასთან, იმედს გამოთქვამთ, რომ კომისიას პრობლემის მიმართ არ ექნება ერთჯერადი ვალდებულების შესრულების სახეც.









## როგორ ვუშველოთ უსახლკართთა პრობლემას, როდესაც სტატუსის მაძიებელთა რიცხვი – მზარდია

ორგანიზაციამ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკართთა სოციალური დაცვის საკითხები, სტატუსის მაძიებელთა წინაშე არსებული პრობლემები, თავშესაფართა და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესი შეისწავლა, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური შესაძლებლობის პირობებში, გამოკვეთილია ა. სტატუსის მაძიებელთა განცხადებებზე დროში გახანგრძლივებული პასუხის, ბ. პროცესის ეფექტიანი მართვისა და გ. სათანადო კრიტერიუმების განსაზღვრის პრობლემები, რომელიც დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს.

შესწავლილი მასალის თანახმად, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, უსახლკარო სტატუსი 1649 პირს მიენიჭა. უნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაცია და თავშესაფრით/საცხოვრებელი უზრუნველყოფა ხორციელდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული „თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, რაც შეადგენს 1 314 800 (ერთი მილიონ სამას თოთხმეტი ათას რვაასი) ლარს, ხოლო ამავე საბიუჯეტო მაჩვენებლებით, „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა პროგრამის ფარგლებში“, გათვალისწინებულია 6 727 000 (ერთი შვიდი მილიონ შვიდასოცდაშვიდი) ლარი, რაც წარმოადგენს ქ. თბილისის 10 მუნიციპალიტეტზე გადანაწილებულ ფინანსურ მაჩვენებელს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-14 დადგენილებით დამტკიცებული წესი განსაზღვრავს პირის/ოჯახის უსახლკაროდ რეგისტრაციის კრიტერიუმებს, პროცედურებს და თავშესაფრით/საცხოვრისით დაკმაყოფილების პირობებს. შესაბამისად, აღნიშნული წესის თანახმად, უსახლკარო პირის/ოჯახის სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილებაზე. აღსანიშნავია, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრებში, ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 1 თავშესაფარი, რომელიც მდებარეობს ლილოს დასახლებაში. ასევე, მუნიციპალიტეტის საზღვრებში ფუნქციონირებს 3 სოციალური საცხოვრისი.

მოპოვებელი ინფორმაციის თანახმად, 2018-2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზუსტი რიცხვი არ ფიქსირდება, თუ რამდენმა ადამიანმა მიმართა სახელმწიფოს განცხადებით სათანადო საცხოვრისის არმქონე პირის სტატუსის მისაღებად. არ არსებობს უსახლკარობის ერთიანი ეროვნული სტატისტიკა, რაც უფრო მეტად ნათელს გახიდიდა ქვეყანაში მიმდინარე მდგომარეობას. კანონის თანახმად, თავშესაფარი ფართით

უზრუნველყოფისთვის განისაზღვრება უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა რიგითობა: მათი ქონებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი პირობების, ჯანმრთელობისა და სხვა ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშედარების საფუძველზე. ამასთან, უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის თავშესაფრით უზრუნველყოფა ხდება გარკვეული ქულების მინიჭებით, რომელიც არსებითად განსაზღვრავს მოქალაქეების თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხს, თუმცა ქულების მინიჭების განსაზღვრება და სამართლებრივი რეგულირება სრულფასოვნად ჯერაც ვერ ხერხდება. მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს მინიმალური გარანტიები სათანადო საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხის მოსაგვარებლად. ასევე, უსახლკარო პირთაგან ყველაზე მონყვლად კატეგორიას – ჭერის არმქონე პირებს არ ეძლევათ სოციალურად დაუცველთა პროგრამაში ჩართვის, საარსებო შემწეობის მიღებისა და სხვა შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობა.

ამასთან, ქვეყანაში არ არსებობს ამ პირების მხარდაჭერი ეფექტური პროგრამები, რომლებიც ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანების დაცვისკენ იქნება მიმართული. მნიშვნელოვანია, ასევე ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ უსახლკაროდ რეგისტრაცია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის არ წარმოშობს უსახლკაროდ რეგისტრირებულის თავშესაფარი ფართით რაიმე კონკრეტულ ვადაში აუცილებელი დაკმაყოფილების ვალდებულებას. უსახლკაროდ რეგისტრირებული პირის თავშესაფარი ფართით დაკმაყოფილება ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებისა და უსახლკარო პირთა თავშესაფარი ფართების არსებული რესურსის შესაბამისად. შესაბამისად, კანონმდებლობა ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ უსახლკაროდ რეგისტრაციის, ზემოთაღნიშნული კრიტერიუმების დაკმაყოფილების, მიუხედავად შემდგომ მოხდება თავშესაფრის მაძიებელთა თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფა, რაც თავისთავად არის დიდი პრობლემა. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ უსახლკარობის აღმოფხვრის სტრატეგიის დაგეგმვისას, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს „უსახლკარობის“ ცნებაც, რათა სწორედ ცნების მკაფიოობას დაეფუძნოს, თუ რა ტიპის საჭიროებებით უნდა აღიჭურვონ საცხოვრისის არ მქონე პირები.

ორგანიზაციამ შეისწავლა „დანგრეულ სახლების მაცხოვრებელთა პროგრამის ფარგლებში“, 2020 წლის მდგომარეობით, დედაქალაქის 10 გამგეობის მიმართ, თუ რა სახსრებია გამოყოფილი. შესაბამისად, ორგანიზაცია მოუწოდებს ყველა მოქალაქეს, რომელიც საჭიროებს დამხმარებას, მიმართონ ადგილობრივ თვითმმართველობებს.





## საქართველოში სტუდენტის სტატუსის შეჩერების გამო, სწავლას 30,101 ახალგაზრდა ვერ ახერხებს

ორგანიზაცია სტუდენტური სტატუსის შეჩერების მაჩვენებელზე არსებულ ინფორმაციას აქვეყნებს და საქართველოს მთავრობას მოუწოდებს, ქმედითი და აქტიური ღონისძიებები განახორციელოს სწავლის საფასურის დავალიანების მქონე ახალგაზრდების დასახმარებლად. განათლების ხელმისაწვდომობისთვის, ვინაიდან მდგომარეობა არასახარბიელო და წლების მანძილზე მოუგვარებელ პრობლემად რჩება.

ორგანიზაცია შეისწავლა 2018-2019 და 2019-2020 სასწავლო წლის სტატისტიკური მონაცემი, რომელიც შეეხებოდა სტუდენტის სტატუსის შეჩერების, აღდგენის და გამომწვევი მიზეზების კვლევას. საქართველოს უმაღლესი საგანამათლებლო 28 დანესტრუქტურის მონაცემზე დაყრდნობით, დგინდება, რომ 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში, სტუდენტის სტატუსი შეიჩერა 35,030 პირმა, 2019-2020 სასწავლო წლის მონაკვეთში კი – 32,559. მთლიანობაში, სტატუსი შეიჩერა 68,589 სტუდენტმა. ამასთან, 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში, სტუდენტის სტატუსი აღიდგინა 20,053 პირმა, ხოლო 2019-2020 სასწავლო წლის მონაკვეთში 18,435 სტუდენტმა. მთლიანობაში, სტატუსი აღიდგინა 38,488 სტუდენტმა. **წარმოდგენილი მონაცემის ანალიზი ცხადყოფს, რომ 2020 წლის ბოლოს, საქართველოში 30,101 სტუდენტი კვლავ სტატუსს შეჩერებულია.**

ორგანიზაცია დაინტერესდა 2018-2019 და 2019-2020 სასწავლო წლის სტატისტიკური მონაცემის ფარგლებში იმ მიზეზებით, თუ რა ინვესტს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას.

სტატუსის შეჩერების მიზეზი	2018-2019 სასწავლო წელი	2019-2020 სასწავლო წელი
სხვა მიზეზი	19335	18138
ავადმყოფობის გამო	124	87
ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის გამო	172	116
საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის გამო	54	27
ფინანსური დავალიანების გამო	16345	14919
სულ	36030	32559

ორგანიზაცია აქვეყნებს იმ უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც მკაფიოდაა წარმოდგენილი 2018-2019 და 2019-2020 სასწავლო წლის სტატისტიკური მონაცემი სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მისასაღმებელია სახელმწიფოს გადაწყვეტილება 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის სწავლის საფასური აუნაზღაურდეს სოციალურად დაუცველი სტუდენტების კატეგორიას. რა თქმა უნდა, აღნიშნული არ არის საკმარისი და სახელმწიფოს მართებს პრობლემის საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტაც. ამ კუთხით, ორგანიზაცია ერთ-ერთ საშუალებაც განიხილავს სტუდენტების საშემოსავლო გადასახადის საგან გათავისუფლების წინადადების მხარდაჭერას, რომელიც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საკანონმდებლო წინადადების სახით, საქართველოს პარლამენტს წარუდგინა. ორგანიზაცია, ამ კუთხით მუშაობას გააგრძელებს.





## „ახალგაზრდა ადვოკატების“ საკანონმდებლო წინადადება კანონად იქცა

ორგანიზაცია მიესალმება საქართველოს შრომის კოდექსში დაგეგმილ მასშტაბურ ცვლილებებს, რომელიც საქართველოს პარლამენტს 2020 წლის მაისში წარედგინა და სხვა პრობლემურ საკითხებთან ერთად, სტაჟირების სამართლებრივ რეგულაციასაც ასახავს. საკანონმდებლო ინიციატივის პროექტი არსებითად იზიარებს და ითვალისწინებს ორგანიზაციის წინადადების თავდაპირველ სამართლებრივ სულისკვეთებას და მიზანს. ამასთან, მეტად აკონკრეტებს სტაჟირების ფარგლებს, ვადებს და დამსაქმებლის უფლებებს. ცვლილება სრულად ითვალისწინებს იმ პრინციპს, რომ მხარეთა შორის საჭიროა სტაჟირების ხელშეკრულება. ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილი ცვლილების განხორციელებას და იმავდროულად, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, კვლავ აქტუალურად მიაჩნია სტაჟირების შრომის სტაჟში ჩათვისის იდეის დაცვაც. წარმოდგენილი ცვლილების თანახმად:

1. სტაჟირი არის ფიზიკური პირი, რომელიც ანაზღაურების სანაცვლოდ ან მის გარეშე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული ცოდნის, უნარების ან პრაქტიკული გამოცდილების მიღების მიზნით;
2. დამსაქმებელს ეკრძალება სტაჟირის შრომის გამოყენება იმ მიზნით, თავიდან აირიდოს შრომითი ხელშეკრულების დადება. სტაჟირი არ ანაცვლებს დასაქმებულს. დამსაქმებელს უფლება არ აქვს აიყვანოს სტაჟირი იმ დასაქმებულის სანაცვლოდ, რომელთანაც შეჩერდა ან/და შეწყდა შრომითი ურთიერთობა;
3. არაანაზღაურებადი სტაჟირების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, ხოლო ანაზღაურებადი სტაჟირების ვადა – 1 წელს. ერთი და იმავე პირს უფლება აქვს ერთი და იმავე დამსაქმებელთან სტაჟირება გაიაროს მხოლოდ ერთხელ;
4. სტაჟირის და დამსაქმებლის ურთიერთობა რეგულირდება წერილობითი ხელშეკრულებით, რომელიც უნდა მოიცავდეს დეტალურ აღწერას სტაჟირის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესახებ.

კანონმდებლობა სტაჟირების განმარტებას არ იძლეოდა, მაგრამ ითვლებოდა, რომ ეს არის არაანაზღაურებადი სამუშაო სწავლის პროცესში, რომელიც გამოუცდელ კადრს პროფესიულ განვითარებას სთავაზობს. დამსაქმებელი, ხშირ შემთხვევაში, სტაჟირებას განასხვავებს ჩვეულებრივი სამუშაოსგან და არსებობს დისკრიმინაციული პრაქტიკა, როდესაც სტაჟირი დგებოდა ექსპლუატაციის წინაშე. ასეთ ვითარებაში, რთული იყო შრომითი უფლებების დაცვა, ვინაიდან კანონმდებლობაში არ არსებობდა შესაბამისი სამართლებრივი ბერკეტი.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ აღნიშნავს, რომ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში სტაჟირების სამართლებრივი

რეგულირების საკითხის დასმა სწორედ ორგანიზაციის ინიციატივაა, რომლითაც პარლამენტს 2014 წელს წარედგინა. ორგანიზაციის საკანონმდებლო წინადადება გულისხმობდა საქართველოს შრომის კოდექსში ახალი მუხლის გაჩენას, რომელიც სტაჟირების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავდა. საკანონმდებლო წინადადება მოიცავს შემდეგ შინაარსს:

1. სტაჟირება არის განსაკუთრებული შრომითი ურთიერთობა, რომლის დროსაც შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში, დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის ხდება სამუშაოს შესრულება ანაზღაურების გარეშე.
2. სტაჟირიდან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ, წერილობითი ფორმით, დაიდოს სტაჟირების ხელშეკრულება არა უმეტეს 6 თვის ვადით. დაუშვებელია ამ ვადის გაგრძელება.
3. მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია დადგინდეს სტაჟირების ანაზღაურება, რომლის ოდენობა და გადახდის წესი, განისაზღვრება ასევე მხარეთა შეთანხმებით.
4. დამსაქმებელს უფლება აქვს, სტაჟირების განმავლობაში, ნებისმიერ დროს დადოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება.
5. სტაჟირების ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, ამ კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
6. სტაჟირების ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, არ ვრცელდება ამ კანონის 38-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, თუ სტაჟირების ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
7. სტაჟირება ითვლება შრომით სტაჟში.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ საკანონმდებლო წინადადება პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა 2015 წლის იანვარში განიხილა. კომიტეტის შეფასებით, სტაჟირების სამართლებრივი საკითხების რეგულაცია საჭიროა, თუმცა „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ რეკომენდაციის მიხედვით, შრომის კანონმდებლობაში მცირემასშტაბიანი ცვლილებების შეტანა მიზანშეწონილი, მოცემულ ეტაპზე, არ იქნებოდა უმჯობესი და სისტემური მიდგომით უნდა განხილულიყო. მსგავსი ცვლილებების შრომითი ურთიერთობების სხვა საკითხებისგან დამოუკიდებლად განხილვა დასაქმებულთა უფლებების დაცვის კუთხით ნაკლებად ეფექტურს განხილდა. სწორედ ამ მოსაზრებით, კენჭისყრის შედეგად, კომიტეტმა ორგანიზაციის საკანონმდებლო წინადადებას მაშინ მხარი არ დაუჭირა, თუმცა აღინიშნა, რომ პარლამენტში შექმნილ სამუშაო ჯგუფის ფორმატში, შრომის კოდექსში პაკეტური ცვლილებებისთვის, ინიციატივა დაიხვეწებოდა და გაითვალისწინებდნენ, რაც ობიექტურად მოხდა კიდევ.





## საქართველოში განქორწინებულთა რიცხვი რეკორდულად მაღალ ნიშნულს იკავებს

საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, განქორწინების მაჩვენებელმა რეკორდულ ზღვარს მიაღწია და ბოლო 10 წლის განმავლობაში, 11, 205 შეადგინა, თუმცა აღნიშნული მონაცემიც სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაცია მინც არ არსებობს და მონაცემები შეეხება მხოლოდ რეგისტრირებულ შემთხვევებს. არსებობს უამრავი მაგალითი, როდესაც მეუღლეები ფაქტობრივ თანაცხოვრებაში აღარ იმყოფებიან, თუმცა განქორწინების დარეგისტრირება არ

ორგანიზაციის მიერ შესწავლილი მასალის თანახმად, მათ შორის სასამართლოდან მიღებული მონაცემების საფუძველზე, 2019 წლის მონაცემით, საქართველოში 11, 205 პირი განქორწინდა. 3,918 განქორწინება მომხდარია ქ. თბილისშია. განქორწინების მაჩვენებელი საქართველოს რეგიონების მიხედვით, ასე გამოიყურება: აჭარა – 309, გურია – 86, იმერეთი – 580, კახეთი – 300, მცხეთა-მთიანეთი – 109, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 18, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 324, სამცხე-ჯავახეთი – 110, ქვემო ქართლი – 394 და შიდა ქართლი – 254. განქორწინებულნი 11,205 პირიდან 10,039 პირი იმყოფებოდა ქორწინებაში პირველად, ხოლო 972 – განქორწინდა მეორედ ქორწინების პირობებში. სტატისტიკით, მითითებული არ არის 194 პირის შესახებ ინფორმაცია, მათი ქორწინების ხანგრძლივობის შესახებ. განქორწინებულთა მეტი რაოდენობის ასაკი მერყეობს 30-35 წლის ფარგლებში.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ წარსულში განხორციელებული შესწავლილი თანახმად, 2018-2019 წლების განმავლობაში, საქართველოში განქორწინების სტატისტიკა შეადგენდა 37,892 შემთხვევას, თუმცა ეს სტატისტიკაც ხასიათდება მზარდი მაჩვენებლით.

განქორწინებების სტატისტიკა საქართველოში 2015-2018 წლებში	
2015 წელი	9 082
2016 წელი	9 513
2017 წელი	10 452
2018 წელი	8 845
სულ	37 892

„ახალგაზრდა ადვოკატები“, თავის მხრივ წარმოებაში არსებული საქმეების ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს, რომ მეუღლეთა შორის განქორწინების სტატისტიკა, შესაძლებელია, გაცილებით მაღალი იყოს, რადგანაც საამისოდ არსებობს ორი გარემოება: მხარეები არ მიმართავენ არც სასამართლოს და არც მარეგისტრირებელ ორგანოს და თვალმისაცემია არარეგისტრირებული ქორწინების შედეგად, საოჯახო დავების მაჩვენებელიც.

მზარდი განქორწინების მაჩვენებელი არაერთი სოციალური ფაქტორიდან გამომდინარე, თუმცა რაც ყველაზე თვალშისაცემია, განქორწინების მაჩვენებელი მაღალია ახალგაზრდა თაობაში. მიზეზები შეიძლება მოკლედ ჩამოვსვალიყო: ნაადრევი ქორწინება და პასუხისმგებლობის ნაკლებობა ოჯახის მმართვეის პროცესში, თანაცხოვრების პროცესში მესამე პირების ჩარევა, ოჯახური ძალადობა, ექვიანობისა და ღალატის ფაქტები, პირადი შეუთავსებლობა. ორგანიზაციის წარმოებაში არსებული საქმეების მიხედვით, განქორწინების ინიციატორი, უმეტესობა ქალბატონია.

განქორწინებასთან ერთად, საოჯახო დავებში, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტების სიმრავლე და სასამართლოების რეაგირება თითოეული შემთხვევის მიმართ. ორგანიზაციამ შეისწავლა და საკითხი და გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც, სასამართლოების მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის შემთავი კავებელი ორდერების გაუქმება, ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტად დაუცველს ხდის მსხვერპლს. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პირობებში, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე 930 შემთხვევითი ორდერის გამოცემა კიდევ ერთხელ მიუთითებს პრობლემის სიმწვავეზე. ოჯახში ძალადობა კვლავ რჩება პრობლემად, კვლავ საჭიროებს სახელმწიფოს მყისიერ რეაგირებას. სწორედ არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სახელმწიფოს შეურიგებელი პოლიტიკა ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით, თითოეული რეგისტრირებული ფაქტის მიმართ, კიდევ უფრო მეტ ინტერესს იწვევს. პანდემია, იძულებითი ზომების გამოყენება, კარანტინი და დაწესებულებების შეზღუდვები, კიდევ უფრო მეტად ზრდის ოჯახში ძალადობის რისკებს. პოტენციური მსხვერპლი, ასეთ შემთხვევაში, განსაკუთრებით დაუცველია. ამდენად, საჭიროა დროულად მოხდეს ძალადობის ნებისმიერი ფორმის სანქის ეტაპზე აღკვეთა და სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი პროტოკოლის შექმნა, სადაც პოტენციური მოძალადე და პოტენციური მსხვერპლი საერთო ურთიერთობის სივრცეში არ აღმოჩნდებიან.





## შესასწავლია, რა აკავშირებს ზაზა აბაშიძეს გორჩაკოვის ფონდთან და რა აკავშირებდა ფონდს უნივერსიტეტთან

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის ზაზა აბაშიძის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის დასმას და საქმიანობის შესწავლას მოითხოვს. ორგანიზაცია განმარტავს, რომ შესასწავლია, რა აკავშირებს ზაზა აბაშიძეს გორჩაკოვის ფონდთან, რომელიც რუსული „რბილი ძალის“ ინსტიტუტს წარმოადგენს საქართველოსთვის და რა აკავშირებდა ამ ფონდს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტთან, საიდანაც ზაზა აბაშიძემ 2018 წელს არასასურველი მეცნიერ-თანამშრომლები აკადემიური თანამდებობის მიღმა დატოვა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, ზაზა აბაშიძე სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე იმ პირობებში დაინიშნა, როდესაც არ შემონეშებულა მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი მხარე – იგი პარალელურად ხელმძღვანელობდა რუსულ-ქართული საზოგადოებრივ ცენტრს, რომელიც 2013 წლიდან დააფუძნა ა.მ. გორჩაკოვის სახელობის საჯარო დიპლომატიის მხარდაჭერის ფონდმა. გორჩაკოვის ფონდი 2010 წელს რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევის ბრძანებით, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შექმნა და მისი ნესდების მიხედვით, მიზნად ისახავს საზღვარგარეთ რუსეთისთვის ხელსაყრელი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობას, სამეცნიერო, კულტურული და საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსურ დახმარებას და სხვა. სწორედ ამ ვითარებაში, ზაზა აბაშიძის სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე დანიშნვა ყოვლად გაუგებარი მოვლენაა, ისევე, როგორც რეაგირების გარეშე დარჩენილი, ქართულ-რუსული ურთიერთობების შესახებ მისი შემდგომი განცხადებები და საჯარო პოზიცია (საკითხი უკრაინის ავტოკეფალიის აღიარებაზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სხვა). ამასთან, შემონეშვისა და შეფასების გარეშეა დარჩენილი სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საქმიანობაც, გორჩაკოვის ფონდთან ზაზა აბაშიძის შემდგომი მიმართება და ცენტრის ბიუჯეტის ხარჯვის გამჭვირვალობა იმის მიუხედავად, მიმდინარე წლის მაისში, ეწურება თუ არა თანამდებობაზე უფლებამოსილების ვადა ზაზა აბაშიძეს.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ყურადღება მიაქციეს 2019 წლის შემოდგომაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო წრეებში გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ჭიჭიშვილი დასაქმებულ მეცნიერ-თანამშრომლებს სთავაზობდა ჩართულიყო ქართულ-რუსული ურთიერთობების უახლესი ისტორიის კვლევასა და წარმოადგინათ ნაშრომები ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. მიღებული ინფორმაციის თანახმად, საკითხზე არებობდა დაფინანსებული ერთი პროექტი, თუმცა ავტორები, რომლებიც შექმნილი ნარკვევებზე რუსეთის დადებით როლზე ისაუბრებდნენ, დამატებით, თუმცა პროექტის მიღმა, გორჩაკოვის ფონდიდან აუნაზღაურდებოდათ პონორარი. მიღებული ინფორმაციით, აღნიშნულის შესახებ განცხადება ინსტიტუტის დირექტორმა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზეც გააკეთა და ამ პროცესში დასახელდა ზაზა აბაშიძისთან მიმართება, რომელიც ამ პერიოდში, ინსტიტუტში გამოცხადებული მასობრივი კონკურსების საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ იქნა მონიჭებული.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2019 წლის 9 ოქტომბერს, დაუყოვნებლივ წერილით მიმართა თსუ-ის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს და მოითხოვა ინფორმაცია ინსტიტუტის 2019 წლის ბიუჯეტის, დასაქმებულ პირთა შტაბით და შტაბგარეშე თანამშრომელთა რიცხოვნების, 2019 წლის 1 იანვრიდან მიმდინარე ან დასრულებული პროექტის, მათი დასახელებების, 2019 წლის 1

იანვრიდან ინსტიტუტის მიერ გრანტის ან/და სხვა ფინანსური საშუალების ფორმის სახით მიღებული დაფინანსების. კერძოდ, თანხის გამცემი ორგანიზაციები/დაწესებულებებისა და თანხის ოდენობის შესახებ. აგრეთვე, ინფორმაცია, თუ რომელი ქვეყნის საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან/და აკადემიურ დაწესებულებასთან/ორგანიზაციასთან გააჩნდა ინსტიტუტს ურთიერთთანამშრომლობის შემორანდუმი ან/და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

უნივერსიტეტის 2019 წლის 28 ოქტომბრის წერილის თანახმად, ინსტიტუტში შტაბით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობას შეადგენდა 67, აქედან – 63 სრული საშტატო ერთეული, 4 – 0,5 საშტატო ერთეული (შტატგარეშე პერსონალი ინსტიტუტს არ ჰყავს). დაწესებულების 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 440489 ლარს, მათ შორის შრომით ანაზღაურების კომპონენტში – 444000 ლარს, საქონლისა და მომსახურების კომპონენტში – 32500 ლარს და არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში – 3989 ლარს. მიმდინარე და დასრულებული პროექტების სახით, დასახელდა მხოლოდ ერთი აქტივობა: სსიპ შროთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში, „წმინდა გრიგოლ ფერაპის I საერთაშორისო კონფერენცია – საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“. ამავე ფონდის დაფინანსებით მიმდინარე პროექტი: „სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა“. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, მიმდინარე ოთხი კვლევა, ხოლო მიღებული ინფორმაციით, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და უნივერსიტეტებთან (რაც ცალკე, არსებითი პრობლემაა), ინსტიტუტს შემორანდუმი გაფორმებული არ გააჩნდა.

ორგანიზაციის განმარტებით, მართალია, თსუ-ის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრიდან 2019 წლის საქმიანობაში არ ფიქსირდება პროექტი, რომელიც ქართულ-რუსული ისტორიის კვლევას მოიცავს, თუმცა ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს ერთ ფაქტს. კერძოდ, ასეთი პროექტის განხორციელება ფიქსირდება სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საქმიანობის ფარგლებში. კერძოდ, სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 2020 წლის გაზაფხულზე, ქართველი და უცხოელი მეცნიერების მონაწილეობით, დაგეგმილი ჰქონდა საზაფხულო სკოლა. აღნიშნული სკოლის გამართვა წელს საქართველოში მეორედ უნდა შემდგარიყო, რომელიც მთლიანად ეძღვნებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებს. კერძოდ, აფხაზეთს და მის ისტორიას. ორგანიზაცია გამორთქვამს აზრს იმის შესახებ, რომ შესაძლოა, აღნიშნული საზაფხულო სკოლის ფარგლებში მონაწილეობა მიეღოთ თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს, ვინაიდან ზაზა აბაშიძის გორჩაკოვის ფონდთან ოფორმებული კავშირები დადგენილია.

ამასთან, ორგანიზაცია საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენებს ზაზა აბაშიძის უკიდურესად ნეგატიურ როლს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში – ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული კონკურსების კანონიერების საქმეზე, რომელზედაც დავა სასამართლოში მიმდინარეობს. მხარე მოითხოვს ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 22 ოქტომბრის №0252/01-01 ბრძანება უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში – ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში სამეცნიერო პერსონალის – მთავარი მეცნიერ თანამშრომლის, უფროსი მეცნიერ თანამშრომლისა და მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შედეგები. საკონკურსო კომისიას სწორედ ზაზა აბაშიძე თავმჯდომარეობა, სასამართლომ კი, მასთან ერთად, კომისიის სხვა წევრებიც გამოკითხა და მათ აღიარებითი ჩვენება მისცეს სასამართლოს.






 **პირა**

საინფორმაციო ანალიტიკური პორტალი



## „ახალგაზრდა ადვოკატები“ „ლიდერფუდის“ საქმეზე – კვლევა, რომელმაც შეცვალა რეალობა



ორგანიზაციამ საერთო სასამართლოების მიერ კომპანია „ლიდერფუდის“ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და სამართლებრივი დასკვნა გამოაქვეყნა, რითაც იურიდიულად შეფასდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 17 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამავე სასამართლოს 2019 წლის 26 ივლისის განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 31 იანვარში დატოვების თაობაზე და საქმის მასალების, მტკიცებულებების, მხარეთა ახსნა-განმარტებების ერთობლივი შემოწმების შედეგად, უპასუხა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ორ სამართლებრივ გარემოებას: **ნამდვილად ჩაიბარა თუ არა კომპანიის დირექტორმა სარჩელი, რა დოკუმენტები ადასტურებს ან გამორიცხავს ჩაბარების ფაქტს, აქვს თუ არა სასამართლოს აუცილებელი იურიდიული დასაბუთება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისთვის, რა დროსაც უნდა შემოწმდეს სარჩელით მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს თუ არა სასარჩელო მოთხოვნას.**

ორგანიზაციის შეფასებით, ა. კომპანიის დირექტორის მხრიდან სარჩელის ჩაბარების ფაქტი, მართლაც საკამათოა და არ არსებობს შეუდავებელი მტკიცებულება, რომელიც ცალსახად დაადგენდა სწორედ სარჩელის ჩაბარების ფაქტს, ვინაიდან ნამდვილად ფიქსირდება მოდავე მხარის მიერ გაგზავნილი წერილის ჩაბარების ფაქტი, მაგრამ არა – უშუალოდ სარჩელის და მასზედ თანდართული მასალების ჩაბარება, ბ. სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიღებულია საქმის არსებითი განხილვის გარეშე, არ შემოწმებულა სარჩელით მითითებული ფაქტების სანდოობა, არ შემოწმებულა, ამართლებდა თუ არა სასარჩელო მოთხოვნა იურიდიულ საფუძველზე. შესაბამისად, ორგანიზაცია საქმის არსებითი განხილვისა და საქმეზე რეალური შეჯიბრითობის განხორციელების მომხრეა, რაც ეყრდნობა ერთის მხრივ, მსგავსი ტიპის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების პრაქტიკას, მეორეს მხრივ – სასამართლოს მხრიდან ბიზნეს-დავების განხილვის მიმართ ნდობის მალალ ხარისხს, რაც ხელს არ შეუშლის სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას და მტკიცების ტვირთის რეალური განხორციელებით, პროცესის მონაწილე ყველა მხარეს, თანაბარი შესაძლებლობა მიეცემა საკუთარი მოთხოვნების დასასაბუთებლად.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, შესწავლილი მასალის საფუძველზე, აღნიშნავს, რომ გაეცნო 2019 წლის 22 მაისის კურიერის მიერ განხორციელებულ ვიზიტს სანარმო დანესებულებაში, თუმცა ობიექტურად, გონივრული განსჯის საფუძველზე, ცალსახად რთულია იმის თქმა, რომ კადრში სასამართლოს ბრენდირებული კონვერტი ჩანდეს. ფაქტია, კურიერმა არაერთი წერილი გადასცა მოსარჩელისგან მოპასუხეს (ორგანიზაცია სრულად იზიარებს იმ გარემოებას, რომ იურიდიული მისამართი სწორადაა განსაზღვრული და წერილის მიმღები მენეჯერი უფლებამოსილი იყო ჩაებარება გზავნილი) და არ არსებობს კონკრეტული მტკიცებულება, ჩაბარებუ-



ლი გზავნილი ნამდვილად შეეხებოდა თუ არა სარჩელს და თანდართულ მასალებს. აღნიშნული საკამათო თავად ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ წარმოდგენილი დასკვნების ფარგლებშიც. სასამართლო ჩაბარების ფაქტს უკავშირებს გზავნილი იურიდიულ მისამართზე მიტანისა და ჩაბარების ფაქტს, თუმცა ორგანიზაციის აზრით, ვერც სიღრმისეული კვლევა გასცემს შეკითხვაზე პასუხს, ნამდვილად ჩაიბარა თუ არა 2019 წლის 22 მაისს მოპასუხემ მოსარჩელის სარჩელი და თანდართული მასალები. ასეთი შემთხვევის დაშვების პირობებშიც კი, რაზეც მსჯელობა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უნდა გააგრძელოს, ორგანიზაციას მიაჩნია, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადანყვეტილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება და სასამართლოს უნდა მოეხდინა საქმისწარმოების გაგრძელება.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, იმისთვის, რომ სასამართლომ მიიღოს დაუსწრებელი გადანყვეტილება, საჭიროა სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნებს. სარჩელით მოთხოვნილ იქნა მხარეთა შორის 2018 წლის 21 მარტის წილის ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულებიდან გასვლა და სანარმოს 50%-იანი წილის (დაბრუნება) საკუთრებაში გადაცემა და აღინიშნა, რომ კომპანიის ამჟამინდელი მესაკუთრე კომპანიის ყოფილ მესაკუთრეს (მოპასუხე – მოსარჩელეს) დასახელებული ხელშეკრულების დადებამდე აშანტაჟებდა, აიძულებდა ასეთი გარიგების დადებას, გარიგება დაიდო, დათმობილ იქნა კომპანიის 50%-იანი წილი, არ შესრულდა გარკვეული დაპირება წილის სანაცვლოდ თანხის გადახდაზე, მაგრამ სასამართლომ არ შეაფასა სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა თუ არა სასარჩელო მოთხოვნებს. დაუსწრებელი გადანყვეტილების მიღება დაუკავშირდა ხელშეკრულებიდან მხარის გასვლის ნებას, მაგრამ ორგანიზაცია ყურადღებას მიაქცევს ორ გარემოებას – ა. წარმოდგენილი არ არის პირდაპირი ან ირიბი სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა 2018 წლის 21 მარტის წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე არსებულ იძულების ფაქტს, მხარეს არ გააჩნდა დაძლეული მტკიცების ტვირთი გარიგების შემდგომ 100%-იანი წილის რეგისტრში რეგისტრაციის უტყუარობასა და სისრულის პრეზუმფციაზე და ბ. გაუგებარი რჩებოდა, სარჩელის აღძვრის მომენტისთვის, რა სახელშეკრულებლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ მხარეები, რამდენად აღსრულებადი გახდა სასარჩელო მოთხოვნები, თუ მხარეებს შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, 2018 წლის 21 მარტის შემდგომ იქნა შეწყვეტილი. შესაბამისად, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ასეთ ვითარებაში, სასამართლოს სათანადოდ არ შეუფასებია მტკიცებულებები იმ სტანდარტით, რომელსაც სწორედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დანაწესი იმპერატიულად მოითხოვს, არ მომხდარა ამ მტკიცებულებების სრული და ობიექტური განხილვა, არ მომხდარა ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამიტომაც, დაუსწრებელი გადანყვეტილების მიღებისა და სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები, სახეზე არ იყო. სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნებს და სასამართლოს, კანონის თანახმად, უნდა გაეგრძელებია საქმის არსებითი განხილვა.

ორგანიზაციამ „ლიფერფუდის“ საქმის შესწავლის სურვილი, საჯარო განცხადების საფუძველზე, 2020 წლის 3 ივნისს გააკეთა.







## წართმეული ლისის ტბა – როგორ გადავიდა საკუთრება მამუკა ხაზარაძის ხელში

ორგანიზაციამ და რამაზ ახვლედიანმა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მამუკა ხაზარაძის მონაწილეობის გამო, ლისის ტბის წართმევის საქმეზე საჯარო აქტიურობებისგან დროებით თავი შეიკავა, რადგანაც „ლელო“ დამფუძნებელს და რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორს ლისის ტბის ხსენებაზე ჩვენი სამართლიანი მოთხოვნები და მრავალწლიანი პროტესტი ხელისუსუფლებიდან მომდინარე „ორკესტრივულ შეტევად“ არ მოენათლა, რასაც ხშირად აკეთებს კიდეც, როდესაც მისთვის არასასურველ თემებს შეეხება საჯარო დისკუსიას. ჩვენ ვფიქრობით, რომ მას უნდა მისცემოდა თავისუფალი შესაძლებლობა დაერწმუნებია ამომრჩეველი საკუთარ შესაძლებლობებში, რაც არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ დახარჯული თანხის შესაბამისი ნდობა ვერ მიიღო. თუკი მამუკა ხაზარაძე პარლამენტის მუშაობას დაუბრუნდება, ჩვენ არ ვაპირებთ დუმულით შევხვდეთ შემდგომ მოვლენებს და პირველი, რასაც „ახალგაზრდა ადვოკატები“ მოითხოვს, დროებითი საგამოძიებო კომისიის ან მომხსენებელთა ჯგუფის შექმნაა, რომელმაც ლისის ტბის წართმევის საქმე უნდა შეისწავლოს ან გამოიძიოს. ამიტომ, გვსურს ჩვენი წადილები 2020 წლის მინურულსვე იყოს ცნობილი მამუკა ხაზარაძისა და მისი დამცველებისთვის.

მამუკა ხაზარაძეს, ჩვენი შეგნებული დუმულის მიუხედავად, მაინც მოუნია ლისის ტბის საქმეზე აჭარის საზოგადოებრივ მანუყებელზე ივლისში საუბარი, თუმცა თქვა არაერთი შეუსაბამო, განსაკუთრებით იმ საკითხებზე, რომელიც ლისის ტბის თავის კომპანიებზე გადასვლის ეპიზოდებს და შეძენის პროცესს შეეხებოდა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ამ ერთხელ გახდა უფლებამოსილი, მამუკა ხაზარაძისთვის განცხადებით ეპასუხა. წინამდებარე სამართლებრივი მიმოხილვის მიზანიც მკითხველის ინფორმირებაა, რათა ნათელი წარმოდგენა შეუქმნას როგორ გადავიდა საკუთრება ხაზარაძის ხელში.

2004 წლის დეკემბერში, რამაზ ახვლედიანსა და ლისის ტბის პოტენციურ ბიზნეს-პარტნიორებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების პროცესი დასრულდა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ლისის ტბის საერთო მართვასთან დაკავშირებით. 2004 წლის 6 დეკემბერს, ფიზიკური პირის სტატუსით, რამაზ ახვლედიანსა და შპს „თბილისის უძრავი ქონებას“ შორის გაფორმდა განზრ-

ხულობათა ოქმი. განზრახულობათა ოქმის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ დააფუძნებდნენ სააქციო საზოგადოება „ლისის ტბას“.

სანესდებო კაპიტალის შესავსებად, შპს „თბილისის უძრავ ქონებას“ უნდა შეეტანა 4 მილიონი, ხოლო რამაზ ახვლედიანს სანესდებო კაპიტალის შევსება უნდა მოეხდინა ქონებრივი შენატანის სახით. კერძოდ, რამაზ ახვლედიანი იღებდა ვალდებულებას შეეტანა ლისის ტბის გარშემო არსებული მიწის ნაკვეთის 63,5 ჰა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები.

2005 წლის იანვარში, დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „ლისის ტბა“. 2006 წლის 28 თებერვალს, საქართველოს მთავრობამ მიიღო #48 დადგენილება „ლისის ტბის განვითარების პროექტის განსახორციელებლად მიწის განკარგვის თანხმობის მიცემის შესახებ“. ასევე, საქართველოს მთავრობამ 2006 წლის 1 აპრილს მიიღო #152 განკარგულება „ლისის ტბის განვითარების პროექტის განხორციელებისათვის სახელმწიფო ტყის ფონდიდან მიწის ფართობის ამორიცხვის შესახებ“.

2006 წლის 14 ივლისის #382 პრეზიდენტის განკარგულებით, მიღებულ იქნა ქ. თბილისის მერიის წინადადება და ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადასცემოდა რამაზ ახვლედიანს, ხოლო ამავე განკარგულების მე-2 მუხლის თანახმად, მიღებულ იქნა მცხეთის რაიონის გამგეობის წინადადება და მცხეთის რაიონში ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 267 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, საკუთრებაში გადაეცა ს.ს. „ლისის ტბას“.

2006 წლის 1 ნოემბრის წერილით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია რამაზ ახვლედიანს წერილობითი ფორმით ატყობინებს, რომ წარმოებაში არსებობდა სისხლის სამართლის საქმე და გამოძიების ინტერესიდან გამომდინარე, შემხვედრი საჭიროებისა გამო, დაუყოვნებლივ უნდა შეექმნა უწყებრივი საინვენტარიზაციო კომისია და აღწერილიყო ის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა (პასიური და აქტიური ნაწილი). მიმართვიდან მე-4 დღეს, რამაზ ახვლედიანი პირადი განცხადების საფუძველზე თმობს შეძენილ ქონებას. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსა-



ხურის 2016 წლის მაისის წერილის თანახმად, აღნიშნულ საქმეზე რამაზ ახვლედიანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა, ხოლო საქმეზე, პროკურორის 2007 წლის 18 დეკემბრის დადგენილებით, შეწყდა გამოძიება, რაც მიუთითებს, რომ სახელმწიფომ ამ ფორმით იძალადა ბიზნესზე.

2007 წლის 31 იანვარს, ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით, უძრავ ქონებაზე გამოცხადდა აუქციონი. გასაყიდი ფასი განისაზღვრა 42 542 171,8 ლარი. აუქციონი არ შედგა.

2007 წლის 16 აპრილს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით, უძრავ ქონებაზე გამოცხადდა აუქციონი. გასაყიდი ფასი განისაზღვრა 26 500 00 აშშ დოლარი. ბეს ოდენობა – 2 650 00 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, ბიჯის ოდენობა – 20 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. აუქციონი შედგა 2007 წლის 17 მაისს. მასში მონაწილეობდა 4 იურიდიული პირი. გასაყიდი ფასი დაფიქსირდა 182 მილიონი აშშ დოლარი და გამარჯვებულად გამოცხადდა ხაზარაძის შპს „ლისი-2007“

2007 წლის 22 მაისის ეკონომიკის მინისტრის #1-1/770 ბრძანებით, დამტკიცდა მუდმივმოქმედი აუქციონის კომისიის ოქმი #15, რომლის მიხედვით, მყიდველი ვალდებულია ობიექტის გამოსასყიდი ღირებულება გადაიხადოს 1 წლის განმავლობაში. ამავე ოქმის თანახმად, მომდევნო 5 წლის განმავლობაში, მყიდველს უნდა განეხორციელებია 25 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია ადგილზე.

2007 წლის 4 ივნისის თარიღით წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც შეეხება „ლისი-2007“ აუქციონზე მოგებული ქონების გადაცემაზე, თუმცა აქტი არ არის ხელმოწერილი არც ერთი მხარის მიერ.

2007 წლის 10 ოქტომბრის ეკონომიკის მინისტრის #1-1/1546 ბრძანებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა მინისტრის 2007 წლის 22 მაისის #1-1/770 ბრძანება, რომელიც ამტკიცებდა მიღება-ჩაბარების #15 აქტს და შპს „ლისი-2007“-ს არ დაბრუნებია „ბეს“-ს სახით გადახდილი თანხა 2 650 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში. ბრძანების გაუქმება მოხდა იმის გამო, რომ მამუკა ხაზარაძის კომპანიას აუქციონზე მოგებული ქონების თანხა არ გადაუხდია.

შემდეგ, 2008 წლის 5 მარტს, „ფროფერთი დეველოპ-

მენტ ჰოლდინგის“ დირექტორი, ირაკლი კლაუდიე წერილით მიმართავს ეკონომიკის მინისტრ ეკატერინე შარაშენიძეს და აღნიშნავს, რომ მის კომპანიას ლისის ტბის ტერიტორიაზე სურს 4 წლის განმავლობაში 20 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია.

2008 წლის 10 მარტის #12/559/9-8 წერილით, „ფროფერთი დეველოპმენტ ჰოლდინგს“ სამინისტროდან აცნობეს, რომ მთავრობას განსახილველად გადაეცემოდა პრეზიდენტის განკარგულების პროექტი 110 ჰა მიწის ნაკვეთის 45 მილიონ აშშ დოლარად მიყიდვის თაობაზე. კომპანიას, არსებული პირობით, 45 მლნ აშშ დოლარი უნდა გადაეხადა 30 კალენდარული დღის განმავლობაში, 20 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განეხორციელებია 4 წლის განმავლობაში.

2008 წლის 12 მარტს, საქართველოს მთავრობამ მიიწონა და იმავე დღეს გამოიცა პრეზიდენტის #181 განკარგულება, რითაც „ფროფერთი დეველოპმენტ ჰოლდინგს“ პირდაპირი მიყიდვის გზით (!!!) გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია. 10 მარტს, კომპანიის მიმართ, აღნიშნული გარიგებისთვის, ს.ს. „თიბისი ბანკის“ მიერ საბანკო გარანტიის სახით, აგრეთვე გაიცა 5 მლნ აშშ დოლარი. 2008 წლის 18 მარტს გამოიცა ეკონომიკის მინისტრის ბრძანება ქონების გადაცემის შესახებ და 19 მარტს მხარეთა შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება.

2010 წლის 21 მაისის საქართველოს პრეზიდენტის #415 განკარგულებით, ლისის ტბის მიმდებარე უძრავი ქონებები, პირდაპირი მიყიდვის გზით, 2 000 000 მლნ აშშ დოლარად გადაეცა მამუკა ხაზარაძის შპს „ლისი ლეიქ დეველოპმენტს“, რომელიც ამჟამადაც ფლობს.

აი, ეს არის სრული სურათი, თუ ვინ ფლობდა და ახლა ვინ ფლობს, რა ფორმით და გარიგებებით გადავიდა, მათ შორის რამაზ ახვლედიანის ლისის ტბის გარშემო არსებული მიწის ნაკვეთის 63,5 ჰა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები, მამუკა ხაზარაძის საკუთრებაში და – არა იმ აუქციონის და დასახელებული თანხის სანაცვლოდ, რომელზედაც არაერთგზის უსაუბრია ეთერში ყოფილ ბანკირს და ახლანდელ პოლიტიკოსს. დიახ, ჩვენ ყველას გვახსოვს ლისის ტბის აუქციონი, მამუკა ხაზარაძის მოგება, მაგრამ ვინ დაინტერესდა, ვინ გამოიკვლია და ვინ ადასტურებს, რომ მან 180 მლნ გადაიხადა.







## პროკურატურა ისევ მამუკა ხაზარაძის გავლენების ტყვეობაშია, მას არ შესწევს ძალა, რამაზ ახვლედიანი დაზარალებულად ცნოს

ჩვენი სამართლებრივი ბრძოლა ლისის ტბის წართმევის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიმართულებით, სამართლიანია, პროკურატურა ვალდებულია გამოიძიოს კრიმინალი და ქონების წართმევის საქმე, არ შეიძლება მამუკა ხაზარაძის ინტერესები კანონის უზენაესობას ეწირებოდეს. აღნიშნულის შესახებ ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა და ქონებაჩამორთმეულმა ბიზნესმენმა რამაზ ახვლედიანმა განაცხადეს, რომლებმაც საქართველოს გენერალურ პროკურორს წერილობით 2020 წლის ოქტომბერში, კიდევ ერთხელ მიმართეს და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვეს.

მდგომარეობა ყველასთვის უცხადესია – საქართველოს გენერალურ პროკურატურას საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის არავითარი პრობლემა არ გააჩნია, საკმარისია მტკიცებულებები და ფაქტები, რათა რამაზ ახვლედიანი დაზარალებულად იქნას ცნობილი, მაგრამ არ არსებობს პოლიტიკური ნება მიღებული იქნეს ასეთი გადაწყვეტილებები, რაც კანონის უზენაესობის, სამართლიანობისა და ადამიანის კონსტიტუციური უფლებების საწინააღმდეგოა. 8 წლის განმავლობაში, საქართველოს გენერალურ პროკურატურას, არაფერი გაუკეთებია შედეგისთვის. რამაზ ახვლედიანის მიმართ არ აღმდგარა სამართლიანობა და მას სახელმწიფო სათა-

ნადო ღირსი ინტერესის გარეშეც ტოვებს აუხსნას და მიაწოდოს ინფორმაცია საქმის გამოუძიებლობისა და შექმნილი შერჩევითი სტანდარტის გამოც.

მხარეს ლისის ტბის წართმევის საქმეზე კონკრეტული სამართლებრივი შედეგების არარსებობა აფიქრებინებს, რომ პროკურატურა ისევ მამუკა ხაზარაძის გავლენების ტყვეობაშია, მას არ შესწევს ძალა, რამაზ ახვლედიანი ლისის ტბის წართმევის საქმეში დაზარალებულად ცნოს. სამწუხაროდ, ეს არის ობიექტური რეალობა და სიმართლე, რომელსაც ჩვენ ყველამ თვალი უნდა გავუხსნოროთ. სამართლიანობა ეწირება გავლენების სფეროს, რაც სამართლებრივი სახელმწიფოში და დღევანდელი საზოგადოების განვითარებისა და მოთხოვნების ფონზე, სრულიად დაუშვებელი და მიუღებელია. ამის თვალსაჩინო მაგალითია, თუნდაც, მამუკა ხაზარაძის მოწმის სახით საქმეზე დაუბარებლობა და ზოგადად, მამუკა ხაზარაძის მიმართ შეჩერებული საგამოძიებო მოქმედებებიც საზოგადოებისთვის ცნობილ მის მიმართ წარმოებულ საქმეებზეც. საქართველოს გენერალურ პროკურატურას უწევს ანგარიში გაუწიოს პოლიტიკურ კონტექსტს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნის საელჩოების პოზიციებს, რასაც ეწირება ადამიანის უფლებები და სახელმწიფოს მიმართ კანონიერი ნდობის პრინციპი. რამაზ ახვლედიანის საქმე ამის საუკეთესო და უცხადესი მაგალითია.



ლისის ტბის საქმეზე სამართლებრივი ბრძოლა გრძელდება და ამ პროცესს მამუკა ხაზარაძის პარლამენტის წევრის მოსალოდნელი სტატუსი, პოლიტიკური და სამართლებრივი იმუნიტეტი ვერ შეაჩერებს. რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორი, „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, დღეს „ლელოს“ დამფუძნებელი და ლიდერი მამუკა ხაზარაძე, რომელიც ქონების დათმობის პროცესში, წარმოადგენდა რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორს, დუმილი ამჯობინა, როდესაც ხელისუფლება რამაზ ახვლედიანისთვის ლისის ტბის დათმობის ოპერაციას ახორციელებდა, გაურიგდა მიხეილ სააკაშვილს და მაშინდელ ხელისუფლებას, თავად რამაზ ახვლედიანს კი განუცხადა, რომ თავი სამართლებრივი საშუალებებით დაეცვა – მას „კონსტიტუცია დაიცავდა“.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მამუკა ხაზარაძის მოწმის სახით დაკითხვით უნდა დადგინდეს, თუ რა ინფორმაციას ფლობდა ბიზნეს-მონილე და პარტნიორი იმ პროცესის შესახებ, რომელიც ქონების დათმობის პერიოდს უკავშირდება. მამუკა ხაზარაძის დაკითხვა ემსახურება მნიშვნელოვან იურიდიულ ინტერესს, ვინაიდან რამაზ ახვლედიანის მიმართ ქონების დათმობის შემდეგ, პრეზიდენტის განკარგულებით, იგივე საპროექტო პირობებით, დათმობილი ქონების მესაკუთრე სწორედ მამუკა ხაზარაძე და მისი კომპანიები აღმოჩნდნენ. შესაბამისად, მამუკა ხაზარაძის დაკითხვა საქმის ყოველმხრივ შესწავლისა და გამოძიებისთვის, არსებითად მნიშვნელოვანია. ამასთან, საქმეზე დაკითხული არ არიან საჯარო მოხელეები, რომლებმაც ქონების ნების სანინალამდეგოდ დათმობაზე, რამაზ ახვლედიანის იძულება განახორციელეს. მხარემ აღნიშნული პირების დაკითხვის მოთხოვნით, პროკურატურას ჯერ კიდევ 2017 წლის 13 თებერვლის განცხადებით მიმართა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ცალსახად აცხადებს, რომ უფლებას არ მისცემს არც ერთ პარტიას, პოლიტიკოსს, სამოქალაქო ორგანიზაციას, ექსპერტს თუ ჟურნალისტს, ლისის ტბის წართმევის საქმეზე საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს და რამაზ ახვლედიანის სამართლიანი ბრძოლა წინა ხელისუფლების მიერ წართმეული საკუთრების დაბრუნებისთვის, მამუკა ხაზარაძის მიმართ, ხელისუფლებიდან მომდინარე დავალების ნაწილად წარმოაჩინოს. ორგანიზაცია, რომელიც 2015 წლიდან არაერთი საჯარო განცხადებით ცდილობს ლისის ტბის წართმევის საქმეზე საზოგადოების ინფორმირებას, მოქმედებს რამაზ ახვლედიანის საუკეთესო ინტერესების დაცვის უფლებით.





## ევროსასამართლოში ლისის ტბის წართმევის საქმე, კონვენციის ოთხ ფუნდამენტურ მუხლზე დარღვევის მითითებით გასაჩივრდა

საქართველოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, ლისის ტბის წართმევის საქმე გასაჩივრდა. ლისის ტბის 63,5 ჰა არასოსაფოლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული შენობა – ნაგებობების ყოფილი მესაკუთრე რამაზ ახვლედიანი იმედოვნებს, რომ ჯერ კიდევ არსებობს ეროვნულ დონეზე დარღვეული უფლებების აღდგენისთვის სამართლებრივი სივრცე და რესურსი. ზიანის ანაზღაურების კუთხითაც სასამართლოში წარმოებული ახალი დავაც სწორედ დარღვეული უფლებებში აღდგენის პრაგმატულ გადაწყვეტას ემსახურება და იმის მიუხედავად, თუ რა პოზიციას დაიჭერს ევროსასამართლო, ფაქტი ერთია – საქართველოს სახელმწიფომ რამაზ ახვლედიანის წინაშე ვერ შეძლო ევროკონვენციით დაცული საკუთრებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა, ეროვნული სასამართლოებმა მიიღეს არასაკმარისი მტკიცების მქონე გადაწყვეტილებები, საქართველოს პროკურატურამ კი არასათანადო საქმისწარმოების გამო, ვერ შეძლო სამართალწარმოების პროცესში რამაზ ახვლედიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება, კვალიფიკაცია, შემფარველი გადაწყვეტილების მიღება და პირის დაზარალებულად ცნობა შესაბამისი საპროცესო უფლებების წარმოშობისთვის. რამაზ ახვლედიანი მოითხოვს, მოპასუხე სახელმწიფოს მიმართ დადგინდეს ევროკონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საგარაუდო დარღვევა, ევროკონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტის საგარაუდო დარღვევა და ევროკონვენციის მე-14 მუხლის საგარაუდო დარღვევა ევროკონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით (რომელიც მხარემ 2019 წლის 23 ივლისს ჩაიბარა), რამაზ ახვლედიანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო. მოსამართლე მანა ვაჩაძემ ლისის ტბის წართმევის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულება კანონიერ ძალაში დატოვა და რამაზ ახვლედიანის მიერ ნების სანინალმდეგოდ დათმობილი 63,5 ჰა არასოსაფოლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული შენობა – ნაგებობები ბიზნესპარტნიორ მამუკა ხაზარაძის კომპანიის „ლისი ლიქი დეველოპმენტის“ მფლობელობაში აღიარა.

რამაზ ახვლედიანი 2006 წლის 4 ნოემბერს, იძულებული გახდა, თბილისის მაშინდელი მერიისა და მთავრობის სახელზე დაენერა განცხადება და ელიარებინა, რომ 1999 წლის საიჯარო ხელშეკრულებით, ასევე პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა და მოითხოვა საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება, რომლის მიხედვითაც, მას გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული შენობა – ნაგებობები და რომელიც ბიზნესმენს უკვე გამოსყიდული ჰქონდა. წერილში, ნების სანინალმდეგოდ, რამაზ ახვლედიანმა უარი განაცხადა პრეზიდენტის განკარგულებით გადაცემულ 63,5 ჰა არასოსაფოლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების უფლებზეც და ეკონომიკის სამინისტროსგან უკვე გამოსყიდულ შენობა-ნაგებობებზეც. ამ განცხადებიდან მე-6 დღეს, 2006 წლის 10 ნოემბერს,

მიხეილ სააკაშვილმა გამოსცა ახალი განკარგულება და 1999 წელს რამაზ ახვლედიანის მიერ შექმნილი და 2006 წელს პრეზიდენტის განკარგულებითვე გადაცემული ქონება, ჩამოერთვა. მოგვიანებით, ჩამორთმეული ქონება რამაზ ახვლედიანის ბიზნეს-პარტნიორს, პირდაპირი მიყიდვის წესით, მამუკა ხაზარაძეს გადაეცა.


სასამართლომ მოითითა, რომ პრეზიდენტის განკარგულება დაინტერესებული პირის მხრიდან უნდა გასაჩივრებულიყო გამოცემიდან 1 თვის ვადაში. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ სარწმუნო არ არის სისტემური დანაშაული – არ დასტურდება იძულების განგრძობადობა, ვინაიდან რამაზ ახვლედიანისთვის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გარკვეული პირობებით გადაცემა განხორციელდა სწორედ იმავე პრეზიდენტის მიერ იმავე ხელისუფლების მმართველობის პირობებში ქონების დათმობის 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადების შედეგამდე დაახლოებით 4 თვით ადრე, თუმცა მხარე ასაბუთებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება კონფლიქტში მოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებასთან (ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმე) და მეორეს მხრივ ავტორი მოსამართლეების მიერ 2018 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებასთან (საქმე: ბს-236-234 (კ-16)), სადაც სასამართლომ ხანდაზმულობის ვადების ათვლა დაუკავშირა პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილებისა და კომპეტენტური ორგანოსადმი მიმართვას ფაქტს, ხოლო სადავო აქტის გასაჩივრებისთვის განსაზღვრა არა მისი გამოცემის თარიღი, არამედ ჩაბარებიდან ერთთვიანი ვადა.

ეროვნული დონის სასამართლოებმა არსებითად შელახეს რამაზ ახვლედიანის უფლებები და სადავო გარემოებების მიმართ არაერთი გამრუდებული დასკვნა წარმოადგინეს – თითქოსდა რამაზ ახვლედიანი არასდროს არ ყოფილა ლისის ტბის მიმდებარე არსებული სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით სახელმწიფოსთან არ გაფორმებულა ნასყიდობის ხელშეკრულება და არ მომხდარა უძრავი ქონების საფასურის გადახდა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ყოველივე ეს წარმოადგენს საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების გარეშე მსჯელობას, რაც გადაწყვეტილების სახით, ქმნის სრულიად წარმოუდგენელ მოცემულობას. ამიტომაც, შეუძლებელია, გადაწყვეტილებას გააჩნდეს ოდნავი კანონიერების პრეტენზია. მეტიც, მორალურ საფუძვლებსაც მოკლებულია სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ რამაზ ახვლედიანს სადავო ქონებაზე არ გააჩნდა საკუთრების უფლებით ეფექტიანი სარგებლობის მოპოვების მინიმუმ „ლეგიტიმური მოლოდინი“, რაც გონივრულ კრიტიკასაც ვეღარ უძლებს.

**ქართულმა სასამართლომ რამაზ ახვლედიანს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა მოუსპო. გადაწყვეტილება არ ატარებს საქმეზე დამოუკიდებელი მოსამართლეების ხელწერას. ექცევა პოლიტიკური მოვლენების ერთგვარ კონტექსტში და შეგნებულად, მსჯელობის არაერთ მონაკვეთში, მამუკა ხაზარაძის დასახელებასაც გაურბის. მოსამართლეები ხაზარაძეზე საუბრისას იყენებენ ტერმინს – „ბიზნეს პარტნიორს“.**











## მრავალპარტიული პარლამენტი ქვეყნის წარმატებაა, ყველამ პატივი უნდა სცეს ამომრჩევლის ნებას

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს აფასებს და აღნიშნავს, რომ მრავალპარტიული პარლამენტი ქვეყნის წარმატებაა, რომელიც სრულად ასახავს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებს და საშუალებას იძლევა აქტიუალურ საკითხებზე ნაყოფიერი საპარლამენტო საქმიანობა წარიმართოს. საქართველოს მოქალაქეებმა, პოლარიზებული და ეპიდემიისგან გამონვეული რთული წინასაარჩევნო გარემოს მიუხედავად, თავისუფალდ შეძლეს საკუთარი ნების დაფიქსირება და დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობის მიღება. მიუხედავად პროცედურული და ტექნიკური ხასიათის დარღვევებისა, რაზეც რეაგირება უნდა მოხდეს, შეუძლებელია გაზიარებული იქნეს არჩევნების შედეგების სიყალბესთან დაკავშირებით მოსაზრება, ვინაიდან ასეთი ბრალდების არც ერთი სერიოზული და დადასტურებული ფაქტი საზოგადოებისთვის წარმოდგენილი არ ყოფილა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ აზრით, ყველა პოლიტიკურმა პარტიამ პატივი უნდა

სცეს ამომრჩევლის ნებას და პოლიტიკურმა დებატებმა პარლამენტში გადაინაცვლოს. ამასთან, სხვადასხვა საარჩევნო ოლქში მაჟორიტარ კანდიდატებს შორის მოსალოდნელი არჩევნების მეორე ტური, მნიშვნელოვანია მაღალი ორგანიზებულობით ჩატარდეს. ორგანიზაცია ემიჯნება ნებისმიერი სახის ძალადობას ან ძალადობრივ მოწოდებას, რომელიც არ ექცევა პოლიტიკური დებატების ფარგლებში და მიზნად ისახავს საზოგადოებაში მტრული განწყობების ჩამოყალიბებას, პოლარიზაციის გაზრდას და დაუმსახურებელი ძალაუფლების მიღებას. პოლიტიკურმა პარტიებმა, ერთის მხრივ სწორად უნდა შეაფასონ არჩევნებში მიღებული შედეგების გამომწვევი მიზეზები, ანტიპარტიული განწყობების საფუძვლები და გააგრძელონ საზოგადოებასთან თანამშრომლობა. პარლამენტის ტრიბუნა და საკანონმდებლო საქმიანობის ხარისხი მრავალპარტიულ სისტემაში ქმნის კონკურენციას და ხელს შეუწყობს საპარლამენტო კონტროლის მექანიზმის ეფექტიანად გამოყენებას.





## პოლიტიკურმა პარტიებმა საკმარისად ვერ უზრუნველყვეს მოქალაქეთა ინფორმირებულობა

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის, ცალკეული პოლიტიკური პარტიები ნაკლები აქტიურობითა და მოსახლეობისთვის საჯარო ინფორმაციის მიწოდებლობით გამოირჩეოდნენ, არ არსებობდა საარჩევნო პროგრამებზე ორიენტირებული შეჯიბრი, გარემო იყო პოლარიზებული და ძირითადი აქცენტი არა მომავლის ხედვებზე, არამედ წარსულში დაშვებულ შეცდომებსა და ურთიერთბრალდებებზე ხდებოდა. აღნიშნულის შესახებ ორგანიზაციამ თავისი შეფასება 2020 წლის აგვისტოში გამოაქვეყნა.

არჩევნების მიმართ საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული მოლოდინებისა და მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, მეტად მნიშვნელოვანია თავად პოლიტიკური გაერთიანების სათანადო პასუხისმგებლობა, იყვნენ საკმარისად ჩართულნი, უზრუნველყონ საჯარო სივრცისადმი ინფორმაციის მიწოდება და ა.შ. მით უმეტეს, წინასაარჩევნო კამპანიის მთელი არსიც გამოიხატება საჯარო მოწოდებებში, აგიტაციაში თუ სხვა ისეთ აქტივობაში, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკური გაერთიანების მხრიდან მოქალაქეთათვის საარჩევნო პროგრამის შემცველი ინფორმაციის მაქსიმალურად სრულად და ეფექტურად მიწოდებას.

ჩვენს ქვეყანაში წინასაარჩევნო პერიოდს, როგორც წესი, განსაკუთრებული მოლოდინი თუ მღელვარება ახლავს თან. აღნიშნული ვლინდება, როგორც თავად პოლიტიკური თუ არასამთავრობო სექტორის, აგრეთვე, რიგითი მოქალაქეთა მხრიდან. ნორმატიული განმარტების თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია, ეს არის საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა.

ზოგადად, საქართველოში ვხვდებით საარჩევნო კულტურის ნაკლებობას, რაც პოლიტიკური პროცესებისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში ვლინდება. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ კენჭისყრისას, მოქალაქე ხმას, უფრო მეტად, აძლევს არა პოლიტიკურ პარტიასა და მის პროგრამას, არამედ კონკრეტულ სუბიექტს. შესაბამისად, მოქალაქის სუბიექტური დამოკიდებულება, რომელიც მოკლებულია მოვლენათა ობიექტური შეფასებისა და პოლიტიკური სუბიექტის კრიტიკულად განსჯის უნარს, ნეგატიურ გავლენას ახდენს არჩევნების შედეგზე. ამ პროცესებს კი ხელს უწყობს თავად პარტიათა პასიური მოქმედება პროცესებისადმი და მხოლოდ ზედაპირული მიდგომა.

რეალურად, ქვეყანაში რეგისტრირებულ თითოეულ პოლიტიკურ გაერთიანებას აქვს ერთი მიზანი – მოიპოვოს მოქალაქეთა ნდობა, თუმცა, თითოეული მათგანი არ ზრუნავს საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებაზე, შესაბამისი წინასაარჩევნო პროგრამის შექმნაზე თუ სხვა. ამავდროულად, არ არსებობს რესურსი, რომელის გამოყენებითაც შეძლებს ამომრჩეველი ინფორმაციის მოძიებას. პარტიას, რომელსაც აქვს არჩევნებში მონაწილეობის ამბიციაც, ლოგიკურია, რომ უნდა იყოს ვალდებული, უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირებულობა საკუთარი დაპირების, პროგრამის თუ აქტივობების შესახებ. არსებული საკანონმდებლო რეალობა კი პოლიტიკურ პარტიას ამ მხრივ განსაკუთრებულ სიმარტივეს სთავაზობს და იცავს პასუხისმგებლობისგან.

საშუალო დონის მოქალაქის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ცხადია, რომ თუ იგი არ არის დეტალურად გაცნობიერებული პოლიტიკურ პროცესებს, არ ექნება უნარი, შესაბამისი წყაროდან მოიძიოს პოლიტიკურ პარტიათა ერთიანი სია. რა თქმა უნდა, აღნიშნული პირისთვის ისიც უცნობია, თუ რა დაპირებებს იძლევა ესა თუ ის პარტია. ამ პრობლემას კი ვერც უფასო სამაუწყებლო ეთერი და ვერც კენჭისყრამდე 60 დღით ადრე დაწყებული წინასაარჩევნო კამპანია ვერ უზრუნველყოფს. მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ წინასაარჩევნო პროგრამის დაწყება არის პოლიტიკურ პარტიათა უფლება და არა ვალდებულება. საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, გერმანია, საკითხისადმი განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს და პოლიტიკურ პარტიებს ამ კუთხით არა უფლებას, არამედ ვალდებულებას ანიჭებს.

საარჩევნო კულტურის ნაკლებობის პირობებში, მნიშვნელოვანია გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას მოქალაქეთა ინფორმირებას, საარჩევნო კამპანიის, პოლიტიკურ გაერთიანებათა წინასაარჩევნო პროგრამის საჯაროობის, ხელმისაწვდომობის და ა.შ. კუთხით. აგრეთვე, პოზიტიური სიახლე იქნება, თუ საარჩევნო კოდექსი პირდაპირ დაავალდებულებს პარტიებს, უზრუნველყონ ამ ყველაფრის საჯაროობა, რაც მათ ამომრჩეველთა მიმართ მათ მეტ პასუხისმგებლობასა და კეთილსინდისიერებას უზრუნველყოფს.



## გამოკითხვა პოლიტიკოსების და პოლიტიკური პარტიების ნდობის რეიტინგზე



ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ საკითხზე: „პოლიტიკოსების და პოლიტიკური პარტიების ნდობის რეიტინგი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ“, თბილისში, 2020 წლის ოქტომბერში, სოციოლოგიურ გამოკითხვა ჩატარდა. რესპოდენტებმა პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვებს: „ხვალ, რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას?“, „რომელი პოლიტიკური პარტია იმსახურებს თქვენს მხარდაჭერას?“, „დასახელებულ პოლიტიკოსი, რომლის საქმიანობაც მოგწონთ?“, „როგორ შეაფასებდით ხელისუფლების ბოლო 4 წლის საქმიანობას?“ და „როგორ შეაფასებდით ოპოზიციური პარტიების საქმიანობას?“. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, სულ 478 მოქალაქე გამოიკითხა.

გამოკითხვის მიზანს დედაქალაქის მოსახლეობის რეალური განწყობებისა და საპარლამენტო არჩევნების პროცესში, მათი მოლოდინების დადგენა წარმოადგენდა. გამოკითხვა მარჯანიშვილის მოედანზე, რუსთაველის გამზირზე, თავისუფლების მოედანსა და სადგურის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდებოდა. სოციოლოგიური კვლევა ორგანიზაციის დამოუკიდებელი ინიციატივის ფარგლებში მომზადდა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ წინასაარჩევნოდ მოსახლეობის განწყობების დადგენას 2013 წლიდან ახორციელებს. 2013 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები: „საპრეზიდენტო კანდიდატებისა და საპრეზიდენტო არჩევნების ნდობის რეიტინგი“, 2014 წლის ივნისში გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები: „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ნდობის რეიტინგი“, 2016 წლის აპრილში გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები: „პოლიტიკოსების და პოლიტიკური პარტიების ნდობის რეიტინგი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ“, 2018 წელს გამოქვეყნდა „ნდობის რეიტინგი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ“. უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის ყველა კვლევის მონაცემი უმნიშვნელო ცდომილებით დაემთხვა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დასახელებულ არჩევნებზე მიღებულ ოფიციალურ შედეგებს.









## ანტიპარტიული განწყობები და სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ „პოლიტიკოსების და პოლიტიკური პარტიების ნდობის რეიტინგი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ“, თბილისში ჩატარებულ სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, რომელშიც მონაწილეობა 478 მოქალაქემ მიიღო, შემდეგი შედეგებით გადანაწილდა:

### 1. ხვალ, რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას?

- ა) დიახ 80.96%
- ბ) ჯერ არ გადაამინყვეტია 12.97%
- გ) არა 6.06%

### 2. რომელი პოლიტიკური პარტია იმსახურებს თქვენს მხარდაჭერას?

- „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“ **25.94%**
- „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო“ **11.92%**
- „გიორგი ვაშაძე – სტრატეგია აღმაშენებელი“ **10.87%**
- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია“ **9.83%**

„გირჩი“ **8.78%**

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ **6.06%**

„ლელო – მამუკა ხაზარაძე“ **3.97%**

„დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა – ქდმ“ **3.13%**

„შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ **2.92%**

„ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები“ **2.09%**

„ნინო ბურჯანაძე – ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობა“ **0.83%**

არც ერთი – **10.87%**

სხვა – **2.71%**

### 3. დაასახელეთ პოლიტიკოსი, რომლის საქმიანობაც მოგწონთ?

1. გიორგი გახარია – 20.92%
2. კახა კალაძე – 11.5%
3. თეა წულუკიანი – 8.78%
4. გიორგი ვაშაძე – 8.36%
5. ირაკლი ღარიბაშვილი – 7.74%
6. ზურაბ გირჩი ჯაფარიძე – 7.32%
7. ნიკა მელია – 4.18%
8. გრიგოლ ვაშაძე – 3.55%
9. ირმა ინაშვილი – 3.13%
10. სალომე ზურაბიშვილი – 2.09%
11. ალექო ელისაშვილი – 2.09%




- 12. მამუკა ხაზარაძე – 1.88%
- 13. ანა დოლიძე – 1.25%
- 14. დავით ბაქრაძე – 1.25%
- 15. შალვა ნათელაშვილი – 1.04%
- 16. ნინო ბურჯანაძე – 0.83%
  - არც ერთი – 10.87%
  - სხვა – 3.13% (დასახელდნენ: გიორგი ვოლსკი, კახი კახიშვილი, ელენე ხოშტარია, გიგა ბოკერია, ლევან სამუშია, ლევან ხაბეიშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, დავით თარხან-მოურავი, ბადრი ჯაფარიძე, დავით ჭიჭინაძე, ეკა ბესელია, ლევან ვასაძე, კახა ოქრიაშვილი)



**4. როგორ შეაფასებდით ხელისუფლების ბოლო 4 წლის საქმიანობას?**

- უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად – 38.2%
- უარყოფითად – 24.4%
- უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად – 19.45%
- დადებითად – 10.04%
- თავი შეიკავა – 7.74%



**5. როგორ შეაფასებდით ოპოზიციური პარტიების საქმიანობას?**

- უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად – 44.9%
- უარყოფითად – 20.5%
- უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად – 18.82%
- დადებითად – 11.92%
- თავი შეიკავა – 3.76%



გამოკითხვის მიზანს დედაქალაქის მოსახლეობის რეალური განწყობებისა და საპარლამენტო არჩევნების პროცესში, მათი მოლოდინების დადგენა წარმოადგენდა. გამოკითხვა მარჯანიშვილის მოედანზე, რუსთაველის გამზირზე, თავისუფლების მოედანსა და სადგურის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდება. სოციოლოგიური კვლევა ორგანიზაციის დამოუკიდებელი ინიციატივის ფარგლებში მომზადდა.







## პარლამენტის წევრები, რომლებმაც გასული 4 წლის მანძილზე, მსჯავრდებულთა შეხვედრის უფლებით ისარგებლეს

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრთა იმ უფლების გამოყენების საკითხით დაინტერესდა, რომლებმაც მსჯავრდებულებთან სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლით ისარგებლეს. ორგანიზაციამ შეისწავლა მასალები, თუ რამდენჯერ იქნა გაცემული საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება 2020-2016 წლებში, პატიმრ(ებ)ის მონახულების ნებართვაზე, რომელმა დეპუტატებმა გამოიყენეს ეს უფლება და ვინ იყვნენ მსჯავრდებულები, რომელთა მონახულებაც მათი პირობებისა და მონიტორინგის მიზნით, პარლამენტის წევრებმა გადაწყვიტეს.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესწავლის შედეგებმა აჩვენა, რომ 2020-2016 წლების მოწვევის პარლამენტის მიერ მსჯავრდებულთან შეხვედრებისთვის, სულ გაცემულია 276 ბრძანება. პატიმრებთან სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების მინიჭების ბრძანებების უმრავლესობა გაცემულია საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა მიმართ. დეპუტატების სია, რომლებიც საპატიმროებში ბოლო 4 წლის განმავლობაში ხვდებოდა ერთსა და იმავე ან სხვა მსჯავრდებულებს, ასე გამოიყურება:

1. ელენე ხოშტარია
2. გიორგი ბოკერია
3. ნიკა მელია
4. გიორგი ტულუში
5. ირაკლი აბესაძე
6. ოთარ კახიძე
7. ზურაბ ჭიბერაშვილი
8. მერაბ ქვარაია
9. ხათუნა გოგორიშვილი
10. ირმა ინაშვილი
11. აკაკი ბობოხიძე
12. გიორგი ლომია
13. ემზარ კვიციანი
14. თენგიზ გუნავა
15. დიმიტრი მხეიძე
16. გიორგი კანდელაკი
17. ლაშა დამენია
18. ლევან გოგიჩაიშვილი
19. მამუკა მდინარაძე
20. მამუკა ჩიქოვანი

21. ირმა ნადირაშვილი
22. სერგო რატიანი
23. დავით ჭიჭინაძე
24. ალექსანდრე ერქვანია
25. ოთარ ჩრდილელი
26. კობა კობალაძე
27. ილია ნაკაშიძე
28. გიორგი წერეთელი
29. თინათინ ბოკუჩავა
30. არჩილ ხაბაძე
31. ვიქტორ ჯაფარიძე
32. ირაკლი (დაჩი) ბერაია
33. რომან გოცირიძე
34. კობა ნაყოფია
35. დავით ბაქრაძე
36. აზურ სულეიმანოვი
37. გურამ მაჭარაშვილი
38. გიორგი ლვინიაშვილი
39. თამაზ ნავერიანი
40. სალომე სამადაშვილი
41. მარიამ ჯაში

საქართველოს პარლამენტის დასახელებული დეპუტატების მიმართ, 2020 წლის საქმიანობის მანძილზე, მსჯავრდებულებთან შეხვედრისთვის ბრძანება გაიცა 12 შემთხვევაში, 2019 წელს – 100, 2018 წელს – 77, 2017 წელს – 79, ხოლო 2016 წელს – 6. მეცხრე მოწვევის პარლამენტში პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ბრძანებები გაცემულია 2016 წლის 2 დეკემბრიდან 2020 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით. ყველაზე ხშირად და მაღალი ინტენსივობით, დეპუტატების მიმართ ბრძანებები გაიცემოდა საპატიმროებში ივანე მერაბიშვილის, გიგი უგულავას, ბაჩანა ახალაიას, შოთა ხიზანიშვილის, გიორგი ცაადის, ირაკლი ფირცალავას, გიორგი ონიანის, რუსუდან კერვალიშვილის, მაია რჩეულიშვილის, მირზა სუბელიანის, გიორგი მამალაძის, დავით კირკიტაძის, გიორგი რურუას მოსანახულებლად.





## 22 საზოგადოებრივი ადვოკატი საქმიანობის შეფასების ახალ სისტემას სასამართლოში ასაჩივრებს

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 22 საზოგადოებრივი ადვოკატმა საქმიანობის შეფასების ახალი სისტემა, ადვოკატის დამოუკიდებლობის სამართლებრივი გარანტიების შეზღუდვისა და პროფესიული საქმიანობაში ჩარევის საშიშროებიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა.

2020 წლის 4 ივლისის იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი და კრიტერიუმები. დოკუმენტში არსებით მნიშვნელობას იძენს „სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის სტანდარტი“, „სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები“, „სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესი“, „იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ განეული მომსახურების ხარისხის შეფასების უფლებამოსილება და პროცედურა“. საზოგადოებრივი ადვოკატების ნაწილი აცხადებს, რომ პრობლემური საკითხების არსებობით განხილვისა და წარდგენილი ალტერნატიული წინადადებების მსჯელობის მოლოდინის მიუხედავად, შეფასების ახალი სისტემა წარმოადგენს შემზღვეველ ჩარევას ადვოკატის, როგორც თავისუფალი პროფესიის მქონე პირის საქმიანობაში, სათანადოდ არ იცავს ადვოკატის დამოუკიდებლობას და შეუვალობას, არ ქმნის საკმარის საფუძვლებს საზოგადოებრივი ადვოკატის საქმიანობა შეფასდეს თანაბარი და სამართლიანი მიდგომებით, შეფასების დროს, არ ხდება საზოგადოებრივი ადვოკატის დღევანდელი დატვირთულობის და საქმეთა ნაკადის მართვის გათვალისწინება, საფრთხის წინაშე დგება კლიენტთან ურთიერთობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, ჩნდება პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების საფუძვლები, სახელმწიფოს ჩარევა საზოგადოებრივი ადვოკატის საქმიანობაში არ ქმნის ასეთი ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს იმ ამოცანების გადაჭრის უზრუნველსაყოფად, რასაც მომსახურების ხარისხის ამაღლების კეთილმოზილური მიზანი და ამ კუთხით საზოგადოებრივი ადვოკატის ინსტიტუტის გაძლიერება ჰქვია.

საზოგადოებრივი ადვოკატების სამართლებრივი დასაბუთება და მტკიცება შეეხება იმ გარემოებას, რა დროსაც, სახელმწიფოს არ აქვს არგუმენტი, მიიღოს ადვოკატის საქმიანობის კონტროლისთვის განსაკუთრებული ზომები. ცვლილებები ვერ პასუხობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-11 მუხლით

დადგენილ სტანდარტებს და წარმოადგენს უფლებაში უხეშად ჩარევის ფაქტს. არ არსებობს არც ერთი სამართლებრივი წინაპირობა, რომელიც სახელმწიფოს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის სახით, ადვოკატის საქმიანობის შეფასებისა და კონტროლის ლეგიტიმურ მიზანს შეუქმნიდა. ასეთი ლეგიტიმური მიზანი არ არის ხარისხიანი იურიდიული სერვისის მიღება, რომელიც თავისთავში ლეგიტიმური მიზანია, მაგრამ არა ევროკონვენციით და ქვეყნის ძირითადი კანონით – კონსტიტუციით დაცული ადვოკატის საქმიანობაზე ყოვლისმომცველი შეზღუდვით და კონტროლის გზით. სახელმწიფოს აქვს რესურსი, იურიდიული მომსახურების ხარისხი და ნდობა ამ მომსახურების მიმართ, გაზარდოს ისეთი მეთოდოლოგიით, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ადვოკატების თანაბარ პირობებში ჩაყენებას და მათი მონაწილეობით, სტრატეგიული ამოცანების განხორციელებასაც. ამდენად, დოკუმენტი პირდაპირ ეხება ადვოკატების უფლებრივი და ინსტიტუციური ინტერესების დაცვას.

ორგანიზაციამ საზოგადოებრივი ადვოკატების, სამსახურის ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის შეფასების ახალ სისტემასთან დაკავშირები არსებული ცვლილებების პაკეტი სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურიდან გამოითხოვა და სამართლებრივი ანალიზი მოახდინა. ამასთან, საკითხზე მოისმინა საზოგადოებრივი ადვოკატების განსხვავებული შეხედულებები და განაცხადა თანხმობა საერთო სასამართლოების წესით სარჩელის სამოქალაქო ადვოკატირებაზე. მას შემდეგ, რაც ახალი შეფასების სისტემაზე სარჩელი იქნა აღძრული, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა 2020 წლის 7 სექტემბერს გამოსცა ბრძანება და ცვლილება განხორციელდა სამსახურის შინაგანანგეში, რომლის თანახმად, დისციპლინური გადაცდომა სამსახურის შინაგანანგის, სამსახურის დებულების, იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებების, დირექტორის ბრძანებებისა და სამსახურის სხვა აქტების დარღვევა, მათი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. 22 საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ შინაგანანგეში განხორციელებული ცვლილებებიც სასამართლო წესით გაასაჩივრა. პრობლემაზე მხარეთა პოზიციების დაახლოების მიზნით დაიწყო დიალოგი და შეხვედრა მომზადდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. ასოციაციის თავმჯდომარე დავით ასათიანის განმარტებით, ყველა პრობლემური საკითხი სიღმისეულად იქნება შესწავლილი, ხოლო ხარვეზები, რომელიც არ ემსახურება ადვოკატის პროფესიულ დამოუკიდებლობას, ნდობის ინსტიტუტსა და აჩენს საქმის სტრატეგიის დაგეგმვაში შეჭრის საშუალებებს, გასწორდება, თუმცა ამ დრომდე, პრობლემა კონკრეტული შედეგის გარეშეა.





## საპენსიო კრედიტის სარგებლობაზე დადგენილი პროცენტი, შესაძლოა, საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდეს

ორგანიზაცია საპენსიო კრედიტის გაცემასა და საპროცენტო განაკვეთის გონივრულობის საკითხის გადაჭრაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვას არ გამოირიცხავს. შესწავლის შედეგები აჩვენებს, რომ პენსიონერი უფლებამოსილია, 57 თვის ვადით ისარგებლოს საპენსიო კრედიტით, რომლის მაქსიმალური ოდენობა არ აღემატება ყოველთვიური სარგოს ცხრამეც ოდენობას. ამავდროულად, დაწესებულია შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი და ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 30,69%-ს, რაც, ცხადია, არაგონივრულია.

ორგანიზაციის შეფასებით, ფინანსური თუ ეკონომიკური კრიზისი განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება საზოგადოების იმ ფენაში, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან სოციალური სარგოს მიმღებ პირებს მოიცავს. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ 762,600 მოქალაქე (საქსტატის 2019 წლის მონაცემები) მიეკუთვნება იმ ასაკობრივ კატეგორიას, რომელიც სახელმწიფოსგან სოციალური სარგოს სახით იღებს ყოველთვიურ პენსიას. არსებული მძიმე ეკონომიკური პირობებისა და სხვადასხვა სოციალური საჭიროებების ფონზე კი, დღეის მდგომარეობით, პენსიონერთა მნიშვნელოვანი ნაწილი სარგებლობს საპენსიო კრედიტით. ამდენად, საინტერესოა, თუ რა პირობებსა და შეთავაზებებს ითვალისწინებს საპენსიო კრედიტის სისტემა. დაცულია თუ არა მართლზომიერება საპროცენტო განაკვეთისას და გონივრულია თუ არა დადგენილი საპროცენტო ტარიფი.

სესხი და საბანკო კრედიტი დღევანდელ რეალობაში წარმოადგენს განსაკუთრებით მოთხოვნად საბანკო სერვისს. შესაბამისად, ყოველდღიურად, ბანკებისა სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაიცემა სხვადასხვა მიზნობრივი სესხი. ამავდროულად, საპენსიო კრედიტიც, ისევე როგორც, ნებისმიერი სესხი, წარმოადგენს ვალდებულების იმ სახეს, რომელიც მოვალის მხრიდან უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთლსინდისიერად, თუმცა, ამ შემთხვევაში, კრედიტის დაფარვა ხდება იმ ანგარიშიდან, რომელზეც სახელმწიფოს მხრიდან ყოველთვიურად და მუდმივად ირიცხება სოციალური სარგო.

უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ბანკს ახასიათებს არაკეთილსინდისიერი მიდგომა საპენსიო კრედიტის დაფარვის საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად უზრუნველყოფის არსებობისა, ბანკი დამატებით გარანტიას იქმნის მაშინ, როდესაც ამის საჭიროებაც კი არ არსებობს. კერძოდ, ბანკის მიერ კრედიტის გაცემის შემთხვევაში, კლიენტის მიერ ვალდებულების დაფარვა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული მოცულობით, საშუალებითა და

წესით. ამასთან, აღნიშნული დათქმა არ ზღუდავს ბანკის უფლებას მოსთხოვოს კლიენტს კრედიტის დაფარვა სხვა საშუალებითა და ფორმით. აღნიშნული წესის არსებობა, რასაკვირველია, აზარალებს მომხმარებლის ინტერესებს. გარდა საპენსიო ანგარიშისა, რომელიც საპენსიო კრედიტის უზრუნველყოფის ერთგვარ გარანტიას წარმოადგენს, საფრთხის ქვეშ დგება პირის სხვა დანარჩენი აქტივები.

მნიშვნელოვანია, რომ საფინანსო ინსტიტუტებმა გულისხმიერება გამოიჩინონ საკრედიტო ხელშეკრულების პირობების დადგენისას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს სოციალური საჭიროების მქონე პირი – პენსიონერი.

საპენსიო კრედიტზე დადგენილ საპროცენტო განაკვეთი კიდევ უფრო ცხადყოფს პენსიონერთა მიმართ გამოვლენილ არაკეთილსინდისიერ მიდგომას. პრაქტიკული თვალსაზრისით, პენსიონერი უფლებამოსილია, 57 თვის ვადით ისარგებლოს საპენსიო კრედიტით, რომლის მაქსიმალური ოდენობა არ აღემატება ყოველთვიური სარგოს ცხრამეც ოდენობას. ამავდროულად, დაწესებულია შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი და ყოველწლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 30,69%-ს, რაც, ცხადია, არაგონივრულია. მაშინ, როდესაც, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გაღებული ყოველთვიური დახმარება და ხელშეკრულების მხარედ გვევლინება სოციალური საჭიროების მქონე პირი, ცხადია, აღნიშნული ციფრები არის არაგონივრული და არაკეთილსინდისიერი. პარალელურად, სტანდარტულ შემთხვევებში, ფიზიკური პირებისთვის გაცემული სა-მომხმარებლო კრედიტის ოდენობა 17-21%-ის ფარგლებში მერყეობს. ამ მონაცემების ფონზე, ყოვლად დაუშვებელია პენსიონერებს დაუდგინდეთ 30,69 %-ის ოდენობის წლიური საპროცენტო განაკვეთი.

ამდენად, გონივრული იქნება, თუ საფინანსო ინსტიტუტი გაიზიარებს ფიზიკურ პირთათვის სესხისთვის გათვალისწინებულ გონივრულ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც დადგენილია ეროვნული ბანკის მიერ. დაუშვებელია, პენსიონერს დაევალოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტის გადახდა და მნიშვნელოვანია საპროცენტო განაკვეთის რეგულირებასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომის არსებობა და გულისხმიერი, კეთილსინდისიერი პირობების დადგენა პენსიონერთა მიმართ. ორგანიზაცია არ გამოირიცხავს ამ საკითხზე ფართო დისკუსიის წარმოებას და საკითხის დასმას სამართლებრივი საშუალებებით, მათ შორის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის გზით.





## ამომღები კომპანიები მოქალაქეებს აშანტაუებენ, ხანდაზმულ სესხებზე გადახდას სთხოვენ და უსაფუძვლოდ მდიდრდებიან

ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ ბოლო თვის განმავლობაში, განსაკუთრებით გააქტიურდნენ კონკრეტული ფინანსური კომპანიები, რომლებიც იძულებისა და დაშინების ფორმებით, მოქალაქეებს მოუწოდებენ გადაიხადონ თანხები სამომხმარებლო სესხებზე, რომელთა მიმართაც მოთხოვნის სამართლებრივი ვადები გასულია ან მთავრობის პროგრამის ფარგლებში მოქალაქეებს გადახადის ვალდებულება აღარ გააჩნიათ. ორგანიზაცია ერთ-ერთ ასეთ კომპანიად „ფინანსურ ბიუროს“ ასახელებს.

გაუგებარია ასეთი კომპანიების ქცევისა და კეთილსინდისიერების საკითხი. არსებობს ორი ტიპის პრობლემა, როდესაც სესხი ხანდაზმულია ანუ ვადაგასულია და ფინანსური ვალდებულების შესრულების მოთხოვნა კომპანიას კანონი აღარ აძლევს, მაგრამ კომპანიები ცდილობენ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას და სხვადასხვა ფორმით მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადების აღდგენას და მეორე გარემოება, როდესაც 2018 წელს, საქართველოს მთავრობამ სესხების განულების პროგრამა განახორციელა, თუმცა უიმედო სესხების პორტფელი ბანკებმა თუ სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა ამომღებ კომპანიებს გადასცეს. დღესდღეობით, ამომღები კომპანიები დაკავებულია ე.წ. უიმედო სესხებზე ხანდაზმულობის ვადების აღდგენით. ასეთი სესხებზე საერთო სასამართლოებში არაერთი სარჩელია წარდგენილი. სარჩელების პარალელურად, კომპანიის წარმომადგენლები უკავშირდებიან პროცესის მონაწილე მხარეებს და სთავაზობენ დავის მორიგებით დასრულებას, ვალდებულების გადანაწილებს და რესტრუქტურირებას, პროცესის განულებას და ძირი თანხის დაფარვას, რაც ხდება მუქარის, ზემოქმედებისა და დაშინების ტერმინოლოგიით. ორგანიზაციის წარმოებაშია ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე ერთ-ერთი ასეთი საქმე და დაზარალებული მოქალაქეც.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიმართავს მოქალაქეებს, რომ ამომღები კომპანიების ასეთი სატელეფონო შეტყობინებების პირობებში, არ დასთანხმდნენ ხანდაზმულ სესხებზე რაიმე პირობას და არ მოახდინონ ვალდებულების შესრულების დაპირება. ორგანიზაცია აღნიშნავს,

რომ გახშირდა შემთხვევები, როდესაც მომხმარებელთან საუბარი იწერება, ამის შესახებ კომპანიის წარმომადგენლები წინასწარ აფრხილებს მოქალაქეს, საუბარი კი შემდგომ გამოყენებულია სასამართლოში იმის საჩვენებლად და მტკიცებულებად, რომ თითქოსდა მოქალაქე სასესხო ურთიერთობას რაიმე ფორმით აღიარებს.

ქართულ სამართლებრივ სივრცეში ხანდაზმულობის ინსტიტუტის შინაარსი და მისი გამოყენების წინაპირობები მონესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით, რაც არაერთხელ გამხდარა საერთო სასამართლოებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების საგანი. მისი ზოგადი სამართლებრივი არსი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელობით შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებით დადგენილ სტანდარტსაც, რომლის მიხედვითაც, ხანდაზმულობის ინსტიტუტი კონსტიტუციური მართლწესრიგის შემადგენელი ნაწილია. „...ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისაგან, რომლებისგანაც თავის დაცვა შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება, წარმოშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან, გადანყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელიც შესაძლოა დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს...“ (იხ. STUBBINGS AND OTHERS VS THE UNITED KINGDOM 1996 წლის 22 ოქტომბერი). შესაბამისად, ორგანიზაცია მოქალაქეებს აფრთხილებს, რომ ასეთ სარჩელებს იურიდიული პერსპექტივა არ გააჩნია და ამომღები კომპანიების შანტაჟს არ უნდა დაემორჩილონ.

რაც შეეხება „ფინანსურ ბიუროს“, ორგანიზაციამ კომპანიას ოფიციალური წერილით უკვე მიმართა. ორგანიზაცია იმედს გამოთქვამს, რომ კომპანია დაემორჩილება კანონის მოთხოვნებს და დაელოდება მართლმსაჯულების განხორციელებას. ორგანიზაცია მზადყოფნას გამოთქვამს იურიდიული დახმარება აღმოუჩინოს მსგავსი პრობლემის მქონე ადამიანებსაც.





## ისევ თბილისის გენგეგმა, ისევ დაზარალებული მესაკუთრეები

ორგანიზაცია აგრძელებს საკითხზე შეფასებას, რომელიც თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებისა და ქალაქის სხვადასხვა ფუნქციურ ზონებად დაყოფის შედეგად, კონკრეტულ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეზღუდვის საკითხს შეეხება. საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ მინათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული შეზღუდვები, რეალურად, არ მოხსნილა და მესაკუთრეები კვლავ იგივე პრობლემის წინაშე დარჩნენ – დღემდე არ ხდება მათი საკუთრების უფლებით სარგებლობა და თავისუფალი გამოყენება.

მნიშვნელოვანია მოხდეს თბილისის მერიის რეალური პოზიციის დაფიქსირება, რათა დადგინდეს ქალაქისათვის აღნიშნული გენგეგმის შედეგები და მისი გავლენა კერძო პირთა უფლებებსა თუ კანონიერ ინტერესებზე. თბილისის მერია დღემდე უპასუხოდ ტოვებს კითხვებს, რომელიც ორგანიზაციის მხრიდან დაისვა. ორგანიზაციას მხოლოდ თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმიდან წარმოშობილი დავების (აქტის გამოცემაზე, აქტის გაუქმებაზე, კომპენსაციის გადახდაზე, სხვა) შესახებ მიენოდა ინფორმაცია. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, 2020 წლის ივლისის თვის მდგომარეობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია სასამართლოში მიმდინარე 56 საქმეზეა მზარე.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ქალაქის მმართველი ორგანოსათვის ბუნებრივია მნიშვნელოვანია ქალაქის განვითარების ისეთი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელიც ხელს შეწყობს მის სრულფასოვან განვითარებას. აღნიშნული გულისხმობს სხვადასხვა მოქმედებათა ერთობლიობას, ეს იქნება: სატრანსპორტო, საგზაო, სარეკრიაციო, სამშენებლო თუ ა.შ. თუმცა, ბუნებრივია, ნებისმიერი განსახორციელებელი პროექტის მთავარი მიზანია ქალაქის მოსახლეობისთვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა. ნებისმიერი შეზღუდვის მიზანი და უმაღლესი ღირებულება არის სწორედ ის მოსახლეობა, რომელიც მთელი ამ სერვისით სარგებლობს ან ისარგებლებს მომავალში. სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით, მინათსარგებლობის გენერალურმა გეგმამ პირდაპირ შეზღუდა მოქალაქეთა ცალკეული ჯგუფის უფლებები თუ კანონიერი ინტერესები. უძრავი ქონების მესაკუთრეთათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი პრობლემა განაპირობა მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებამ, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად დაარღვია საკუთრების უფლების არსი. შესაბამისად, ორგანიზაციამ შეისწავლა გენგეგმის მიზანი, საფუძველი, შეზღუდვის მართლზომიერება და, რაც მთავარია, ქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს კეთილსინდისიერების საკითხი.

მინათსარგებლობის გენერალური გეგმით განისაზღვრა დასახლებულ ტერიტორიების გამოყენების (მინათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითადი პარამეტრები, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავი სივრცით-ტერიტორიული პირობები, საინჟინრო, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცითი ასპექტები და განსახლების ტერიტორიული საკითხები. არსებული ცვლილებების შედეგად, განისაზღვრა ქალაქის განაშენიანების კონტური – ერთგვარი ზღვარი, რომლის მიღმა დაუშვებელია მინის ნაკვეთის სამშენებლო თვალსაზრისით გამოყენება. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, აღნიშნული პროექტი წარმოადგენდა

ერთგვარ დროებით შემზღუდველ აქტს, რომლის მოქმედების ფარგლებში მუნიციპალიტეტს უნდა მოეხდინა შესაბამისი კვლევების განხორციელება, ქალაქის მიზნობრივი განვითარებისათვის არსებული აუთენტიკური ტერიტორიებზე საკანალიზაციო სისტემის, ქუჩებისა თუ ა.შ. უზრუნველყოფა. თუმცა, რეალურად, არავითარი ზემოთ ხსენებული ქმედება არ განხორციელებულა და შედეგად მივიღეთ მხოლოდ დაზარალებული კერძო მესაკუთრეები.

ხსენებული დოკუმენტით, დადგინდა ქალაქ თბილისის მასშტაბით 12 ტერიტორიული არეალი, რომლის ფარგლებშიც შეიზღუდა ტერიტორიის მიზნობრივი განვითარება. რასაკვირველია აღნიშნულ ტერიტორიას ჰყავდა და ჰყავს კიდევ მესაკუთრეები – ფიზიკური თუ იურიდიული პირები, რომლებსაც კონკრეტულ უძრავ ნივთებზე გააჩნიათ საკუთრების უფლება. მაშასადამე, გენგეგმის მოქმედებამდე, აღნიშნულ პირებს ჰქონდათ ტერიტორიის ფლობის, სარგებლობისა თუ განკარგვის შესაძლებლობა. ამავდროულად, მნიშვნელოვანია აღნიშნულ იქნას ის ფაქტიც, რომ 12 არეალის შეზღუდვასთან ერთად, განისაზღვრა სწორედ ქალაქის განაშენიანების კონტურის მდებარეობაც. ამდენად, შეზღუდული ტერიტორიების ნაწილის მიზნობრივი განვითარება შეიზღუდა ორმაგად, როგორც ფუნქციური თვალსაზრისით, აგრეთვე, მიენიჭათ განაშენიანების კონტურს მიღმა არსებულ ტერიტორიათა სტატუსი. მთელ ამ შეზღუდვებს, ბუნებრივია, მოჰყვა მინის მესაკუთრეთა მართლზომიერი პროტესტი. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე შეიზღუდა მშენებლობის ნებართვების გაცემის პროცესი, მესაკუთრეებს ამ დოკუმენტით მიადგათ პირდაპირი და უშუალო ზიანი. 2014 წლიდან დღემდე, მათ გააჩნდათ მხოლოდ ფორმალური საკუთრების უფლება – მისი სარგებლობისა და განვითარებისა კი – არა.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვა ლეგიტიმურია მაშინ, როდესაც ხდება კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთშეჯერება. მერიის განცხადება მის თაობაზე, რომ თბილისის მუნიციპალიტეტში მდებარე 12 არეალზე გენგეგმით გათვალისწინებული შეზღუდვები მოიხსნა და მესაკუთრეთა დარღვეული უფლებები აღდგა – არის მიზანმიმართულად მცდარი, არაკეთილსინდისიერი, მიმართულია დაინტერესებულ პირთა შეცდომაში შეყვანისა და მწვავე პროცესის შეძლებისდაგვარად განეიტრალებისკენ. სამართლებრივად, აღნიშნული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ გენგეგმის შედეგად მოექცა გაუნაშენებლად არეალში. ცხადია, მხოლოდ ფუნქციური ზონის ცვლილება ვერ მოგვცემს შედეგს. ამისათვის ერთმნიშვნელოვნად საჭიროა განაშენიანების კონტურის არეალის ახალი რეგლამენტირება და ერთიანი, სრულფასოვანი მიდგომის დანერგვა იმ ალტერნატივებთან მიმართებით, რაც საჯარო ინტერესის საფუძველით დარღვეულ კერძო ინტერესს დააბალანსებს.

ცნობისთვის: „ახალგაზრდა ადვოკატები“ თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტის მონიტორინგის პროცესში 2017 წლის მარტში ჩართო. ორგანიზაციამ 2017 წლის 6 აპრილს მონიტორინგის პირველადი შეფასებითი ნაწილი წარმოადგინა და აღნიშნა, რომ თბილისის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტი საჯარო ინტერესებს არ პასუხობდა. შესაბამისად, ორგანიზაცია საკითხზე მუშაობას აგრძელებს.



# „მრეწვერკინიგზა“ – სამართლიანობის აღდგენის მოლოდინი კიდევ ერთ წართმეულ საქმეზე

ორგანიზაცია 2021 წლიდან ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს გახდის მორიგ კვლევას და სამართლებრივ შეფასებას, რომელიც დაკავშირებულია საქართველოში ბიზნესისა და საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტთან, სისტემური დანაშაულის შემთხვევასთან, რაც ჩვეულებრივი ნორმა აღმოჩნდა 2012 წლის 1 ოქტომბრამდე სახელმწიფოს მკაცრი და ადამიანის უფლების დამრღვევი პოლიტიკისთვის, რა დროსაც უკანონოდ განხორციელდა სააქციო საზოგადოება „მრეწვერკინიგზას“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (მინის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები) სახელმწიფოს მხრიდან წართმევა, რამაც 2014 წლის აუდიტორული დასკვნის თანახმად, მთლიანობაში შეადგინა 778,515,00 ლარის ღირებულების ქონება.

ორგანიზაციის მიზანი შესწავლილი საქმე გახდეს საჯარო ინტერესის საგანი, გამომდინარეოს სტრატეგიული სამართალწარმოებისა და საქმისწარმოების იდეიდან, ვინაიდან 2013-2020 წლებში, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, არაერთი კვლევა და დასკვნა გამოაქვეყნა, რომელიც შეეხებოდა საკუთრების უფლების ხელყოფის, ბიზნესისა და მოქალაქის წინაშე ჩადენილ შემთხვევებს და ორგანიზაცია, ამ მიმართულებით, კვლავ აგრძელებს დაკვირვებისა და შესწავლის პროცესს. ორგანიზაციის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ 2004-2012 წლებში, მოქალაქეებმა სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ, 5 634 ქონება დათმეს. სახელმწიფოს უსასყიდლოდ, ჩუქების ფორმით გადაეცა 369 ერთეული ქონება, მიტოვების გზით და სხვა სამართლებრივი ფორმით კი – 1941. საერთო ჯამში, სახელმწიფომ მიიღო 2310 ქონების განკარგვის უფლება. წინამდებარე საქმეც სწორედ ამ შემთხვევების თვალსაჩინო მაგალითის წარმოადგენს, რა დროსაც, სააქციო საზოგადოება და მისი დირექტორი, იძულებული გახდა, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ დაეთმო (მიტოვების ფორმით) ქ. თბილისში, ლილოს სამრეწველო ზონაში მშენებლობის სამინისტროს მიღების საიზოლაციო საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 6448.00 კვ.მ, ქ. თბილისში, ლილოს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს №1 სახლმშენებელი კომპინატის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 10705.00 კვ.მ და ქ. თბილისში, კაიროს ქ. №36-ში მდებარე უძრავი ქონება, ნაკვეთის ფუნქცია არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 47906.00 კვ.მ. თავისი შენობა-ნაგებობებით.

წინამდებარე კვლევაში გამოცემულია სააქციო საზოგადოების საქმიანობა, განხილულია საკუთრების უფლების დათმობის პროცესი, წარმოდგენილია საერთო სასამართლოებში 2014-2020 წლებში წარმოებული და მიმდინარე სარჩელების შედეგები და მნიშვნელობა, მომზადებულია დასკვნა და სარეკომენდაციო წინადადებები. ორგანიზაციამ კვლევაზე მუშაობა 2020 წლის დასაწყისში დაასრულა და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობაც დაიგეგმა, თუმცა მსოფლიო პანდემიის – ახალი კორონავირუსის შედეგად განვითარებული მოვლენების გამო, შეცვლილი ცხოვრების პირობებში, კვლევის გამოქვეყნება 2020 წლის მანძილზე ვერ მოხერხდა.

2020 წლის 30 ივლისს, ს.ს. „მრეწვერკინიგზამ“ აღიარებითი სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ და მოითხოვა უძრავ ნივთზე მესაკუთრედ აღიარება და უძრავი ნივთის გამოთხოვა. 2020 წლის 6 აგვისტოს ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო 2020 წლის 31 ივლისს დაკმაყოფილდა მხარის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. „მრეწვერკინიგზას“ უძრავი ქონებების მფლობელი კვლავ სახელმწიფოა, რომელსაც შეეძლო დამოუკიდებელი ინიციატივის ფარგლებში, კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20/01/2015 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე, მოეხდინა მომავალი მესაკუთრისთვის ქონების პრივატიზაციის გზით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გადაცემა. ამასთან, საქართველოს პროკურატურის მიერ არ მიღებულა ს.ს. „მრეწვერკინიგზას“ დაზარალებულად ცნობისა და საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რაც არ პასუხობს კანონიერებისა და სამართლიანობის პრინციპებს.

ორგანიზაციამ შეძლო საქმეზე სამართლებრივი სტრატეგიის შექმნა და ნამდვილი მესაკუთრის კანონიერი ინტერესების დაცვის მიმართულებით, საქმეზე სამოქალაქო ადვოკატურებაც იწყება.







## მელტონიანების საქმეზე გამოძიებამ სათანადო მტკიცებულებები ვერ მოიპოვა

მელტონიანების საქმე, რომელიც ორგანიზაციამ ცნობილი 2019 წელს გამოქვეყნებული კვლევით გახადა ცნობილი, კვლავ მაღალი პროფესიული ინტერესით სარგებლობს. ორგანიზაცია შენიშნავს, რომ აიკ მელტონიანისა და ანდრანიკ მელტონიანის სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში ამოღებული იქნა „112“-ის სამსახურში შემავალი ზარების ნუსხა, რომელიც საგამოძიებო უწყების მხრიდან სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა. აღნიშნული მტკიცებულების სასამართლოში წარდგენის და მტკიცების ინტერესი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ გამოძიების ინტერესებში უნდა ყოფილიყო, თუმცა საგამოძიებო ორგანომ ამ მიმართულებით მოქმედების განხორციელება მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რაც შესაძლო დაინტერესებასა და მიკერძოებაზე კითხვებს აჩენს. ყურადღება უნდა დაეთმოს იმ გარემოებას, რომ მხარის მოთხოვნით, ქვემო ქართლის პროკურატურას წარედგინა აიკ მელტონიანის მობილური ტელეფონის შემავალ-გამავალი ზარის ნუსხა და მოთხოვნილ იქნა ობიექტური გადაწყვეტილების მიღება იმ პირობა დასადგენად და პასუხისმგებლობის მისაცემად, რომელიც მოვალეობის შეუსრულებლობამ გამოიწვია ახალი დანაშაულის ჩადენა – ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობა, თუმცა დაკითხული პოლიციელები უარყოფენ აიკ მელტონიანის მხრიდან დარეკვას და მასთან შეხვედრის ფაქტებს, რაც სრულიად შეუსაბამოა არსებულ დოკუმენტური მასალით დადგენილ სინამდვილესთან და შეიძლება შეფასდეს, როგორც სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მცდელობა.

საქმეს თან ერთვის განხორციელებული ზარების ხმოვანი ელექტრონული ჩანაწერები, სადაც ჩანს, თუ როგორ სთხოვს აიკ მელტონიანი დახმარებას, როგორც „112“-ის სამსახურს, ასევე ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებს, თუმცა სამართლებრივი შედეგი ამ დრომდე საქმეზე არ დამდგარა. ამდენად, სასამართლოს ქვემდგომ ინსტანციებს მიაჩნიათ, რომ აიკ მელტონიანმა სავარაუდო დანაშაული ჩაიდინა 17:00 საათზე, წარმოდგენილი დოკუმენტით კი დასტურდება, რომ ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობამდე მერგელ მელტონიანზე მიყენებული დაზიანება მოხდა 40 წუთით ადრე. სასამართლო სხდომაზე წალკის რაიონის ავრალოს განყოფილე-

ბის უფროსმა ედვარდ ხაჩატრიანმა უარყო რაიმე სახის შეტყობინების მიღება და მათ შორის აიკ მელტონიანის დარეკვის ფაქტი, რაც დოკუმენტურად დადგენილ სიმართლეს ეწინააღმდეგება. ფაქტია, ანდრანიკ მელტონიანი ორჯერ, აიკ მელტონიანი კი ექვსჯერ დაუკავშირდა სამართალდამცავ ორგანოებს და სთხოვდა დახმარებას, თუმცა სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანოებმა, არ მიიღეს გადაამჭრელი ზომები ადგილზე უსაფრთხოებისა და სიცოცხლის უფლების უზრუნველსაყოფად. ამდენად, გამოძიებამ არ მოიპოვა მტკიცებულებები „112“-დან და აიკ და ანდრანიკ მელტონიანების მიერ განხორციელებულ ზარზე მიღებულ ზომების შესახებ, არ ამოღებულა არც ხმოვანი ჩანაწერები, ასევე, არ გამოძიებულა აიკ მელტონიანის მიერ წალკის პოლიციის მთავარ სამმართველოში დეტექტივ მემედ აბდულაევთან დაფიქსირებული სატელეფონო შეტყობინების შინაარსი, რითაც დადგინდებოდა მკვლელობის ჩადენის რეალური დრო და მერგელ მელტონიანის დასახმარებლად გამოძახებულ პოლიციელთა, ედვარდ ხაჩატრიანის მიერ შესაძლო გადაცდომის ფაქტი, რასაც მოჰყვა დანაშაულის შეუტყობინებლობა, მტკიცებულებათა განადგურება, დაშავებული არასრულწლოვანის დახმარების გარეშე მიტოვება, გადაუდებელ ოპერატიულ ღონისძიებებზე უარი, რასაც შედეგად მოჰყვა ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობა.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ სახეზეა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების უმოქმედობა ან/და არასაკმარისი მცდელობები, რათა მიღებულიყო საგანგებო ზომები მელტონიანების სიცოცხლისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და სამართალდამცავ ორგანოებს სწორი და სწრაფი დასკვნები გაეკეთებინათ მოვლენების იმგვარი შესაძლო განვითარებისთვის, რამაც ანდრანიკ მელტონიანის სიკვდილი გამოიწვია. მით უფრო, საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს წარმოადგენდა მელტონიანებსა და თამარიანებს შორის არსებული კონფლიქტი, წლების მანძილზე მომხდარი ინციდენტები, რაც ქმნიდა დაცვის გადაუდებელ საჭიროებებს, როგორც უშუალოდ 2016 წლის 30 ივლისის პირველი ინციდენტის დადგომისას (მერგელ მელტონიანის მიმართ დაჯახების ფაქტი), აგრეთვე ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობამდე და დანაშაულის ჩადენის პროცესში.





## საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი ოფისის მშენებლობის სახელით ფარული გარიგებები

საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი შენობის მშენებლობის პროცესი საჯარო ინტერესის საკითხად შეაფასა ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადოკატებმა“, რომელმაც 2019 წლის სექტემბრიდან საქართველოს ეროვნულ ბანკთან ანარმოა წერილობითი კომუნიკაცია და გამოითხოვა ყველა საჯარო დოკუმენტი, რომელიც საკითხის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას შეეხებოდა. 2019 წლის 25 ოქტომბერს, ორგანიზაციამ შესწავლის შედეგად, პირველი საჯარო განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის 8,427,840.00 აშშ დოლარის ნასყიდობის ხელშეკრულების მიზნობრიობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს უნდა გადაეხედა. ორგანიზაცია განმარტავდა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკს ახალი სათაო ოფისის მშენებლობასთან დაკავშირებით, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით, კანონი არ დაურღვევია, მაგრამ გარიგების სამართლებრივი და ეკონომიკური მიზანშეწონილობა მაღალი საჯარო ინტერესის საკითხია და მისი შემოწმება მხოლოდ ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს – სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შეეძლო.

ორგანიზაციამ 2020 წლიდან გააგრძელა საქართველოს ეროვნულ ბანკთან წერილობითი კომუნიკაცია და საკითხის შესწავლა. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ 2019 წლის 26 ივლისის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილი გარიგებების რეჟიმში ხვდება, ვინაიდან საქართველოს ეროვნულ ბანკსა და შპს „სითი ცენტრს“ შორის დადებული შეთანხმებები მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებებია. შესაბამისად, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, სამართლებრივად, ფაქტობრივი დოკუმენტია. მიწის ნაკვეთი, რომელსაც ფლობდა კერძო კომპანია, თავისი ფუნქციით, იმთავითვე გამოუყენებელი იყო და ფორმალური ხელშეკრულებების დადების მომენტისთვის, მასში მონაწილე მხარეებმა იცოდნენ, რომ უკვე მოქმედებდა თბილისის მინათსარგებლობის გენერალური გეგმა და კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ექცეოდა იმ სპეციალურ ზონირებაში, რომლის გამოყენებაც, მით უფრო, მრავალსართულიანი შენობის და მის გარშემო შესაბამისი კომპლექსისთვის, არ შეიძლებოდა. ფაქტია, ყველა დოკუმენტი აჩვენებს, რომ გარიგება სახელმწიფო ცენტრალურ ბანკსა და კერძო პირს/ბიზნესმენს/კომპანიას შორის გაფორმდა სწორედ იმ მიზნით, რომ კერძო პირს/ბიზნესმენს/კომპანიას სესხი თავისი ვალდებულებების გასასტუმრებლად აეღო. ერთი შეხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც მიწის ნაკვეთის მომავალი სრულფასოვანი მესაკუთრე უნდა გამხდარიყო, თანხმობას

იძლევა დროებით საკუთრებაში მიღებული ქონების ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთვაზე და სწევს იმ რისკს, როდესაც შესაძლებელია, კომპანიის შეუსრულებელი ვალდებულებების გამო, ს.ს. „ვითიბი ბანკ ჯორჯიამ“ მოახდინოს ქონების რეალიზება და ამით მნიშვნელოვანი ზიანი წარმოეშვას სახელმწიფოს ცენტრალურ ბანკს.

საქართველოს ეროვნული ბანკის თავდებობით, კერძო პირმა/ბიზნესმენმა/კომპანიამ კრედიტის სახით მიიღო 2 მლნ აშშ დოლარი. ფაქტებით დგინდება, რომ ეროვნული ბანკი ვერავითარ სიკეთეს ვერ მიიღებდა დადებული გარიგებით და კერძო კომპანიიდან მიღებული მიწის ნაკვეთის დროებითი მესაკუთრეც იქნებოდა, გარიგება დაიდო სწორედ მისი ერთი მხარის – კომპანიის ინტერესების მომსახურებისთვის, კომპანიამ კი ეროვნული ბანკი, მისთვის დროებით საკუთრებაში დათმობილი მიწის ნაკვეთის სახით, გამოიყენა ბანკთან სესხის აღების სამართლებრივი საფუძვლების შექმნისთვის. ეს არის შემთხვევა, როდესაც გარიგების მხარეებმა იმთავითვე იცოდნენ, რომ მითითებულ ტერიტორიაზე ვერავითარი ახალი საოფისე ფართის მშენებლობა ვერ განხორციელდებოდა და საქართველოს ეროვნულ ბანკს მიწის ნაკვეთის კერძო კომპანიისთვის დაბრუნება მოუწევდა. შესაბამისად, გარიგებების ხასიათი საჭიროებს კონტროლის და შემოწმების მაღალ სტანდარტს, ვინაიდან გამოირიცხოს ან/და დადასტურდეს საგარაუდო დანაშაული ან/და კორუფციული შეთანხმებები.

გარიგება, რომელიც რეალური სამართლებრივი შედეგისთვის არ დადებულია, თავისი არსით წარმოადგენს ბათილ გარიგებას და მისი მოჩვენებითი და თვალთმაქცური ხასიათი ემსახურება სწორედ იმ მიზნების უზრუნველყოფას, რომელიც გარიგების მონაწილე მხარეებს, ფარული შეთანხმებებით, გააჩნდათ.

ფაქტია, საქართველოს ცენტრალურმა ბანკმა ვერავითარი სიკეთე ვერ მიიღო 2019 წლის 26 ივლისის ხელშეკრულებით და ეს თავიდანვე ცხადი იყო. სიკეთე მიიღო მხოლოდ გარიგების მეორე მხარემ კრედიტის აღების სახით და ისევ საკუთარი ქონების უკან დაბრუნებით. საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც მაღალი ხარისხის სახელმწიფო ინსტიტუციის როლი და ფუნქცია, გამოყენებულ იქნა კერძო პირის/ბიზნესმენის/კომპანიის ინტერესების სასარგებლოდ, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ერთობლიობით კი, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ზეგავლენით ვაჭრობას. ორგანიზაცია საკითხზე ვრცელ დასკვნას 2021 წელს გამოაქვეყნებს.





## „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სესილის ცხოვრება მთლიანად შეცვალა და მას ღირსეული სიბერე საკუთარ ქერქვეშ დაუბრუნა

**„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სესილის ცხოვრება მთლიანად შეცვალა და მას ღირსეული სიბერე საკუთარ ქერქვეშ დაუბრუნა**  
 „ახალგაზრდა ადვოკატების“ მორიგი წარმატებული ერთ-ერთი საქმე, რომელმაც მთლიანად შეცვალა 90 წლის ქალბატონი სესილის ცხოვრება და დაუბრუნა მას ღირსეული სიბერე.

2020 წლის 28 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, სესილი ერთადერთ საცხოვრებელ სახლში სიცოცხლის მანძილზე იცხოვრებს და ღირსეული სიბერე უზრუნველყოფილი იქნება.

დავის ისტორია ასეთია: მოსარჩელე არ ყოფილა დაოჯახებული, ხოლო მისი ერთადერთი საცხოვრებელი სახლი შედგება ქ. თბილისში, პეკინის გამზირზე 30.00 კვ.მ ფართით. სესილი საცხოვრებელს სახლს უწყვეტად ფლობდა 1992 წლის 3 აპრილიდან, პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე. მან დისშვილისგან მიიღო დაპირება, რომ უზრუნველყოფდა დამხმარე ქალბატონით, საკვებით, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ხარჯებით, სანაცვლოდ კი საცხოვრებელი სახლი სიცოცხლეშივე დაეთმო. დეიდასა და დისშვილის შორის 2007 წლის 19 სექტემბერს გაფორმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება (მაგრამ დეიდას არავითარი ნასყიდობის ღირებულება არ მიუღია). სესილის მიმართ, პირველ ეტაპზე, მართალია შეინიშნებოდა ყურადღება და ჯანსაღი დამოკიდებულება, თუმცა ბოლო 2 წლის განმავლობაში, მოპასუხემ მოსარჩელესთან კონტაქტი განწყვიტა. დისშვილი ოჯახთან ერთად, 2018 წლის ზაფხულიდან საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში, დეიდას ერთადერთ საცხოვრებელ ფართზე, ბანკთან სასესხო ვალდებულებებიდან გამომდინარე, წარმოიშვა იპოთეკა. სესილი სანათესაოს მხრიდან აღმოჩნდა გარიყული, დარეგისტრირდა სოციალურ დაუცველთა ბაზაში და ყოველდღიური ულუფა მიეწოდებოდა საბუთთალოს სასადილოდან. ამასთან, მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ხანდაზმული ადამიანის დამხმარე და ყოველდღიური მზრუნველი გახდა მხოლოდ მეზობლები.

სასამართლომ 2019 წლის 1 ოქტომბერს წარმოებაში მიიღო სესილის სარჩელი, რომლითაც მოთხოვნილ იქნა ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება და უძრავ ნივთზე მესაკუთრედ აღიარება. სასამართლომ საქმეზე გამოიყენა უძრავი ნივთის გასხვისების აკრძალვის უზრუნველყოფის ღონისძიებაც. ორგანიზაციამ სწორად განსაზღვრა სესილის კანონიერი ინტერესები და პროცესი წარმართა შედეგზე ორიენტირებული სტრატეგიით.

მხარეთა შორის დავა დასრულდა მორიგების აქტის საფუძველზე, რომელმაც შექმნა არსებითი გარანტიები სესილის უზრუნველყოფილი პირობებისთვის. საქმე მოსამართლე: ლილი ტყემალაძემ განიხილა.











## სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრს აპლიკანტმა თამარ კიკაჩიშვილმა სასამართლო დავა მეორედ მოუგო

სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრი პროგრამა: „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2017-2018“-ის კონკურსანტ თამარ კიკაჩიშვილთან სამართლებრივ დავაში უკვე მეორედ დამარცხდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით, გაუქმდა სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორის ნინო ჭელიძის 2019 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც თამარ კიკაჩიშვილს, მეორედ ეთქვა უარი ბოსტონის უნივერსიტეტში სწავლის საფასურისა (22 073 აშშ დოლარი) და საყოფაცხოვრებო ხარჯების (44 695 აშშ დოლარის) დაფინანსებაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრს ხელთავიდან, უკვე მესამედ დაევალი თამარ კიკაჩიშვილთან გასაუბრების ჩატარება, რაც ყველა სხვა შემთხვევაში, წარიმართა არაობიექტურად, პირადი შურისძიებით და აპლიკანტის უფლებების საზიანოდ.

საზოგადოების საყურადღებოდ აღვნიშნავთ, რომ თამარ კიკაჩიშვილმა სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის წინააღმდეგ სამივე ინსტანციის სასამართლო 2017-2019 წლებში, პირმინდად მოიგო. სწორედ სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ, მისი აღსრულების მიზნით, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრმა თამარ კიკაჩიშვილი განმეორებით მიიწვია კონკურსის მესამე ეტაპზე – გასაუბრებაზე. თამარ კიკაჩიშვილის მოთხოვნით, მოხდა გასაუბრების მთელი პროცესის აუდიო-დაოქმედა და გასაუბრება აპლიკანტმა წარმატებით დაასრულა, თუმცა მიღებული საბოლოო შედეგის (54,3 ქულა) საფუძველზე, კომისიის გადაწყვეტილებით, მან ვერ დააგროვა დაფინანსებისთვის საჭირო ქულათა რაოდენობა.

საქმე კვლავ სასამართლოში გაიგზავნა, სადაც თამარ კიკაჩიშვილი ამტკიცებდა, რომ სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის დირექტორის ნინო ჭელიძის გადაწყვეტილება დაეფუძნა დირექტორისა და კომისიის რამდენიმე წევრის პირად შეხედულებას, რაც გამოწვეული გახდა თამარ კიკაჩიშვილის მიმართ პიროვნული შეუთავსებლობით და მის წინაშე არსებულ პრობლემაზე სარჩელის სასამართლოში წარდგენის, საკითხის გასაჯაროების გამო. ცენტრმა მიღებული გადაწყვეტილებით აპლიკანტი ისევ დასაჯა. ორგანიზაციის მიმართ გამოგზავნილ წერილში მიღებული გადაწყვეტილება განმარტებულია, როგორც „დისკრეციული უფლებამოსილების“ ფარგლებში მიღებული აქტი, რაც იმ პირობებში, რაზეც იმსჯელა სასამართლოებმა, სრულიად გაუგებარი და დაუსაბუთებელია. ნინო ჭელიძის პირადი ანგარიშ-სწორების შედეგად, თამარ კიკაჩიშვილს ისევ უარი ეთ-

ქვა ბოსტონის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაზე, თამარ კიკაჩიშვილმა კი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაამტკიცა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას, უკანონო გადაწყვეტილებას.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის გადაწყვეტილება ნინო ჭელიძის პირად, შურისძიებით და სიძულვილით მოტივირებულ გადაწყვეტილებად შეაფასა და ადმინისტრაციულ ორგანოსთან ახალი დავა დაიწყო. ორგანიზაციამ დაამტკიცა, რომ ნინო ჭელიძე უკანონოდ მოქმედებდა და აპლიკანტს მოექცა პირადი შურისძიების მოტივებით, რაც მისი თანამდებობრივი პასუხისმგებლობის დასმის წინაპირობას იძლევა. იმ პირობებში, როდესაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ თამარ კიკაჩიშვილს უკანონოდ ეთქვა უარი აშშ-ის ბოსტონის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების მიმართულებით სწავლის საფასურის – 44 695 აშშ დოლარისა და საყოფაცხოვრებო ხარჯების – 22 073 აშშ დოლარის დაფინანსებაზე, გასაუბრების მეორე ეტაპზე, რომელიც მხოლოდ ფორმალურ მხარეს წარმოადგენს კონკურსანტთან ურთიერთობაში, დაფინანსების გაცემაზე უარი სრულიად შოკისმომგვრელი და სასამართლოს გადაწყვეტილების აშკარა უპატივცემულობა აღმოჩნდა.

თამარ კიკაჩიშვილმა 2017 წლის 26 აპრილს ჩააბარა ბოსტონის უნივერსიტეტის განვითარებადი მედიის შესწავლის სამაგისტრო პროგრამაზე. მას მაღალი აკადემიური მოსწრების გამო, უნივერსიტეტმა სტიპენდია გამოუყო, ხოლო დარჩენილი თანხის მოპოვების მიზნით, მონაწილეობა მიიღო განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ გამოცხადებულ „სასტიპენდიო პროგრამა“ კონკურსში. თამარ კიკაჩიშვილმა წარმატებით გადალახა კონკურსის ორი ეტაპი, ხოლო მესამე ეტაპზე, საკონკურსო კომისიის მხრიდან მიიღო დაბალი შეფასება და უარი ეთქვა დაფინანსების მიღებაზე. აპლიკანტის კომისიასთან შემდგომი კონტაქტის შედეგად, თამარ კიკაჩიშვილის გადაეცა შეკითხვები, კრიტიკიუმები და შეფასება. აღმოჩნდა, რომ ერთი მსგავსი შეკითხვის გარდა, თამარ კიკაჩიშვილის მიმართ არც ერთი სხვა შეკითხვა გასაუბრებაზე დასმული არ ყოფილა. მისი შეფასება ცენტრის მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, არ მომხდარა. შესაბამისად, მხარემ მიმართა სასამართლოს დაფინანსების მიღებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული აქტების ბათილად ცნობაზე და დარღვეული უფლებები აღიდგინა, სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრმა კი აპლიკანტი ისევ დაჩაგრა.



## აპლიკანტი, რომელიც იაპონიამ დაასაქმა და გამოცდილებას საქართველოსთვის შეიძენს, ნინო ჭელიძის განათლების ცენტრი გრანტის დაბრუნებას ედავება

კიდევ ერთი საქმე, სადაც სასამართლო განათლების საერთაშორისო ცენტრის უკანონო გადაწყვეტილებებზე იმსჯელებს, ნინო ცხვარიაშვილს შეეხება. აპლიკანტი, რომელიც იაპონიამ დაასაქმა და გამოცდილებას საქართველოსთვის შეიძენს, ნინო ჭელიძის განათლების ცენტრი გრანტის დაბრუნებას ედავება. სარჩელის ავტორიც სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრია, რომელიც იაპონიის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს სახელმწიფო გრანტის პირობების დარღვევას და მიღებული გრანტის – 53,379,36 ლარის დაბრუნებას სთხოვს. თავის მხრივ, ცენტრის წინააღმდეგ სასამართლოში წარადგინა ნინო ცხვარიაშვილმაც, რომლითაც მოთხოვნილი იქნა თანხის დაბრუნების შესახებ სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის 2019 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება საქართველოში დასაქმების შესახებ ვალდებულების შესრულების გადავადებისა და ვალდებულების შესრულების ვადის ათვლის შესაბამისი პერიოდის ამოწურვისთანავე დაწყების შესახებ.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნინომ „საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2016-2017“-ის ფარგლებში მოიპოვა სახელმწიფო გრანტი იაპონიაში, იაპონიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად გამოცხადებულ საჯარო მმართველობის მიმართულების საჯარო მართვისა და პოლიტიკის ანალიზის პროგრამაზე 2016-2017 და 2017-2018 სასწავლო წლებისთვის სწავლის საფასურისა და სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად. გრანტის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, გრანტის მიმღები ვალდებულია საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის დასრულების შემდეგ, დაბრუნდეს საქართველოში არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, დარჩეს ქვეყანაში 3 წლით და დასაქმდეს საქართველოში შესაბამის სფეროში/დანესებულებაში. ადმინისტრაციული ორგანოს განმარტებით, გრანტის მიმღები არ დაბრუნდა ქვეყანაში, დაარღვია გრანტის ხელშეკრულება და მოეთხოვება ფინანსური პასუხისმგებლობა თანხის უკან დაბრუნებაზე.

სინამდვილეში, გრანტის მიმღებს უფლება აქვს,

მიმართოს საკონკურსო კომისიას სწავლის დასრულებიდან არა უმეტეს ერთი წლის ვადით ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამის სფეროში/მიმართულებით სამუშაო გამოცდილების დაგროვების მიზნით, უცხო ქვეყანაში დარჩენის უფლების მინიჭების თხოვნით. 2018 წლის 16 ოქტომბერს, ნინომ განცხადებით მიმართა ცენტრს და მოითხოვა საზღვარგარეთ დასაქმების მიზნით 1 წლით, 2019 წლის შემოდგომამდე დარჩენა. 2018 წლის 9 ნოემბერს, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, ცენტრმა არ დააკმაყოფილა მოთხოვნა. კომისიის აზრით, ნინოს წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არ იკვეთებოდა სამსახურეობრივი პოზიცია და ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისობა დაფინანსებული სამაგისტრო პროგრამის მიმართულებასთან, რაც საზღვარგარეთ სამუშაო გამოცდილების დაგროვების მიზნით დარჩენის უფლების მინიჭების წინაპირობას წარმოადგენდა. 2018 წლის 18 დეკემბერს, განცხადებით კვლავ მიემართა ცენტრს და წარედგინა სრული დოკუმენტაცია და მოთხოვნილ იქნა ხელთაყვიდან მათზე მსჯელობა. 26 დეკემბერის ცენტრის წერილში საუბარია, რომ ნინოს განცხადება განხილვის მიზნით წარმოებაში იქნა მიღებული და იმავდროულად, მხარეს მოეთხოვა იმ ობიექტურ გარემოებებზე მითითება, თუ რატომ არ იქნა დოკუმენტაცია წარდგენილი პირველ ეტაპზე. 2019 წლის 3 იანვარს, ცენტრს კვლავ წარედგინა დაზუსტებული მოსაზრებები სამუშაო აღწერისა და შესაბამისობების თაობაზე, ასევე ობიექტური გარემოებების თაობაზე, თუმცა 9 იანვარს, ნინომ ცენტრისგან მიიღო წერილი, სადაც ნათქვამია, რომ თითქოსდა: ა. ვერც დადგენილ და ვერც დამატებით განსაზღვრულ 10-დღიან ვადაში ვერ მოხერხდა ცენტრის ინფორმირება და ობიექტური გარემოების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის წარმოდგენა და ბ. ნინოს მიერ წარმოდგენილი ცნობა ვერ ადასტურებდა 18/12/18 განცხადებაში მითითებული შემაფერხებელი ობიექტური გარემოების არსებობას. შესაბამისად, გრანტის მიმღებს მოეთხოვა თანხის სრული მოცულობით დაბრუნება.







## „მინისოდან“ გათავისუფლებული მენეჯერი სამსახურში აღდგა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით, გაუქმდა კომპანია „მინისო ჯორჯიას“ დირექტორის 2019 წლის 22 ნოემბრის ბრძანება მალაზიის მენეჯერის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე, მენეჯერი 2020 წლის 1 აგვისტოდან აღდგა გალერია თბილისის მალაზიის მენეჯერის თანამდებობაზე გათავისუფლებამდე არსებული შრომითი ხელშეკრულების პირობებით და კომპანიას დაეკისრა იძულებითი შრომითი განაცდურის ანაზღაურების გადახდა.

ბრძანების ბათილობის და სამსახურში აღდგენის ნაწილში, 2020 წლის 28 ივლისის სასამართლო სხდომაზე, კომპანია „მინისო ჯორჯიამ“ სარჩელი ცნო, იძულებითი განაცდურის ნაწილში კი მხარეთა შორის სამართლებრივი დავა გრძელდება და საბოლოოდ, კომპანიის სანინააღმდეგოდ დასრულდება. კომპანიის წარმომადგენელთა განმარტებით, განხორციელებული რეორგანიზაციისა და ახალი კორონავირუსის პირობებში, ცვლილება განიცადა მენეჯერის თანამდებობრივმა სტატუსმა და სარგომ, კომპანია პანდემიის პირობებში არ საქმიანობდა, არ გაიცემოდა ხელფასი დასაქმებული სხვა პირების მიმართ. შესაბამისად, კომპანია გამოთქვამდა მზადყოფნას, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გათავისუფლებული მენეჯერის მიმართ გაცემულიყო იძულებითი შრომის განაცდურის ანაზღაურება თანამდებობისთვის დადგენილი ახალი სახელფასო პოლიტიკისა და კომპანიის ფაქტობრივი მუშაობის პერიოდის მიხედვით, რაც არც მოსარჩელის და შემდგომში, არც სასამართლოს მხრიდან არ იქნა გაზიარებული. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა – დაევალოს შპს „მინისო ჯორჯიას“ მენეჯერის სასარგებლოდ იძულებითი

შრომითი განაცდურის ანაზღაურება, გათავისუფლების დღიდან – 2019 წლის 22 ნოემბრიდან აღდგენამდე, ყოველთვიური ხელზე ასაღები ხელფასის – 1200 ათასი ლარის ოდენობით, სრულად იქნა დაკმაყოფილებული.

საქმის მასალებით მიხედვით, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის არსებობდა უვადო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა. 2019 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით (შეტყობინებით), კომპანიამ დასაქმებული მალაზიის მენეჯერის თანამდებობიდან გაათავისუფლა. გათავისუფლება დაეფუძნა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძვლებს (სადავო პერიოდში მოქმედი ნორმა). კომპანიის გათავისუფლების გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულებისა და შინაგანანესის უხეში დარღვევა, რაც გამოიხატა დასაქმებულის ქმედებაში. კერძოდ, 2019 წლის 20 ნოემბერს, დასაქმებული მის დაქვემდებარებაში მყოფ ოთხ თანამშრომელთან ერთად, სამუშაო ადგილზე, აღნიშნული თანამშრომლების სამუშაო საათებში იკეთებდა მაკიაჟს და ისწორებდა თმას. სინამდვილეში, დასაქმებულს, 2019 წლის 20 ნოემბერს, კომპანიის მენეჯმენტთან წინასწარი შეთანხმებით, გააჩნდა 1-დღიანი შვებულება (Day Off), ვინაიდან მეჯვარის სტატუსით უნდა დასწრებოდა მეგობრის ქორწილს. მენეჯერი სამსახურეობრივ ადგილას მოსვლის შემდგომ არ ყოფილა ჩართული სამსახურეობრივი უფლებამოსილების შესრულებაში. პროცესს ხელი არ შეუშლია მალაზიის ფუნქციონირებისთვის. კომპანიამ დაიწყო მუშაკის მიმართ თანამდებობიდან გათავისუფლების დისციპლინური წარმოება, თუმცა ქმედება ღიად და აშკარად არ ქმნიდა მისაღები გადაწყვეტილების საფუძვლებს.





## ზვიად გოგიაშვილს ბანკში ცემის გამო, მორალური და მატერიალური ზიანი აუნაზღაურდა

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ჩართულობის შედეგად, ზვიად გოგიაშვილს, TBC ბანკსა და ბანკის სესხების ყოფილ ექსპერტს შორის მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარმოებული დავა მორიგების საფუძველზე დასრულდა. დაზარალებულს ერთჯერადი კომპენსაცია ბანკის ყოფილმა თანამშრომელმა აუნაზღაურა, ბანკმა კი ზვიად გოგიაშვილის მიმართ არსებული გარკვეული საკრედიტო ვალდებულებების მოთხოვნაზე უარი თქვა.

შედეგად, ზვიად გოგიაშვილმა უარი თქვა სარჩელზე და ს.ს. „თიბისი ბანკისა“ და ბანკის სესხების ყოფილი ექსპერტის მიმართ წინამდებარე დავის საგნის ირგვლივ ქონებრივი ან სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაზე, ასევე, დავის საგნის ირგვლივ ყოველგვარ მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელზე, როგორც საქართველოს საერთო სასამართლოებში, საქართველოს პოლიციაში, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, არბიტრაჟში, ისე, ნებისმიერი სხვა ქვეყნის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. საქმის შეწყვეტის შესახებ განჩინება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2020 წლის 16 მარტს მიიღო, რომელიც უკვე შევიდა კანონიერ ძალაში.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ შემთხვევა 2019 წლის 3 ივნისს, ქ. თბილისში, მეტროსადგური ახმეტელის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სავაჭრო ცენტრ „გლდანი მოლში“ მდებარე „თიბისი ბანკში“ ზვიად გოგიაშვილის ყოფნისას მოხდა, რა დროსაც მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. მოქალაქეზე TBC ბანკის სესხების ყოფილმა ექსპერტმა ფიზიკურად იძალადა, რამაც გამოიწვია ცხვირის არეში მოტყეხილობა. 2019 წლის 14 ივნისს, თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის დადგენილებით, მოსარჩელე დაზარალებულად იქნა ცნობილი. ბანკმა თანამ-

შრომელი სამსახურიდან დაითხოვა, ზვიად გოგიაშვილის მიმართ დამდგარი შედეგი კი თვითდაზიანებად შეაფასა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ფაქტს 2019 წლის 7 ივნისს გამოეხმაურა, ბანკს საჯარო ბოდიშის მოხდისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ სტრატეგიულ სამართალწარმოებას იწყებდა. შედეგად, მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოს ბიზნესომბუდსმენს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარესა და დასაბუთებული სარჩელით – სასამართლოს. 2019 წლის 2 ივლისს, სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა მტკიცებულებითა უზრუნველყოფის შესახებ და TBC ბანკს დაევალა მოქალაქის ცემის ფაქტის ამსახველი ვიდეო სათვალთვალ კამერების ჩანაწერის გაცემა, რომელმაც თვალსაჩინო გახადა შემთხვევის ადგილზე მოვლენის განვითარება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიესალმა დავის მორიგებით დასრულების პრეცედენტს და აღნიშნა, რომ დასაფასებელია სასამართლოს ძალისხმევა დავა დასრულებულიყო მორიგებით, რაც მოსარჩელის ინტერესსაც წარმოადგენდა. ამასთან, მისასალმებელი იყო TBC ბანკის საბოლოო ძალისხმევა საქმეზე დამდგარი შედეგისთვის, რაც, სასამართლო განხილვებისა და დაფიქსირებული პოზიციების მიუხედავად, არის ბანკსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის კარგი მაგალითი. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ქართულ საბანკო სფეროში შეიქმნა პრეცედენტი, რომლითაც მომავალში უნდა გამოირიცხოს მსგავსი ხასიათის შემთხვევები. საქმე მოსამართლე ლია ავალიშვილმა განიხილა.





## ზურაბ გირჩი ჯაფარიძე „ახალგაზრდა ადვოკატებს“ 5050 ლარს გადაუხდის

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“, საჯარო ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით, განცხადებას ავრცელებს, რომელიც პოლიტიკოსს ზურაბ გირჩი ჯაფარიძესთან სამართლებრივ დავას შეეხება.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განმარტებით, **ზურაბ გირჩი ჯაფარიძის საქართველოში მოქმედი საბანკო ანგარიშებიდან, აღსრულების ეროვნული ბიუროს მოქმედებების შედეგად, კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე, განხორციელდა თანხის ჩამოჭრა და კრედიტორის ინტერესების დაკმაყოფილება.** ვინაიდან კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ პოლიტიკოსის სადავო განცხადება ორგანიზაციის მიმართ წარმოადგენდა ცილისწამებას, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სადავო განცხადების შედეგად ორგანიზაციისთვის ზიანის მიყენების ფაქტი. კერძოდ, ორგანიზაციას შეუწყდა საგრანტო ხელშეკრულება, სადაც უნდა მოეხდინა პროექტის სალექციო კურსის პროგრამის მომზადება და მონაწილეების გადამზადება, მომსახურებაში მიეღო 5050 ლარი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ორგანიზაციამ ახალი სარჩელი აღძრა პოლიტიკოსის მიმართ და მოითხოვა დამდგარი ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 993-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლად ავრცელებს ან ახმაურებს სხვა პირისათვის ქონებრივი ზიანის მომტან ფაქტებს, ვალდებულია აანაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი, თუ ეს ფაქტები აშკარად არასწორია.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული ვალდებულება წარმოშობილ იქნა ზიანის მიყენების – დელიქტის – საფუძველზე. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურდა, რომ პოლიტიკოსის სადავო განცხადება წარმოადგენდა ცილისწამებას, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია სადავო განცხადების შედეგად ორგანიზაციისთვის ზიანის მიყენების ფაქტი, ორგანიზაციმ ახალი სარჩელით მიმართა სასამართლოს და

პოლიტიკოსს მოსთხოვა დამდგარი მატერიალური ზიანის ანაზღაურება – 5050 ლარის ოდენობით, რაც ორგანიზაციას პოლიტიკოსის ცილისწამების პირობების არარსებობის შემთხვევაში, უნდა მიეღო. ორგანიზაციის მოთხოვნა, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს, ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლომ, კანონიერად ცნო და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას მხოლოდ პროცესუალური სტადიების ამონაწერს სჭირდება.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საზოგადოების საყურადღებოდ განმარტავს, რომ ქმნის სტანდარტს, რომელიც მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებაში სიტყვისა და გამოსატყვის თავისუფლების დაცვებთან მიმართებით, ქმნის პრეცედენტს პოლიტიკოსის კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლობის ხარისხის შესახებ. ჩვენთვის გავლენის მომხდენი ვერ იქნება პოლიტიკოსის ან მასთან დაკავშირებული რომელიმე მხარდამჭერის კრიტიკული, ნეგატიური ან შეურაცხყოფელი გამონათქვამი, პოლიტიკური აფილირების თაობაზე უსაფუძვლო და მტკიცებულების გარეშე საუბარი.

ორგანიზაციის საქმიანობა მთლიანად მიმართულია ადამიანის უფლებების დაცვასა და მოქალაქეების ინტერესების უზრუნველყოფაზე, წლების მანძილზე, ორგანიზაციის ნდობას განსაზღვრავდა მისი საჯარო პოზიცია, პრინციპულობა და დასაქმებულთა სრული თავისუფლება. მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრინციპული პოზიცია დაიჭირეს 2003-2012 წლებში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის, სისტემური დანაშაულებისა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების კანონშეუსაბამო მოქმედებების თაობაზე, ორგანიზაციის ეს პოზიცია ყოფილ ხელისუფლებასთან დაკავშირებული ჯგუფების მხრიდან აღქმულია, როგორც მიკერძოებული დამოკიდებულება. შესაბამისად, ორგანიზაციის ბიოგრაფიის ნაწილია ცალკეული სასამართლო დავებიც, რომელიც მიზნად „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანი რეპუტაციის დაცვას და ცილისწამებით მიყენებული ზიანის აღდგენას გულისხმობს. ორგანიზაციამ მოიგო ყველა დავა, გარდა ერთისა, სადაც საქართველოს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების საპროცესო ვადები იქნა გაშვებული (თამარ ჩერგოლიძის მიმართ) და უცნობი დარჩა, თუ რა პოზიციას დაიჭერდა უზენაესი სასამართლო დასახელებულ საქმეზე.





## სააპელაციო სასამართლო თსუ მეცნიერების საქმეზე შემაჯამებელ სხდომას 2021 წლის იანვარში გამართავს

2021 წლის 29 იანვარს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული კონკურსების შედეგად თანამდებობებიდან გაშვებული მეცნიერების საქმის განხილვა უნდა დაასრულოს. საქმეზე შედეგებს საზოგადოებასთან ერთად, უნივერსიტეტის აკადემიური წრეებიც ყურადღებით ელოდება. ორწლიანი ჭიდილის მეცნიერების სასარგებლოდ დასრულებისთვის, სასამართლოს ყველა მტკიცებულება აქვს. სააპელაციო საჩივარი ასაბუთებს, რომ ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, ბ) არ ასახავს მონმეთა ჩვენებებს და არ აკეთებს სწორ დასკვნებს სადავო გარემოებებზე, გ) საქმე წარმოებულია არაგანსჯადი კოლეგიის მიერ, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს და დ) სადავო აქტები მიღებულია არაუფლებამოსილი კომისიის პირობებში, ადმინისტრაციული წარმოების ქუჩაში ჩატარების გზით, კანონის და საკონკურსო პირობების არსებითი დარღვევით. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სწორედ აღნიშნული სამართლებრივი პრეტენზიების ფარგლებში უნდა იმსჯელოს, სადაც გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც თსუ მეცნიერების ნინო ლამბაძის, ლოლა სარალიძის, რუსუდან ლაბაძისა და მანანა ხვედელიძის სარჩელი, სრულიად დაუმსახურებლად და უსაფუძვლოდ, არ დაკმაყოფილდა.

ფაქტები ერთია – 2019 წლის 27 მაისის სხდომაზე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ზაზა აბაშიძემ აღიარა, რომ შემაჯამებელ ოქმს კომისიამ ხელი ქუჩაში მოაწერა და კონკურსს თავადვე უწოდა ვაკხანაღია, ხოლო კიდევ ერთმა წევრმა, ომარ არდაშელიამ სასამართლოს მიაწოდა ღირებული ინფორმაცია, თუ

როგორ ხდებოდა კონკურსანტთა განაცხადებზე მუშაობა და შერჩევა. ზაზა აბაშიძის მსგავსად, ომარ არდაშელიამაც დაადასტურა, რომ კომისიის შემაჯამებელ ოქმს ხელი გმირთა მოედანზე, სამშობლოსთვის დაღუპული მეომრების მემორიალთან მოაწერა, სადაც ზაზა აბაშიძემ დაიბარა. 2019 წლის 9 ივლისის სხდომაზე, მონმის სახით დამატებით დაკითხულმა საკონკურსო კომისიის სამმა წევრმა – დარეჯან კლდიაშვილმა, ნინო აბაკელიამ და ბეჟან ხორავამ სასამართლოს აღიარებითი ჩვენება მისცეს. დარეჯან კლდიაშვილმა განაცხადა, რომ კონკრეტული კანდიდატების სასარგებლოდ, მის მიმართ განხორციელდა ზეწოლა, რაც მომდინარეობდა საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო დაწესებულებაში დასაქმებული პირებისგან.

კომისიის წევრის განცხადებით, კანდიდატების შერჩევის დროს, უპირატესობა მიიჩნა მათთან ახლობლობას და აღნიშნა, რომ წარმოადგენდა კომისიის თავმჯდომარე ზაზა აბაშიძესთან ნათელმორილობით დაკავშირებულ პირსაც. კანდიდატების მიმართ პირადი შეხედულებებით შეფასებაზე ისაუბრა კომისიის წევრმა ნინო აბაკელიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ვინაიდან არ სურდა კონკურსში მონაწილე ცალკეული მეცნიერებების მიმართ პერსონალური დამოკიდებულებების დაფიქსირება, კომისიის სხდომებში მუშაობაზე უარი განაცხადა. რაც შეეხება ბეჟან ხორავას, აღნიშნულმა მონმემ დაადასტურა, რომ კომისიის შემაჯამებელ ოქმს ხელი გმირთა მოედანზე, სამშობლოსთვის დაღუპული მეომრების მემორიალთან მოაწერა. ასევე, ბეჟან ხორავამ აღნიშნა, რომ კომისიამ ცალკეული კანდიდატები ობიექტური კრიტერიუმებით ვერ შეაფასა, რადგანაც გადამწყვეტი გახდა არა – სამეცნიერო ნაშრომების შეფასება, არამედ – გამარჯვებულ კონკურსანტებთან პირადი ურთიერთობები.





## „ფრესკო“ საბოლოოდ დამარცხდა და შრომითი პირობების მხილება ალიანა

სუპერმარკეტების ქსელმა „ფრესკო“ Facebook-ის გვერდ „უამთავსლა ფოტოსურათებზე“ ავტორ გიორგი ლაბაძესთან დაწყებული სამართლებრივი დავა, რომელიც დასაქმებული პირების გაუსაძლის შრომითი პირობების მხილებას ეხებოდა და საკითხს კომპანია საქმიანი რეპუტაციის შემლახველ ინფორმაციად განიხილავდა, საბოლოოდ ნააგო. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ნოემბრის განჩინებით, კომპანიის სააპელაციო საჩივარზე საქმისწარმოება შეწყდა. საქმისწარმოების შეწყვეტის მოთხოვნით სასამართლოს კომპანიამ თავად მიმართა. შედეგად, კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც კომპანიის სარჩელი დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლოების გამო, არ დაკმაყოფილდა.

კომპანიის სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენდა გიორგი ლაბაძის „ფრესკოს“ კუთვნილ გვერდზე: „უამთავსლა ფოტოსურათებზე“, 2017 წლის 7 თებერვლიდან 10 თებერვლის ჩათვლით, კომპანიაში შრომითი უფლებების დარღვევის თაობაზე გამოქვეყნებული ინფორმაციის უარყოფა მოეხდინა. ამასთან, გიორგი ლაბაძეს მოეხდინა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში, გადაცემა: „დიანა ტრაპაიძის დღის ამბები“ გამოქვეყნებული წერილების ნამდვილობის უარყოფაც. ამასთან, კომპანიის მოთხოვნას წარმოადგენდა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებისა და სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის გიორგი ლაბაძის მიმართ დაკისრების მოთხოვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია შემდეგი:

„განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის მიერ არ დარღვეულა საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული დეკლარაციითა და საქართველოს კანონებით დაცული მოსარჩელის უფლებები. მოსარჩელეს მოეთხოვება, იყოს მეტად ტოლერანტული მის მიმართ გამოთქმული მოსაზრებების მიმართ. საზოგადოების ყურადღების დაკმაყოფილება მოითხოვს, რომ მსგავსი დისკუსია არ უნდა იქნეს აკრძალული, დათრგუნული სასამართლო გზით, რადგან დემოკრატიის საყრდენი ღერძი არის სწორედ სიტყვის თავისუფლება და საზოგადოების ჩართულობა საინტერესო და მნიშვნელოვან მოვლენებში.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ლაბაძე საჯაროდ გავრცელებულ წერილში, შესვალშივე ახდენს საზოგადოების ინფორმირებას იმ გარემოებების თაობაზე, რომ სადავო გამოონათქვამები მას ნამდვილად არ ეკუთვნის და საზოგადოებაც თავიდანვე ინფორმირებულია, რომ გიორგი ლაბაძის საავ-

ტორი სოციალური გვერდი მხოლოდ ავრცელებს კომპანიის ყოფილი თუ მოქმედი თანამშრომლების შრომითი პირობების თაობაზე არსებულ შეხედულებებს. აღნიშნულის თაობაზე მან ასევე განაცხადა 2017 წლის 10 თებერვალს, ტვ პირველის სატელევიზიო არხზე, „დიანა ტრაპაიძის „დღის ამბებში“, სადაც აღნიშნა, რომ იგი პასუხისმგებლობას იღებდა მხოლოდ იმაზე, რომ წერილები მას სხვა პირებმა გადასცეს, ხოლო შეესაბამებოდა თუ არა მასში გადმოცემული ფაქტები სინამდვილეს, აღნიშნულს არ ამტკიცებდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელით სადავო განცხადებები წარმოადგენს არა საზოგადოებისათვის მოპასუხის მიერ ფაქტის შესახებ მტკიცებითი ფორმით მიწოდებას, არამედ, სხვა პირთა მიერ მოწოდებული ცნობების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არც განცხადებების გავრცელების და არც დავის პროცესში, მოპასუხეს არ მიუთითებია იმ პირთა შესახებ, რომელთა წერილებზე დაყრდნობითაც გაკეთდა ფესტუქსზე სტატუსი. მოპასუხეს ამ პირთა იდენტიფიცირება არ მოუხდენია არც სატელევიზიო გადაცემაში მონაწილეობის დროს. მიუხედავად აღნიშნულისა, ისეთ პირობებში, როდესაც არ არსებობს განცხადებებისათვის ცილისწამების კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობები, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხემ არ დაასახელა ინფორმაციის წყარო, ვერ გახდება მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, რადგან სიტყვისა და გამოხატვის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საქმეზე მოპასუხის უარი – გაამხილოს პროფესიული საიდუმლოება ან მისი წყარო – გახდეს მოპასუხის საინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის ერთადერთი საფუძველი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა იმ ფაქტობრივ/სამართლებრივი საფუძვლების არსებობა, რასაც უკავშირდება ცილისწამებისათვის პირის პასუხისმგებლობა“ – აღნიშნულია სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს საბაზისო დოკუმენტი, რომელიც სუპერმარკეტების ქსელში დასაქმებულთა უფლებების მიმართ ყველა სხვა დამსაქმებლის მხრიდან მეტწილად დახედულებასა და ყურადღებას უზრუნველყოფს. ორგანიზაციის პოზიციით, დავას საზოგადოებრივი მნიშვნელობა გააჩნია და ორგანიზაციისთვის – სტრატეგიული სამართალწარმოების საქმე.



## საერთაშორისო კომპანიის ქართულმა მენეჯმენტმა ყოფილ მენეჯერს გათავისუფლების გამო 30 000 ლარი გადაუხადა

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ რთული კატეგორიის დავაზე, ყოფილი დასაქმებულის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით, საქმის მორიგებით დასრულების გადაწყვეტილება მიიღო. საერთაშორისო კომპანიის ქართულმა მენეჯმენტმა ყოფილ მენეჯერს ერთჯერადი კომპენსაციის სახით - 30 000 ლარი გადაუხადა.

საქმის მასალების მიხედვით, მხარეებს შორის არსებობდა უვადო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა. ბოლო კონტრაქტი გაფორმდა 2018 წლის 3 აპრილს. 2019 წლის 3 აპრილიდან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა გაგრძელდა უვადოდ. მოსარჩელე საქმიანობდა მენეჯერის პოზიციაზე. მოსარჩელესა და მოპასუხე კომპანიას შორის, ეტიკური ბიზნესისა და სამართლიანი ურთიერთობების პრინციპიდან გამომდინარე, მოხდა კონფლიქტი და უთანხმოება. მოსარჩელემ 2019 წლის 19 დეკემბერს მოპასუხე კომპანიისგან მიიღო შეტყობინება (გადაწყვეტილება), რომლითაც მენეჯერი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების საფუძვლები დაეფუძნა მუშაკის მიერ სამუშაო პირობების უხეშ დარღვევას. მხარემ

გათავისუფლების ბრძანების გაუქმების, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით, სასამართლოს 2020 წლის 14 თებერვალს მიმართა. მხარეებმა ორი მოსამზადებელი სხდომის ფარგლებში, დავის მორიგებით დასრულების გადაწყვეტილებაზე მზადყოფნა გამოხატა, ხოლო 2020 წლის 13 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, მხარეთა შორის მორიგების აქტი დაამტკიცა. კომპანიამ აღდგენის სანაცვლოდ გათავისუფლებულ მუშაკს 30 000 ლარი გადაუხადა, მხარემ კი უარი განაცხადა დამსაქმებლის მიმართ წინამდებარე დავის საგნის ირგვლივ ქონებრივი ან სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაზე.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქმეზე 2020 წლის თებერვლიდან ჩაერთო. ვინაიდან მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქმის დეტალები არ იქნებოდა გამჟღავნებული, ორგანიზაცია პატივს სცემს მხარეთა შეთანხმებას და თავს შეიკავებს დავის მეტი შინაარსობრივი მხარის დასახელებისგან. შესაბამისად, ორგანიზაცია ვერ დაასახელებს კომპანიას, მხარეებს, დავის სხვა მახასიათებლებს.

## „ბერმელმა“ ყალბი სესხების ბრალდებით, 20,260 ლარის მითვისებაზე დავა ყოფილ თანამშრომლებთან, სააპელაციო სასამართლოშიც წააგო

2020 წლის 4 ივნისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა მისი „ბერმელის“ სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, სადაც კომპანია ყოფილ თანამშრომლებს ე.წ. ყალბი სესხის შექმნას და მიყენებული ზიანის სახით, 20260 ლარის ანაზღაურებას მოითხოვდა. საქმეს მნიშვნელობა გააჩნია სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკისთვის.

საქმის მასალებით, შპს „მისო ბერმელი“ ამტკიცებდა, რომ ყოფილი თანამშრომლებთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის დასრულების შემდეგ, შესაწავლილი იქნა ორი თანამშრომლის მიერ გაცემული სესხის ისტორია, მათი იუზერითა და პაროლით გაცემული 24 სესხი, რომელთა მსესხებლებიც რეალურად არ არსებობდნენ. პროგრამაში მითითებული მსესხებელთა პირადი ნომრები, სახელი, გვარები და ტელეფონის ნომრები არ იყო რეალური და იყო გამოგონილი, თანხები კი ყოფილი თანამშრომლების მხრიდან იქნა მითვისებული. კომპანიის განმარტებით, სესხებზე ვერ იქნა მოპოვებული შემდეგი დოკუმენტაცია: გასავლის და შემოსავლის ორდერები, ხელშეკრულებები და დაგირავებული ნივთები. შესაბამისად, კომპანიამ მოითხოვა ყოფილი თანამშრომლების მიმართ 20260 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქმის განხილვის ეტაპზე დადასტურდა, რომ ყოფილ თანამშრომლებს პროგრამულად მონაცემების შეცვლის ან დამატების არავითარი ტექნიკური შესაძლებლობა არ ჰქონდათ. პროგრამაში ნებისმიერი სახის ცვლილების განხორციელების უფლება გააჩნდა კომპანიის ფინანსურ მენეჯერს, რომლის ჩვენებით დგინდება, რომ თანამშრომლების მიერ პროგრამაში დაშვებული შეცდომების გასწორებისა და წაშლის უფლებამოსილება გააჩნდა მხოლოდ ფინანსურ მენეჯერს. ამასთან, მოწმის სახით დაკითხული კომპანიის მთავარი ბუღალტრის განცხადებით, თანამშრომლებს არ გააჩნდათ საშუალება ერთხელ დარეგისტრირებული სესხი პროგრამულად წაეშა-

ლათ. ამასთან, სესხების გაცემაზე თანამშრომლების კონტროლს ახორციელებდა თბილისის ფილიალების მენეჯერი, რომლის უფლებამოსილებაშიც შედიოდა სალომბარდე სესხების კანონიერების ყოველდღიურ რეჟიმში შემოწმება. შესაბამისად, იმ ვითარებაში, როდესაც მხარეთა შორის არსებობდა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა, ნდობა და საქმიანობა ხორციელდებოდა კეთილსინდისიერების ფარგლებში და მოპასუხეების მიმართ, არავითარი პრეტენზია არ ყოფილა გამოთქმული.

საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოც, მხარეთა მტკიცების პირობებში მივიდა დასკვნამდე, რომ პასუხისმგებლობის დაკისრება არ შეიძლება იმ პირობებში, როდესაც არსებობს დაუსაბუთებელი მტკიცებულებები. საქმეში არ მოიპოვებოდა ნეიტრალური მტკიცებულებებიც, ხოლო მოწმეთა ჩვენებები ვერ ჩაითვლებოდა სანდოდ, რადგანაც ისინი იმყოფებოდნენ ნათესაურ ურთიერთობაში და წარმოადგენდნენ ოჯახის წევრებს. ამასთან, სასამართლომ ხაზი გაუსვა მოსარჩელის მტკიცების ტვირთს და აღნიშნა, რომ სწორედ მტკიცების ტვირთის პირობებში, მხარეთა შეჯიბრითობის გათვალისწინებით, შპს „მისო ბერმელმა“ ვერ შეძლო მოპასუხეების მტკიცების გაქარწყლება.

ცნობისთვის: შპს „მისო ბერმელმა“ სასამართლოს 2018 წლის 28 მარტს მიმართა. 2018 წლის 5 ოქტომბერს, საქმეზე მხარის გამოუცხადებლობის გამო, სასამართლომ მიიღო დაუსრულებელი გადაწყვეტილება, თუმცა 2018 წლის 7 ნოემბერს დაკმაყოფილდა საჩივარი, გაუქმდა დაუსრულებელი გადაწყვეტილება და საქმეზე განახლდა სამართალწარმოება. თბილისის სააპელაციო სასამართლოში, საქმე განიხილეს მოსამართლეებმა: თამარ ალანია (თავმჯდომარე), ქეთევან მესხიშვილი და გოგიტა თოთოსაშვილი, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე: ხათუნა ჯინორია. „მისო ბერმელის“ მიმართ, ყოფილი თანამშრომლების ინტერესებს, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი, არჩილ კაიკაციშვილი წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დისტანციური მართლმსაჯულება განახორციელა.





## „ახალგაზრდა ადვოკატები“ აჯილდოვებს „ნომინანტები და ნომინაციები - 2020“

1. „ღია სასამართლო ინსტანცია“ – სიღნაღის რაიონული სასამართლო
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
3. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური
4. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – სსიპ „112“
5. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – გამომცემლობა „უნივერსალი“
6. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – ახალგაზრდული ლიტერატურული გადაცემა: „ნიგნების თარო“;
7. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – გადაცემა „საქმე“, ტელეკომპანია „პალიტრანიუსი“
8. „საზოგადოების ხმა“ – გადაცემა: „ღამის კურიერი“, ტელეკომპანია „რუსთავი 2“
9. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – ახალი ამბების სააგენტო iPress.ge

### „თავისუფალი სიტყვის დამცველი - 2020“

1. რეზი ხუციშვილი, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „მოამბე“
2. ლიკა ალელიშვილი, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „მოამბე“
3. დავით ყურაშვილი, ტელეკომპანია „იმედი“, საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“
4. ელიტა ანდლულაძე, ტელეკომპანია „რუსთავი 2“, საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“
5. ირაკლი მამისურაძე, ტელეკომპანია „მაცენტრო“
6. ირაკლი ყურაშვილი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი
7. ალექო გვეტაძე, „Euronews Georgia“
8. სანდრო ვეფხვაძე, ტელეკომპანია „POSTV“
9. მირანდა ჭარხალაშვილი, ტელეკომპანია „ობიექტივი“
10. ბელა გელაშვილი, ახალი ამბების სააგენტო: „Report.ge“
11. ნინო გოლოშვილი, მედია-ჰოლდინგი „კვირა“
12. მიშა ვარძელაშვილი, ახალი ამბების სააგენტო „პირWელი“
13. გიორგი გირკელიძე, მედიასახლი „გურიანიუსი“

### 1. „ორგანიზაციის მეგობარი“

- ნიკა სადრაძე, ადვოკატი



„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 2014 წლიდან საფუძველი ჩაუყარა ტრადიციას, როდესაც წლის საქმიანობის ღონისძიებაზე აღინიშნება პროფესიული წრისა და იმ ინსტიტუციების დამსახურებული როლი, რომლებმაც ორგანიზაციასთან თანამშრომლობის პროცესში ან საზოგადოებრივი მაღალი ნდობის პირობებში, საკუთარი უფლებამოსილებები და ვალდებულებები, კეთილსინდისიერად შეასრულეს. ორგანიზაცია, ტრადიციულად, წლის ბოლოს, უცვლელი დასახელების ნომინაციებს გადასცემს უწყებებს, ინსტიტუციებს, საქმიანი სფეროს წარმომადგენლებსა და ჟურნალისტური კორპუსს. წინა წლების დამსახურებული გამარჯვებულები ასე გამოიყურება:



2019 წელი

1. „ღია სასამართლო ინსტანცია“ – თბილისის სააპელაციო სასამართლო
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
3. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;
4. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – სსიპ – ანარმეო საქართველოში
5. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – სასტუმრო „Wyndham Grand Tbilisi“
6. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – საკონსულტაციო ჯგუფი „ჯეპრა“
7. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – გაზეთი „ბანკები და ფინანსები“
8. „საზოგადოების ხმა“ – გადაცემა „NEWSROOM“, ტელევიზია „პალიტრანიუსი“
9. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – ახალი ამბების სააგენტო „Report.ge“



„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2019“

1. ბელა ზაქაიძე, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა „ახალი კვირა“
2. ლევან კვატაშიძე, ტელეკომპანია „იმედი“, საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა“
3. თამთა ჩიტიშვილი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“, საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“
4. ლევან ნუნუნავა, ტელეკომპანია „მაცტრო“
5. ნინო ხოზრევანიძე, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი
6. გოგი ჩოკოშვილი, საქართველოს რადიო FM 102.3
7. ილია ჩაჩიბაია, ტელეკომპანია „ობიექტივი“
8. სულხან მესხიძე, ტელეკომპანია „25 არხი“
9. თეონა აბესაძე, ახალი ამბების სააგენტო „პრაიმთაიმი“
10. ინგა ქვარცხავა, მედია-ჰოლდინგი „კვირა“
11. ბექა ვარდოსანიძე, დამოუკიდებელი ჟურნალისტი და ბლოგერი



„ორგანიზაციის მეგობარი“

1. ანა ბოკუჩავა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ბრენდის მენეჯერი;
2. საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალიზაციის სტუდენტები – ციცი ქელიძე, მარიამ ბარსონიძე, სოფიო ჯიჭონაია, ანა გაგუა, მარიამ შათირიშვილი, სოფიო თვალაბეიშვილი და თამარ სტეფანიშვილი.







2018 წელი

1. „ღია სასამართლო ინსტანცია“ – რუსთავის საქალაქო სასამართლო
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
3. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი
4. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო
5. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
6. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – „ორბელიანი – საქართველო“
7. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – „On Ge“
8. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – გადაცემა: „დილა ობიექტივზე“
9. „საზოგადოების ხმა“ – გადაცემა „დღის თემა“, ახალი ამბების ტელევიზია „პალიტრანიუსი“

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2018“

1. აკაკი გოგიჩაიშვილი, ტელეკომპანია „იბერია“
2. იმედა დარსალია, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
3. ლუკა ხაჩიძე, ტელეკომპანია „პირველი“
4. მარიამ ქართველიშვილი, ტელეკომპანია „იმედი“
5. ნინო გელაშვილი, რადიო „თავისუფლება“
6. გიორგი აბაზაძე, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი
7. ანა კიკნაძე, ტელეკომპანია „ობიექტივი“
8. ირაკლი მანაგაძე, ახალი ამბების სააგენტო „ექსპრესნიუსი“
9. ნელი ვარდიაშვილი, ახალი ამბების სააგენტო „ევრონიუსი“
10. გვანცა ფიფია, ახალი ამბების სააგენტო „აქცენტი“
11. თეონა ნოზაძე, ახალი ამბების სააგენტო „პირველი“
12. ნინო ექვთიმიშვილი, ახალი ამბების სააგენტო „მედიანიუსი“
13. თამარ შეყილაძე, მედია-ჰოლდინგი „კვირა“

1. „ორგანიზაციის მეგობარი“ – ტარიელ კაკაბაძე,



ადვოკატი

2017 წელი

10. „ღია სასამართლო ინსტანცია“ – მცხეთის რაიონული სასამართლო;
11. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
12. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
13. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
14. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – გამომცემლობა „ნიგნები ბათუმში“;
15. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – „CsoGeorgia.org“;
16. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – ახალი ამბების სააგენტო „მედიანიუსი“;
17. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი,
18. „საზოგადოების ხმა“ – გადაცემა „რეაქცია“, ტელეკომპანია „პირველი“;

„თავისუფალი სიტყვის დამცველი 2017“

1. ირაკლი ჩიხლაძე, ტელეკომპანია „იმედი“;
2. მათა მიშელაძე, გაზეთი „ვერსია“;
3. ნინო მიქიაშვილი, დამოუკიდებელი ჟურნალისტი;
4. ბელა გელაშვილი, ტელეკომპანია „იბერია“;
5. გურამ როგავა, საზოგადოებრივი მაუწყებელი
6. სოფიო ნიაური, ტელე/რადიო „ობიექტივი“;
7. ვიქტორია ქათამაძე, სააგენტო „პირველი“;
8. რუსუდან ოქრუაშვილი, „გურიანიუსი“
9. ალექო ჩუბინიძე, სააგენტო „ნიუსპრესი“;
10. ბაჩანა ჯინჭარაძე, გაზეთი „ბანკები და ფინანსები“;
11. იზა შაქარაშვილი, ახალი ამბების სააგენტო „კვირა“

1. „ორგანიზაციის მეგობარი“ – გია ტაბლიაშვილი, ადვოკატი



2016 წელი

2015 წელი

1. „ლია სასამართლო ინსტანცია“ – ბათუმის საქალაქო სასამართლო;
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
3. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტო;
4. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი;
5. „წლის საუკეთესო მომსახურებისთვის“ – საქართველოს რკინიგზა“;
6. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – „ქალთა ფონდი საქართველოში“;
7. „ლია საზოგადოების მხარდამჭერი“ – ახალი ამბების სააგენტო „კვირა“ და „კვირას“ მედია-კლუბი;
8. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – ტელეკომპანია „იბერია“, გადაცემა „ბიზნეს კოდი“;
9. „საზოგადოების ხმა“ – რადიო პალიტრა, გადაცემა: „360“;

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2016“

1. მაცაცო გახოკიძე, ტელე/რადიო „ობიექტივი“;
  2. თამთა კაკაურიძე, სააგენტო „გურიანიუსი“;
  3. ნათია კოპალიანი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი;
  4. ჯაბა ხუბუა, გაზეთი „ასავალ დასავალი“;
  5. მანანა ცუხიშვილი, „მთავარი გაზეთი“;
  6. ნენე სტეფანიშვილი, სააგენტო „რეპორტიორი“;
  7. გენო ოსიყმაშვილი, ტელეკომპანია „GDS“;
  8. სალომე გოგოხია, ტელეკომპანია „მეესტრო“.
1. „ორგანიზაციის მეგობარი“ – ლია მუხაშავერია, ევროსასამართლოს ექსპერტი, უფლებადამცველი;
  2. ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი.

1. „ლია სასამართლო ინსტანცია“ – თბილისის საქალაქო სასამართლო;
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;
3. „ყველაზე კომუნიკაბელური უწყება“ – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი;
4. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
5. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – „ეთნოსთა შორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრი – ACICC“;
6. „ლია საზოგადოების მხარდამჭერი“ – სააგენტო „პირველი“;
7. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – ტელეკომპანია „მეესტრო“, გადაცემა „ბიზნეს-კონტაქტი“;
8. „საზოგადოების ხმა“ – რადიო „იმედი“

„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2015“

1. ზურაბ კუკულაძე, გაზეთი „ბანკები და ფინანსები“;
  2. ლელა გოგოლაძე, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი;
  3. დიანა ლიპარტელიანი, გაზეთი „ალია“;
  4. მერაბ მეტრეველი, დამოუკიდებელი ჟურნალისტი
  5. ლევან ჯავახიშვილი, გაზეთი „კვირის ქრონიკა“;
  6. დარინა დავითაძე, დამოუკიდებელი ჟურნალისტი
1. „ორგანიზაციის მეგობარი“ – ზაზა ხატიაშვილი, უფლებადამცველი, ადვოკატი
  2. ლია ელიავა, ეკონომიკის ექსპერტი







2014 წელი

1. „საუკეთესო სასამართლო ინსტანცია ოპერატიული საჯარო ინფორმაციისთვის“ – თბილისის საქალაქო სასამართლო;
2. „ყველაზე ღია საჯარო უწყება“ – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
3. „ყველაზე კომუნიკაბელური სამინისტრო“ – საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;
4. „საუკეთესო თანამშრომლობისთვის და ინსტიტუციური დიალოგისთვის“ – დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
5. „წლის საუკეთესო მომსახურებისათვის“ – შპს „საქართველოს ფოსტა“;
6. „ახალგაზრდული იდეების ქომაგი“ – ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი;
7. „ღია საზოგადოების მხარდამჭერი“ – პრესკლუბი „რეპორტიორი“.
8. „დაბალანსებული და სანდო ინფორმაციისთვის“ – საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“;
9. „საზოგადოების ხმა“ – საზოგადოებრივი რადიო 1, რადიო პალიტრა, გადაცემა „შუადღის ამბები განო და კოტე“;



„თავისუფალი სიტყვის დამცველი – 2014“

- 1 მარიამ ზედგინიძე, ახალი ამბების სააგენტო „კვირა“;
  3. თამარ ბატიაშვილი, გაზეთი „ქრონიკა“;
  4. ნათია გოგიტიძე, გაზეთი „ქართული სიტყვა“;
  5. თამარ ლეფსვერიძე, დამოუკიდებელი ჟურნალისტი
1. „ორგანიზაციის მეგობარი“ – სოფიო აზარი-აშვილი (ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი 2013-2014 წლებში)









## ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #171

ელ-ფოსტა: [pryoungbarristers@yahoo.com](mailto:pryoungbarristers@yahoo.com);

იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი

დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი

ვებ-გვერდი: [www.barristers.ge](http://www.barristers.ge)

FB: [www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi](https://www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi)

მომსახურე ბანკი: სს საქართველოს ბანკი“.

ანგარიშის ნომერი: GE31BG000000161544925GEL

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივლისს. ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“. ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდა სპეციალისტებით დაკომპლექტებულ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციას.

ორგანიზაცია მონაწილეობს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი, სამართლებრივი, პოლიტიკური საკითხების განხილვაში, წარადგენს შეფასებებსა და განცხადებებს, შეიმუშავებს ინიციატივებს, მიმართავს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და ახორციელებს მათ ლობირებას. ამზადებს კვლევებს, დასკვნებს, პროექტებს, ანგარიშებს. ახორციელებს აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლების, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციის საქმიანობის შესწავლას და მონიტორინგს. უზრუნველყოფს მოქალაქეების ინტერესების დაცვას და წარმომადგენლობას ყველა დონეზე. მათ შორის საჯარო ხელისუფლების განმსახორციელებელ ორგანიზაციებთან, სასამართლო ინსტანციებში, კერძო და საერთაშორისო არბიტრაჟში. ხელს უწყობს სამოქალაქო კამპანიების ჩატარებას, სამართლისა და ადამიანის უფლებების მიმართ მოსახლეობის ინფორმირებას და ჩართულობას, დაცვის ინსტიტუტის პოპულარიზაციას. ორგანიზებას უწევს კონფერენციების, სემინარების, მრგვალი მაგიდების ჩატარებას, თანამშრომლობს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან, ექსპერტებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ ჯგუფებთან და გაერთიანებებებთან.

2020 წელს ბავშვთა უფლებების საუკეთესო ადვოკატირებისთვის ორგანიზაციას გადაეცა საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის – იუნისეფის კეთილი ნების ელჩის ნიკა რაჭველის სპეციალური სამადლობლო ვიდეო.

2017 წელს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ორგანიზაცია ადამიანის უფლებების დაცვისა და პროფესიული ერთგულებისთვის, სპეციალური სიგელით დააჯილდოვა.

2016-2014 წლებში, ორგანიზაცია წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრს.

2016 წელს, მიწვეულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უმაღლესი სკოლის შექმნის სამუშაო ჯგუფში.

2015 წლიდან მიწვეულ იქნა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწესთან არსებულ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლიდან მიწვეულ იქნა საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლის აპრილში, მიწვეულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად. 2015-2018 წლებში, წარმოადგენდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს წევრს. 2015 წელს დააფუძნა სამოქალაქო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ალიანსი: „ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“. 2015 წელს ჩართო „Peace Corps“-ის პროგრამაში, რომლის ფარგლებში, 6 თვის მანძილზე, ორგანიზაცია გაძლიერდა სტრატეგიული პროექტების მოზადების, საერთაშორისო პარტნიორობის კომუნიკაციის, ადამიანური რესურსის მართვისა და ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვის საკითხებზე.

2014 წელს, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ გადაწყვეტილებით, ორგანიზაცია საქართველოში დასახელდა „2014 წლის ყველაზე აქტიურ უფლებადაცვით ორგანიზაციად“. 2014 წელს გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი.

2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის საქართველოს ალიანსის“ წევრს. 2012 წელს წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფის წევრს.

2012 წლიდან არის არასამთავრობოთა ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის“ თანადამფუძნებელი და წევრი.

ორგანიზაციის სამოქალაქო პოზიციისა და ჩართულობის მაგალითს წარმოადგენს 2017 წელს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ დავით ასათიანის წარდგენა და მხარდაჭერა. 2017 წელს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად შოთა ქადაგიძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2017 წელს, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრის შესარჩევ კონკურსში ქეთევან ბუჭუჭუაძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2016 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად თემო ჭყიშვილის წარდგენა და მხარდაჭერა, 2015 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის წარდგენა და მხარდაჭერა, 2012 წელს საქართველოს სახალხო დამცველად ლია მუხაშვილის კანდიდატურის წარდგენა და მხარდაჭერა.

ორგანიზაცია თანამშრომლობს პროფესიულ ჯგუფებთან, საჯარო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან. 2013 წლიდან ახორციელებს ინიციატივას: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“. განხორციელებული პროექტებიდან გამოჩეულად მნიშვნელოვანია 2017-2015 წლებში, საქართველოს მთავრობის „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, გამარჯვებული პროექტი: „სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა უფასო იურიდიული დახმარება“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა მიგრანტების წინაშე არსებული იურიდიული პრობლემების იდენტიფიცირება, შეფასება, რეაგირება და გადაჭრა. მიგრანტების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის გზებზე. 2016 წელს, ორგანიზაციის პროექტის მალალი პასუხისმგებლობით და წარმატებით განხორციელებისთვის, გადაეცა სახელმწიფოს მადლობის სიგელი.

ორგანიზაციის პოზიცია არაერთხელ გამხდარა დისკუსიის საფუძველი მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრინციპული პოზიცია დასაბუთეს 2003-2012 წლებში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის, სისტემური დანაშაულებისა და მალალი პოლიტიკური თანამდებობის პირების კანონმდებლობით მოქმედების თაობაზე. ორგანიზაციის მკვეთრი პოზიცია დასახელებულ პერიოდში სისტემური დანაშაულის საქმეებზე, ცალკეული ჯგუფების მხრიდან აღქმულია, როგორც მიუკერძოებელი დამოკიდებულება. შესაბამისად, ორგანიზაციის ბიოგრაფიის ნაწილია ცალკეული სასამართლო დავებიც, რომლიც მიზნად „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანი რეპუტაციის დაცვას და ცილისწამებით მიყენებული ზიანის აღდგენას გულისხმობს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოქმედებს წესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. გააჩნია საქმიანობის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, რომელიც ამაჟამად განახლებულია 2018-2020 წლების საქმიანობისთვის. ამასთან, 2015 წლის იანვრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გადავიდა კაბინეტურ მმართველობაზე. ახალი წესდებით, შეიცვალა მმართველობითი რგოლი. ორგანიზაციას, სადამფუძნებლო საბჭოს ერთპიროვნული მმართველობის ნაცვლად, ხელმძღვანელობს არჩეული ხელმძღვანელი, რომელიც აკომპლექტებს კაბინეტს (გუნდს), რომელიც ანგარიშვალდებულა სადამფუძნებლო საბჭოს და ყველა სხვა მესამე პირთან მიმართებით.

ორგანიზაცია ახორციელებს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამას. საერთო სასამართლოების გადაჭრის გზებზე. 2016 წელს, ორგანიზაციის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს იურიდიული კომპანია „კაიკაციშვილი და ადვოკატებთან“ პარტნიორობით და მეშვეობით. გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო-ჟურნალს და ამზადებს ყოველთვიური საქმიანობის მედია-დაიჯესტს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შემოსავლის წყაროა: საგრანტო პროექტები, შემოსწავლილებები და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები. ასევე, იურიდიული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.



